# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 8 აგვისტო, 2006 წელი.

№ 152 (5493)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


ნუ გაყიდით, მოვუაროთ საქართველოს!

მიხეილ სააკაშვილი 10 დღით ჩვეულებრივი ჯარისკაცი გახდა

8 გვ.

სალომე ზურაბიშვილი: „უკრაინა გამოუცდელი პარტნიორი გამოდგა“

8 გვ.

„უსირცხვილოს თუ არ არცხვენ“

6 გვ.



2

## იზლერის ბალი და იდეა

## გარიკ, შე ჩემა!

## თითოეულს მაშინ დაიჭერენ, როცა მისი დრო მოვა

## აფსუებო, ცეცხლს ნუ ეთამაშებით!

## „დღეს რომ ნაპოლეონიც გააცოცხლო და სტალინიც, თბილისში უგულავასთან ნამდვილად დამარცხდებიან“

3



13

## ველოტრეკიდან – საგვარეულო საიდუმლოებამდე



4

## ბაზალეთის კომპლექსი მალე დამთავრდება

◉ ჩვენ

## იზლერის ბაღი და იდეა

**დღე არ გავა, რომ პატრიოტულ-ჰეროიკული ხასიათის სიახლე არ შევიტყოთ, რომელიც თავისი ზოგადკაცობრიული მნიშვნელობით ბევრად აღემატება ვიწრო რესპუბლიკურ მასშტაბებს.**

ჩოლოქში რომ ჯერ არნახულ-ჯერ არგაგონილი პარკი გავხსენით და რუსეთი, რომელსაც მსგავსი რამ არც მოსკოვში, არც პეტერბურგში და, მით უმეტეს, არც ციმბირში არ აქვს, შურით გავამწვანეთ, უკვე ვიცით. ეგეც მაგას! საუკუნენახევარია იზლერის ბაღით რომ წაგვჭამა თავი, აბა რა ეგონა!

რას გაიხარებდა დიდი ილია, ჩოლოქის სასწაულს რომ მოსწრებოდა! ხომ ჩასჩრიდა პირში ბურთს იმ თავგასულ რუსის აფიცერს, პეტერბურგის იზლერის ბაღს ცივილიზაციის აპოგეად და განათლებული რუსეთის სიმბოლოდ რომ მოიაზრებდა.

კიდევ ერთი გამარჯვება, ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობითი გენიის კიდევ ერთი გაელვება!

ეს გაელვებები მხოლოდ პარკების, სპორტული მოედნებისა და მუსიკალური თუ ყრუ-მუნჯი შადრევნების მშენებლობით როდი განსხეულდება.

იმ დღეს, როცა ბატონმა პრეზიდენტმა ჩოლოქის უნიკუმით გაოგნებული ქვეყნის მოსახლეობას მიმართა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების ახალი პროგრამა წარუდგინა, მან კიდევ ერთი სიახლის განზრახულობა გვამცნო: რათა სახელმწიფომ თავიდან აიცილოს კორუფცია, ჩვენი სინდისგარეცხილი ბიზნესმენებისა და არბიტრაჟის უკუღმართი ალიანსი, იგი (სახელმწიფოძ იძულებულია უცხოეთიდან მოიწვიოს არბიტრები და მათ საკმაოდ ძვირი უხადოს, ოღონდ აღკვეთოს დავებში ბიზნესმენთა განუწყვეტელი გამარჯვებები.

ანუ: პრეზიდენტმა განრისხებული სახით მიუკიბ-მოუკიბავად გვაუწყა: რადგან არბიტრაჟი უმთავრესად მეწარმეთა სასარგებლო, ანუ სახელმწიფოს გამამტყუნებელ გადაწყვეტილებებს იღებს, ასეთი არბიტრაჟის შექმნა ჩვენი შეცდომა იყო და ეს შეცდომა უნდა გამოვასწოროთ, ჩვენსას ვერ ვენდობით და უცხოეთიდან უნდა მოვიწვიოთ ძვირადღირებული სპეციალისტებიო.

ეჭვიც კი არ გამოთქმულა, იქნებ ჩვენი არბიტრაჟი სწორად აკეთებს, რასაც აკეთებსო. არა, რაკიღა სახელმწიფო ყოველთვის მართალია, ნებისმიერი ბიზნესმენი კი მტყუანი, სახელმწიფომ ყოველთვის უნდა მოუგოს დავა კერძო პირს!

ამიტომ — უარი ქართულ არბიტრაჟს, რომელიც დავებში მხარს უჭირს ბიზნესმენებს.

ამიტომ — ვიწვევთ ძვირადღირებულ უცხოურ არბიტრაჟს, რომელიც მოაგებინებს სახელმწიფოს.

მაქვს იდეა: **ხომ ამდენი ლაპარაკია ჩვენი სასამართლოს უსამართლობასა და უნიათობაზე, იმაზე, რომ ის ყოველთვის მხარს უჭერს სახელმწიფოს მოქალაქეების წინააღმდეგ, მოსამართლეებიც უცხოეთიდან მოვიწვიოთ.**

**ასევე შეიძლება მოვიწვიოთ პროკურორები, მინისტრები, პარლამენტარები და სულაც...**

**რით არ არის მისაღები იდეა?**



### გარიკ, შე ჩემა!

**კოდორის ხეობაში დიდი ცვლილებებია: წესრიგი მყარდება, კვიციანის მომხრეებს იჭერენ, იარაღს იღებენ, მონებს ათავისუფლებენ, მოჭრილ ხე-ტყეს სახელმწიფო საკუთრებაში გადასცემენ, გზა-ხიდსკოლა-ამბულატორია-აეროპორტის მშენებლობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების ხეობაში გადაბარგება — თავისთავად.**

ეს ყველაფერი ხდება, მაგრამ უცვლელი რჩება კითხვა: სად არის ყველა ამ ცვლილების ინიციატორი ემზარ კვიციანი? უკვე აიყვანეს მისი არა მხოლოდ თანამებრძოლები, არამედ ოჯახის წევრიც და პოლიტიკური თანამგრძნობიც, თვით ემზარი კი არ ჩანს, არც ხეობაში, არც სოხუმში და არც მოსკოვში.

ხმები კი დადის...

როგორც ძველად ყველა გზა რომში მიდიოდა, ახლაც ყველა ხმა ემზარ კვიციანის ხეობიდან გასვლის ვარიანტებზე, აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის გარი კუპალბას სახელს უკავშირდება. ისიც კი თქვეს, სოხუმში სწორედ მის სახლში იმალებაო.

მართალია, ეს კუპალბა თავს იკლავს, ჩემს სახლში რა უნდაო, საერთოდ, რა საქმე მაქვს იმ კაცთანო, ეს ყველაფერი ქართველებმა იმიტომ მოიგონეს, რომ ამ საბაბით აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოსულიყვნენ, როგორც ეს 1992 წელს გააკეთესო.

არადა, კუპალბა აშკარად ცრუობს იმ ნაწილში, თითქოს კვიციანთან უბრალო ნაცნობობა აქვს.

ჯერ ერთი, აფხაზი მაღალი თანამდებობის სამხედრო მოსამსახურე აუღებელი კოდორის „უბრალოდ ნაცნობ“ პირველ პირთან დედის გარდაცვალების გამო სამძიმარზე არ ჩავა, თანაც საქვეყნოდ დასანახად — ვერტმფრენით. მეორეც, ეს კუპალბა კვიციანის უბრალოდ ნაცნობი კი არა, ძმა და პირის ზიარება იყო.

ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ემზარის დამ ნორა კვიციანმა კუპალბა ერთხელ ასე მოიხსენია — „გარიკაო“. როცა და ძმის ნაცნობს „გარიკას“, „სლავიკას“ ან „ვიტალიკას“ უწოდებს, ეს ნიშნავს, რომ თვით, ძმა ახლობლურად სულ ცოტა ასე უნდა მიმართავდეს „გარიკ, შენ ჩემაო“.

ჰოდა, ამ „შე ჩემა გარიკამ“ ნამდვილად იცის ემზარ კვიციანის ასავალ-დასავალი. სადღაც საიმედოდ ჰყავთ მიმალული და, როცა საჭიროდ მიიჩნევენ, გამოაჩენენ კიდეც. ეგრე არ ჰყავდათ იგორ გიორგაძე „ზურგჩანთაში“ გამზადებული წლების მანძილზე?

ისე რომ, თუ, ჩვენ რომ ვიცით იქიდან, განმათავისუფლებელი არმია (მაგალითად, როგორც XI არმიაძ წამოვიდა, მათ სათავეში სწორედ ქართველები ედგებიან, მთავარსარდალი და ერთ-ერთი დივიზიის მეთაური, როგორც ვხედავთ, უკვე ცნობილია...

### თითოეულს მაშინ დაიჭერენ, როცა მისი დრო მოვა

**ხელისუფლების მოწინააღმდეგეების „პოლიტიკურ თანამგრძნობთა“, ანუ განსხვავებულად მოაზროვნეთა დაჭერები უკვე დაიწყო.**

**ეს პროცესი, ალბათ, თანდათანობით უფრო დაიხვეწება და გამასობრივდება.**

ზოგიერთი სულსწრაფი პოლიტიკოსი უკვე დღეს არ არის დაჭერის წინააღმდეგი ხელისუფლების ანტიდემოკრატიულობისა და ჟანდარმულობის წარმოსაჩენად და, რომ იტყვიან, პირდაპირ უდებს თავს ხახაში მგელს — შინაგან საქმეთა სამინისტროს.

მაგრამ ბატონ ვანოს უწყებამ მშვენივრად იცის, ვინ როდის და რა საბაბით დაიჭიროს. ამიტომ ამ სულსწრაფებზე ზუსტად ისე რეაგირებს, როგორც გასული საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში საქართველოს ჩეკას თავმჯდომარე კოტე ცინცაძე რეაგირებდა ერთი ცნობილი მწერლის ცდაზე, როგორმე ორიოდ თვით დაეჭირათ ჩეკისტებს, რათა ევროპაში ხმა გავარდნილიყო, არიქა, ეს მწერალი დაიჭირესო — კოწია, ჭიპზე რომ გასკდე, მაინც არ დაგიჭერო.

მაშინ დაიჭირეს, როცა დრო დაუდგა.

ახლაც ასეა — ყველას მაშინ დაიჭერენ, როცა მისი დრო მოვა.

**ალეკო ასლანიშვილი**

◉ ინფორმაცია

## არასამთავრობოები მოითხოვენ...

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი“ აღშფოთებას გამოხატავს ბოლო დროს კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენების გამო და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართვას უგზავნის.**

**არასამთავრობო ორგანიზაციის ინფორმაციით, კოდორის ხეობაში უდანაშაულო ადამიანებს, უმეტესად ძებნილთა ნათესავებსა და მათი ოჯახის წევრებს აკავებენ და სცემენ. ბატალიონ „მონადირის“ წევრებს კი ტაბელური იარაღის ჩაბარების შემდეგ შესაბამის ცნობას არ აძლევენ.**

**ადამიანის უფლებათა საინფორმაციო ცენტრის განცხადებით, დასადგენია სოფელ ჩხალთის დაბომბვის კანონიერება და ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „მაგთიკომმა“ ხელისუფლების მოთხოვნით 3-4 დღის განმავლობაში კოდორის ხეობის სატელეფონო ანძები ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გათიშა.**

## აფსუებო, ცეცხლს ნუ ეთამაშებით!

**გუშინ დილით კოდორის ხეობის სოფელ ლათასთან განლაგებულმა აფხაზურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმების პოზიციებს ცეცხლი გაუხსნეს.**

**როგორც მედიანიუსს სარწმუნო წყარომ აცნობა, ქართული პოზიციებისკენ სეპარატისტები მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებით და ნაღმტყორცნებით ისროდნენ.**

**სროლის პარალელურად ქართული პოზიციებისკენ გადაადგილება სცადა აფხაზთა 20-კაციანმა რაზმმა. თუმცა მათ გადაწყვეტილება მას შემდეგ შეცვალეს, რაც ქართულმა სპეცრაზმმა აფხაზურ მხარეს აცნობა, რომ თუ გადაადგილებას გააგრძელებდნენ, გაიხსნებოდა საპასუხო ცეცხლი.**

**სარწმუნო წყაროს თქმით, ქარ-**



**თული შეიარაღებული ქვედანაყოფები თავს იკავებენ საპასუხო ცეცხლის გახსნისაგან, თუმცა თუ გაგრძელდება ქართული პოზიციების პერმანენტული დაცხრილვა, ადეკვატური ზომები აუცილებლად იქნება მიღებული.**

**მედიანიუსი**

## პირველი იუსტიციის სახლი კოდორში...

**კოდორის ხეობაში, პირველი იუსტიციის სახლი მიმდინარე წლის სექტემბრის შუა რიცხვებში გაიხსნება.**

**ამის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით მიიღო.**

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ მალხაზ აკიშბაიამ და იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ გუშინ იუსტიციის სამინისტროში ერთობლივად გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს.**

**გია ქავთარაძის განცხადებით, იუსტიციის სახლში სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები, ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების რეგისტრაციის სამსახური და სანოტარო ბიურო ამოქმედდება.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ კონფლიქტის ზონა

## დაჭრეს ქართველი პოლიციელები

**ავნევი ფრონეს ხეობაში ერთი ძლიერი სოფელია, რომელსაც გარშემო რამდენიმე ოსური სოფელი აკრავს. სიტყვა „ოსური“ აქ ოსებით დასახლებულს ნიშნავს, თორემ საქართველოში ოსური, აზერბაიჯანული, ქართული თუ სომხური არავის გაუყვია, — ხალხი გვერდიგვერდ ცხოვრობს, შრომობს და საქმიანობს. ეს — თვითმარქვია ცხინვალის მთავრობის დაქირავებული შეიარაღებული ბანდებია, უკვე დღისითაც რომ აშინებენ და აშანტაჟებენ მოსახლეობას.**

გუშინ, შუადღისით, ცხინვალელმა მოთარეშეებმა არც ამჯერად უღალატეს თავიანთ ჩვევას — მუხანათურად, ქურდულად შემოაღწიეს ავნევში და სოფლის საყდრის სიახლოვეს სროლა აუტეხეს ქართველ პოლიციელებს. დაჭრილები ზურაბ დურგლიშვილი, მერაბ ჭავჭავაძე და დავით კობალაძე სასწრაფოდ გადაიყვანეს ქარელისა და გორის საავადმყოფოებში.

გუშინვე ადგილზე ჩავიდა შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი. მან თქვა, რომ სასწრაფოდ გაძლიერდება ფრონეს ხეობის პოლიციის ქვეგანყოფილება, განხორციელდება სხვა ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხეობას ქართული მოსახლეობის სიმშვიდესა და უსაფრთხოებას.

**გურამ პავლიაშვილი**



◉ აქტუალური თემა

## ერთიანი კანდიდატი ჯერ არ დასახელებულა

**ოპოზიციური პარტიები ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით კონსულტაციებს განაგრძობენ. არ არის გამორიცხული, ლეიბორისტების მსგავსად არჩევნებს ბოიკოტი სხვა ძალებმაც გამოუცხადონ. ყოველ შემთხვევაში, აშკარა გახდა, რომ ოპოზიციური შვიდეული ორ ნაწილად გაიყო. ოთხი პარტია ემხრობა ბოიკოტს, ხოლო სამი პარტია — „კონსერვატორები“, „რესპუბლიკელები“ და „მრეწველები“ მოითხოვენ, რომ ოპოზიციამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს.**

ერთი ოპოზიციური პარტია — „საქართველოს გზა“ უკვე აწარმოებს წინასაარჩევნო კამპანიას. სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ ის იქნება მეროების კანდიდატი. მისმა პარტიამ რეგისტრაციისთვის ხელმოწერების შეგროვება დაიწყო, რისთვისაც თბილისის რამდენიმე უბანში და საქართველოს რეგიონებში შესაბამისი მაგიდები დაიდგა. სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ მისთვის სულერთია, ვინ იქნება ოპოზიციის მეორე კანდიდატი, ის გამარჯვებისთვის ბოლომდე იბრძოლებს.

შედგება თუ არა საერთო ოპოზიციური ბლოკი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჯერჯერობით ძნელია. პოლიტიკური პარტიების წევრების განცხადებით, ერთიანი კანდიდატი მხოლოდ იმ შემთხვევაში დასახელდება, თუ ერთიანი ბლოკის ჩამოყალიბება მოხერხდება. თუმცა, უკვე დასახელდა რამდენიმე სავარაუდო კანდიდატი. მათ შორის არიან ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი, გოგა ხაინდრავა, კოგა დავითაშვილი და თინა ხიდაშელი.

— როდესაც საარჩევნო ბლოკი ვიქნებით, შემდეგ გადაწყდება, ვინ იქნება ჩვენი ერთიანი კანდიდატი. პრობლემა მდგომარეობს არა რომელიმე კანდიდატში, არამედ იმაში, რომ ზოგიერთ პარტიას ბოიკოტისკენ მიუწევს გული, — განმარტავენ „რესპუბლიკელები“. მოგეხსენებათ, რესპუბლიკელებს, კონსერვატორებს და მრეწველებს მყარად აქვთ გადაწყვეტილი, არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ. ეს გადაწყვეტილება არ შეიცვლებაო, აცხადებენ ისინი. უფრო მეტიც, მაგალითად, დავით ბერძენიშვილი დარწმუნებულია, რომ „ოპოზიციის გამარჯვების შანსები თბილისში გაცილებით მაღალია, ვიდრე ხელისუფლებას სურს“.

ოპოზიციის პროგნოზს ღიმილისმომგვრელად მიიჩნევს დედაქალაქის მერი გიგი უგულავა და აღნიშნავს, რომ ოპოზიციაში ერთსულოვნება არ არის. გადაცემა „არგუმენტის“ ეთერში თბილისის მერმა ამასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა: „კარგი იქნებოდა, რომ ჩვენ გვყავდეს ძლიერი ოპოზიცია. მართალია შესანიშნავი შვიდეული გეგონება, ისე საუბრობენ ამ შვიდეულზე. ცოტა ღიმილისმომგვრელია ეს ყველაფერი“.

ოპოზიცია კი კონსულტაციებს განაგრძობს. გავრცელებული ინფორმაციით, ოპოზიციას გოგა ხაინდრავას თანხმობა, გახდეს მეროების კანდიდატი, ჯერ არ მიუღია. ასევე, გაურკვეველია, არის თუ არა შეთავაზებულ წინადადებაზე თანახმა ბადრი პატარკაციშვილი.

**მზია გელენავა**

◎ განსჯა

# დღეს რომ ნაპოლეონიც გააცოცხლო და სტალინიც, თბილისში უგულავასთან ნამდვილად დამარცხდებიან, —

ამბობს პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი



**— ბატონო ჰამლეტ, როგორ შეაფასებთ კოდორის სპეცოპერაციას და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ხეობაში გადასვლის გადაწყვეტილებას?**

— ამ ოპერაციით, ერთი მხრივ, ჩვენი გავლენა აღდგა ამ რეგიონზე, რაც კარგა ხნის განმავლობაში არ ყოფილა — იქ ემზარ კვიციანი ღმერთიც იყო, ბატონ-პატრონიც და ყველაფერსაც აკეთებდა.

რაც შეეხება აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის იქ გადაყვანას, ეს ნაბიჯი მხოლოდ საკუთარი თავის დამშვიდებას ემსახურება, თორემ რეალობა სულ სხვაზე მეტყველებს. ჯერ ერთი, ამ ნაბიჯმა აფხაზები ძალზე გაამწარა, რამდენიმე ადგილას ჭურვებიც კი აფეთქდა. არ არის გამორიცხული, ეს ყველაფერი სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს.

ფაქტობრივად, კოდორში მუდმივი ცხელი წერტილი შეიქმნა. იქ გადასულ აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას არავითარი ძალაუფლება არ გააჩნია, ხელისუფლება აქვს იმას, რომელიც სოხუმშია და ჩვენ ფაქტობრივს ვუწოდებთ.

კოდორის ეს პატარა ტერიტორია არ გულისხმობს იმას, რომ ხვალ გაცილებით უკეთეს ვითარებაში აღმოვჩნდებით. უკეთესი ვითარება კი დიალოგით, გზის გაკვალვით შეიქმნება. ჩვენი ხელისუფლება ამბობს, რომ ყველაფერს დიპლომატიით მოაგვარებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ქმედება სხვაზე მეტყველებს.

ასე რომ, კოდორი კიდევ ერთი ახალი თავის ტკივილია, რომელიც გარკვეულ პრობლემებს ჩვენც შეგვიქმნის და დიპლომატიურ მოლაპარაკებებსაც.

**— საზოგადოების ერთი ნაწილი აღფრთოვანებულია კოდორში აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის განთავსებით, ფაქტობრივად, აფხაზეთში შეიქმნა ორხელისუფლებიანობა, თქვენ ეს წარმატებულ ნაბიჯად არ მიგაჩნიათ?**

— წარმატებულ ნაბიჯად იქ რაღაცნაირად ხელისუფლების დაფიქსირება მიმაჩნია. მაგრამ ის ფაქტი, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ეს ნაბიჯი აფხაზეთის დაბრუნებისკენ გადადგმულად მიაჩნია, ძალისმიერი მეთოდებით უნდა განხორციელდესო, ამ აზრს ნამდვილად ვერ გავიზიარებ.

ძალისმიერი მეთოდებით აფხაზეთის დაბრუნებას მთლიანად საქართველო გადაყვება. ზოგი პოლიტოლოგი ფიქრობს, რომ ომით წაგებული ომით უნდა დაიბრუნო, მაგრამ ერთი წუთითაც არ დავფიქრდები, ისე ვიტყვი: ჯერ ერთი, ამ პოლიტოლოგებმა ენას კბილი დააჭირონ, ასეთი უადგილო რჩევების მიცემას სჯობს, გონივრული რამ ურჩიონ ამ ხელისუფლებას. მეორე — წავლენ თვითონ საომრად? საკუთარ შვილებს და ახლობლებს გაუშვებენ საომრად? რაღაც ეჭვი მეპარება. წამქეზებლობა კი ნამდვილად არ ვარგა.

დავუშვათ, საქართველო ფსოუმდე გავიდა, მერე როგორ შევინარჩუნებთ ამ ტერიტორიას? ტერიტორიის შენარჩუნება ომის მოგებაზე რთულია.

ასე რომ, თავს შევიკავებდი ყოველგვარი მილიტარისტული განცხადებისგან, მით უმეტეს, ამის საფუძველი დღევანდელ ხელისუფლებას და ქვეყანას ნამდვილად არ გააჩნია.

ისრაელის მაგალითად მოტანა ძალზე დიდი შეცდომაა. ისრაელს ასჯერ და ათასჯერ მეტად ეხმარება ამერიკის შეერთებული შტატები, ვიდრე — საქართველოს. თანაც ისრაელი ამ 50 წლის განმავლობაში ომებში ისე გაიწაფა, უკვე ჩამოყალიბებული სახელმწიფოა, რომელსაც არაბული სამყაროს გამკლავება შეუძლია. თქვენ წარმოიდგინეთ, ლიბანის ჰესბოლას წინააღმდეგ წარმოებულ ომს ისრაელმაც თავი ვერ გაართვა. იგი ყოველთვის განთქმული იყო ორდღიანი, სამდღიანი, ერთკვირიანი ომებით, მაგრამ ამჯერად ისრაელი სამ კვირაზე მეტ ხანს ომობს და შედეგი არ ჩანს, იმის გარდა, რომ მთელი მსოფლიო აიმხედრა.

ამრიგად, ასეთ გზას ნამდვილად არ ვურჩევდი საქართველოს ხელისუფლებას.

**— ამბობენ, რომ კოდორის სპეცოპერაცია კარგად დადგმული სპექტაკლი იყო, ხელისუფლებამ კვიციანი გამოიყენა სხვა პრობლემებიდან ყურადღების გადასატანად — თუნდაც ოპოზიციისთვის ანგარიშის გასასწორებლად...**

— დღეს თითქოს ასე ჩანს. არა მგონია, ჩვენი ხელისუფლება კულუარულ სვლებში გაწაფული იყოს, ასეთი რამ რომ დაედგა, მაგრამ ასე კი გამოვიდა.

ამით უსერიოზულესი სოციალური საკითხებიდან ყურადღება გადაიტანეს პატრიოტიზმზე. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აენთო, დღეს თუ ხვალ, აფხაზეთს ვიბრუნებთო. ეს ერთი. მეორეც, ოპოზიციას, გარკვეულწილად კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, რადგან ოპოზიცია კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ამ სპეცოპერაციას კოდორში. ამ დროს მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ოპოზიცია დაწიხლა და ხელისუფლების ნაბიჯი გაამართლა.

ამას მოჰყვა რეპრესიებიც. მაგალითად, ბათიაშვილი დააპატიმრეს. თუმცა, ალბათ, ამაზე არც შეჩერდებიან, თუ ცხადია, კანონში ცვლილებები შეიტანეს.

ასე რომ, ამ ყველაფრით უნივერსიტეტის საკითხიც, გირგვლიანის მკვლელობაც განეიტრალდა... უსაშველო სიცხეც მოქმედებს ჩვენს პოლიტიკურ განწყობაზე. გაგანია აგვისტოა და ხალხი დასასვენებლად მიილტვის.

სექტემბერში გეგმავს ოპოზიცია რაღაც სერიოზულ გამოსვლებს, თუმცა ამის წინაპირობა თითქოს ჩაიშალა.

არა მგონია, ხელისუფლებას ეს ყველაფერი გაეთვალა. უბრალოდ, თავისთავად ასე გამოუვიდა, მაგრამ თუ გათვლილი ჰქონდა, მაშინ ბარაქალა მის გონება-გამჭრიახობას.

**— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ახლოვდება. ზოგიერთი ოპოზიციური პარტია ბოიკოტს უცხადებს არჩევნებს, ზოგი კი, პირიქით — მონაწილეობს. როგორია თქვენეული დასკვნები?**



— ძალიან სასაცილო ვითარებაა შექმნილი. დაახლოებით ერთი თვის წინათ შვიდმა ოპოზიციურმა პარტიამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. ნათელაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა და როგორც თავად ბრძანა, თან წაიღო უსტარი ამერიკელებისთვის. იქ ახსნილი იყო, რატომ აპირებდა ბოიკოტს ეს შვიდი პარტია, — რომ არ არსებობს დემოკრატია, სათანადო საარჩევნო კანონი...

დღეს უკვე ვითარება შეიცვალა, რაც ჩემი აზრით, შევარდნაძის დროსაც ხდებოდა, ანუ ოპოზიცია ყოველთვის ყვიროდა ბოიკოტზე, მაგრამ მმართველებთან საერთო ენის გამოძებნის შემდეგ, ერთ-ორ ადგილზე შეთანხმდებოდა და ამით არჩევნებში მონაწილეობდა.

ხელისუფლებას ნამდვილად ხელს არ აძლევს, რომ პარტიებმა არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღონ, ამიტომ ხელისუფლებამ თავის დაგეგმილ ამ პროცესში სალომე ზურაბიშვილი ჩართო და იგი შტრაიკბრეხერად გამოიყენა, ანუ ბოლშევიკური რევოლუციის დროს საბჭოთა კავშირში შტრაიკბრეხერები რევოლუციის იდეას შლიდნენ. ამ შემთხვევაში არჩევნების ბოიკოტის იდეა ხელისუფლებამ თავიდანვე ჩააშლევინა სალომე ზურაბიშვილს. ამას ემატება ისიც, რომ ამ ბოლო დროს, ალბათ, რაღაც კონტაქტები დამყარდა მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის. მრეწველები კატეგორიულად ამბობენ, რომ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ, ახალი მემარჯვენეები თავს იკავებდნენ და უკვე შეიცვალეს შეხედულებები, რესპუბლიკელები და კონსერვატორები თავიდანვე განეწყნენ არჩევნებისთვის. ასე რომ, ფაქტობრივად, გვერდზე აღმოჩნდა ნათელაშვილი, რომელიც კატეგორიულად უარს ამბობს არჩევნებში მონაწილეობაზე.

კაცმა რომ თქვას, რეალობა რას გვიკარნახებს? იმას, რომ ამ საარჩევნო კანონმდებლობით და იმ ადმინისტრაციული რესურსით, რომელიც ამ ხელისუფლებას აქვს, ასევე, ხელისუფლების ფინანსებით, საარჩევნო კომისიებით, ხელისუფლებას ასპროცენტიანი მოგება უდევს ჯიბეში. ანუ, დღეს რომ გააცოცხლო ნაპოლეონიც, სტალინიც ერთად, თბილისში აშკარად წააგებენ უგულავასთან. უგულავას ქალაქის მერობა უკვე გადაწყვეტილია. დანარჩენი, ფაქტობრივად, უბრალო თამაშია.

ასე რომ, აქედან გამომდინარე, თუკი ოპოზიციამ ვერ მოძებნა მმართველ პარტიასთან „პატარა მომიტეხეს“ შანსი (და ვეჭვობ, რომ ვერ მოეძებნაძ, ბოიკოტზე უარის თქმას გადაწყვეტს, თორემ, ბავშვმაც კი იცის, რომ ხელისუფლება ამ არჩევნებს ასი პროცენტით მოიგებს, ყველა იმ რესურსის გათვალისწინებით, რაც ჩამოგითვალეთ.

ესაუბრა
თამარ შაიშმელაშვილი

◎ ინფორმაცია

## აბა, შენ იცი, შალვა-ჩემო!..

**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ხელისუფლებას ელექტროენერგიაზე ტარიფის გაზრდის ანუ „პიკური ტარიფის“ შემოღების მცდელობაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ამას ქვეყნისთვის უმძიმესი შედეგები მოჰყვება.**

**„ხელისუფლება ჩვენ მიერ დაწეული ელექტროენერგიის ტარიფის აწევით არ კმაყოფილდება და პიკური ტარიფის დაწესება სურს. ამის შემდეგ ქვეყანაში მხოლოდ სააკაშვილის გუნდი და ელექტრობოძები დარჩებიან“, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.**

**„ჩვენ მთელ საქართველოს მოვუწყრით თავს სახელმწიფო კანცელარიასთან და ამას გინდა ამბოხება დაარქვან და გინდა გადატრიალება. ამის შემდეგ ამ ხელისუფლების საქმე მართლაც დამთავრებული იქნება“, — ამბობს ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე.**

## ირაკლი ბათიაშვილს ბევრი ამართლებს

**გაზეთ „კვირის პალიტრის“ 31.VII-3.VIII გამოკითხვის თემას — „უჭერდა თუ არა მხარს ირაკლი ბათიაშვილი შეიარაღებულ ამბოხებას?“ — 325 მკითხველი გამოეხმაურა. შედეგები ასე გამოიყურება:**

| | |
|---|---|
| **დიახ** | **— 28 პროცენტი.** |
| **არა** | **— 35.5 პროცენტი.** |
| **მიჭირს პასუხის გაცემა** | **— 28.2 პროცენტი.** |

**ინტერპრესნიუსი**

## ამათთან პატარკაციშვილიც ვერას გახდება!..

**ექსპერტ ვახტანგ ხმალაძის აზრით, თუ გაერთიანებული ოპოზიცია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში თბილისის მერის თანამდებობაზე ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის კანდიდატურას დაასახელებს, ამან შეიძლება ოპოზიციას გარკვეული უპირატესობა მიანიჭოს.**

**თუმცა, ხმალაძის განმარტებით, ამ შემთხვევაშიც რომელიმე „ხმაურიან გვარ-სახელს“ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება, რადგან ყველაფერი საარჩევნო ტექნოლოგიებზე იქნება დამოკიდებული.**

**„კერძოდ, ოპოზიციურმა პარტიებმა უნდა აუხსნან მოსახლეობას, რომ თბილისში გზების დაგება და სხვა მშენებლობები მმართველი პარტიის ფულით კი არა, გადამხდელთა ფულით ხდება. ასევე ოპოზიცია უნდა შეეცადოს საკუთარი მხარდამჭერი ამომრჩეველი მიიყვანოს საარჩევნო ყუთთან“, — ამბობს ხმალაძე.**

**წინააღმდეგ შემთხვევაში, ექსპერტით თქმით, ოპოზიციას ხელისუფლებისთვის კონკურენციის გაწევა გაუჭირდება, მიუხედავად იმისა, მათი კანდიდატურა „პატარკაციშვილი იქნება, ხაინდრავა, თუ სხვა ვინმე“.**

**მედიანიუსი**

◎ რადიკალური ოპოზიცია

# გიორგი გუგავა: მხოლოდ ბოიკოტი. ჯერჯერობით პოზიციის შეცვლას არ ვაპირებთ

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ლამის კარს მოგვადგა, ამან კი ერთ-იორდ გამოაცოცხლა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება. რა დროს პოლიტიკა და არჩევნებია ამ პაპანაქება სიცხეშიო, ამტკიცებს ზოგიერთი, სკეპტიკურად განწყობილი მოქალაქე. ამ მოსაზრებას საქმით აბათილებენ ჩვენი პოლიტიკოსები, რომელთაც ვერც 40-გრადუსიანი სიცხე აშინებთ, ვერც თოვლი და ვერც ყინვა.**

**მოახლოებული თვითმმართველობის არჩევნებზე თავისი პარტიის პოზიციას გვიზიარებს ბატონი გიორგი გუგავა.**

— ლეიბორისტული პარტია ამ არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს: ამის მიზეზებს ახლავე ჩამოგითვლით: 1. ის საარჩევნო სისტემა, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკურმა გარემოცვამ შემოგვთავაზა. ეს სისტემა საერთოდ არ ითვალისწინებს მოსახლეობის განწყობას და აკანონებს ნაციონალური მოძრაობის გამარჯვებას.

2. საარჩევნო ადმინისტრაციები, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ დააკომპლექტა. ამას დავუმატოთ ძალადობა, რასაც გამოიყენებენ არჩევნების დროს, საბიუჯეტო სახსრები, რომელიც ხმარდება არა ქვეყანას, არამედ მათ მიერ მოწყობილ წინასაარჩევნო შოუს. ხატოვანი შედარებით, ეს იგივეა, მოკრივე რინგზე ხელშეკრული რომ გავიდეს ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ, მსაჯიც მოწინააღმდეგის ბანაკიდანაა.

ასეთ პირობებში არჩევნებში მონაწილეობა ნიშნავს, რომ სააკაშვილის რეჟიმს შევუქმნათ დემოკრატიულობის იმიჯი. ხელისუფლებას არჩევნების დროს ოპოზიცია სჭირდება იმის შირმად, ილუზიად, რომ ეს პროცესი დემოკრატიულად ტარდება.

ხალხმა ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს არჩევნებს, არჩევნების დღე კი საერთოსახალხო წინააღმდეგობის დღედ უნდა იქცეს. მთელ მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ ჩვენი საერთო ნება და ერთიანი ძალით მოვიშოროთ ხელისუფლება, რომელიც საკუთარ ხალხს მტრად ექცევა. გავუყენოთ ის თავისი პოლიტიკური მამობილის გზას.

**— ბატონო გიორგი, არსებობს მოსაზრება, რომ ეს ბოიკოტი ამცირებს ლეიბორისტული პარტიის წარმატების შანსს, ისევე, როგორც ეს მოხდა ადრე, საკრებულოს არჩევნების ბოიკოტის შემდეგ.**

— ჩვენ ადრე თვითმმართველობის არჩევნებისთვის ბოიკოტი არ გამოგვიცხადებია, გავიმარჯვეთ, მაგრამ ძალთა იმ განლაგების გამო, რაც მაშინ იყო, ვერ შევძელით საკადრისი წინააღმდეგობა გაგვეწია სათავეში მოსული პოლიტიკური ძალისთვის. ეს გამოწვეული იყო მანდატების სიმცირით. რაც შეეხება ახლანდელ ბოიკოტს, ეს უნდა იყოს აქტიური, მიზანდასახული პროცესი, რომ ჩვენ მშვიდობიანი, კონსტიტუციური გზით შევცვალოთ ეს ხელისუფლება. სხვა შემთხვევაში ჩვენ ვიქნებით სტატისტის როლში და ხელს მოვაწერთ ამ რეჟიმის გამარჯვებას.

**— თქვენ ბოიკოტს უცხადებთ არჩევნებს, სხვა ოპოზიციური პარტიები კი — არა. ხომ არ შეუწყობს ეს ხელს ოპოზიციურ ძალთა დასუსტებას?**

— ჩვენი ბოიკოტი არ ნიშნავს იმას, რომ ოპოზიციას ვემიჯნებით. ჩვენ ვმონაწილეობთ ერთობლივ კონსულტაციებში, მიდის აქტიური მსჯელობა, თუმცა ყველა ოპოზიციური პარტია დამოუკიდებლად წყვეტს თავის სტრატეგიასა და ტაქტიკას. ხელისუფლების შეცვლა ყველას სხვადასხვა გზით წარმოუდგენია. ჩვენ პატივს ვცემთ ერთმანეთის შეხედულებებს და ამაშია ოპოზიციურ ძალთა სიძლიერე.

**— ოპოზიციამ წამოაყენა რამდენიმე კანდიდატი მერის თანამდებობაზე. თქვენთვის რომელია უფრო მისაღები, რომელს შეიძლება მხარი დაუჭიროს ხალხმა?**

— თბილისში მერის პირდაპირი არჩევნები არ ხდება. ჩვენ ბოიკოტს ვუცხადებთ არჩევნებს, ამდენად ბოიკოტს ვუცხადებთ ყველა კანდიდატს რა მისაღებიც არ უნდა იყოს ის ჩვენთვის.

**— ბევრი მოქალაქე სკეპტიკურად არის განწყობილი არჩევნებისადმი: მიაჩნიათ, რომ ის გაყალბდება...**

— ამ ადამიანთა სკეპტიციზმი გამართლებულია: ქვეყანაში კარგა ხანია გაუყალბებელი არჩევნები არ ჩატარებულა. ამ ბოროტებას რომ შეებრძოლო, სათავე უნდა მოსპო. რაც უნდა დიდხანს იკითხო სახარება მგლის თავზე, ის ცხვარს მაინც შეჭამს. ისინი შეეჩვივნენ არჩევნების გაყალბებას და ვერც გადავარჩევთ. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ ამ ხელისუფლებას ყოველგვარი არჩევნები უკან დარჩეს. ბოიკოტი უნდა გადაიზარდოს სახალხო გამოსვლებაში და ისინი უნდა გავუყენოთ პოლიტიკური მოუსავლეთის გზას.

**— თქვენი პოზიცია არ შეიცვლება?**

— ეს დამოკიდებულია პოლიტიკურ გარემოზე. ჯერჯერობით ჩვენ არ ვაპირებთ პოზიციის შეცვლას და ვცდილობთ ეს შეხედულება გაიზიარონ სხვა პარტიებმაც.

ესაუბრა
ხათუნა ჩიგოგიძე

◉ პროფკავშირები

# ჩვენ ადამიანის უფლებების დასაცავად ვიბრძოლებთ

**საქართველოს პროფესიული კავშირები ერთ დროს საკმაოდ მძლავრი ორგანიზაცია იყო. მას არაერთი კარგი საქმე გაუკეთებია იმ ეპოქაში მომუშავე ადამიანებისათვის.**

**ქალბატონი ლეილა დუნდუა გამომცემლობა „სამშობლოს“ პროფკავშირების თავმჯდომარეა აგერ, უკვე ათი წელია. ის დღესაც მოუწოდებს შენობაში განთავსებულ ორგანიზაციებს, რათა გაერთიანდნენ პროფკავშირებში, რომელსაც ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია მათთვის. საწევრო ხელფასის ერთ პროცენტს შეადგენს, რადგან სწორეს ეს გახლავთ ორგანიზაციის შემოსავალი. ხოლო რაც მეტი ხალხი გაწევრიანდება, მით უფრო ძლიერი იქნება პროფკავშირებიო, — ამბობს იგი.**

ლეილა დუნდუა პროფესიით ინჟინერ-პოლიგრაფისტია. კარგად იცის ამ დარგში შექმნილი პრობლემები. აღსანიშნავია, რომ გამომცემლობა „სამშობლოს“ ირგვლივ შექმნილი სკანდალის დროს, რომელიც შენობის გაყიდვას შეეხებოდა, უფრო პროფკავშირი აქტიურობდა. მათ კი გვერდში ედგა ქალბატონი ციცო ჯაფარიძე — კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის თავმჯდომარე.

**— ქალბატონი ციცო ჩვენს მიმართ ძალზე ყურადღებიანია, სურს, რაც შეუძლია დაეხმაროს ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებს. მისი ენერგია და მონდომება პირდაპირ საკვირველია. უხმაუროდ აკეთებს სიკეთეს. საქმიანობაში მას გვერდში უდგას ქალბატონი სემიდა ჯმუხაძე. მე არ ჩამოვთვლი იმ სასიკეთო საქმეებს, რომელიც მათ უკეთებიათ და დღესაც აკეთებენ. ქალბატონი ციცო ჯაფარიძე ჩვენს გვერდით იდგა იმ მძიმე დღეებში, როდესაც გამომცემლობის შენობის ბედი წყდებოდა და ჩვენს გასაჭირს იზიარებდა. იყო სტიმულის მიმცემი და გამომცემლობის კოლექტივის იმედი.**

არ არის საკითხი, რომელ სფეროსაც უნდა შეეხოს ეს: დახმარება იქნება, დასვენება, მკურნალობა თუ კულტურული ღონისძიებები. იგი ყოველთვის ხალხის ინტერესებს იცავს და ეხმარება. ჩვენი გამომცემლობის კოლექტივი პირადად მადლობას უცხადებს იმ ყურადღებისათვის, რომელიც მან გამოიჩინა. წლეულსაც შემოგვთავაზა და ბევრმა ისარგებლა დასასვენებელ სახლებში შეღავათიან ფასებში, ეს იყო ქობულეთი, ურეკი, ბორჯომი... შემოგვთავაზეს დასასვენებელ ბაზებში ოჯახით დასვენება უსასყიდლოდ (ახალდაბა, ცხვარიჭამია, ქვათახევი). ტრანსპორტი გამოგვიყო ექსკურსიისათვის, გასულ კვირას ვიყავით ბოდბისხევში, ამით დიდი მადლობა დაიმსახურა გამომცემლობის კოლექტივისაგან. ხალხს იმედი და რწმენა აქვს, რომ პროფკავშირი კვლავინდებურად ხალხის გვერდში დგას. ურიგო არ იქნება, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ თუ სურვილი გაუჩნდებათ იმ ადამიანებს, ვინც გამომცემლობის შენობაშია განთავისებული, რომ ჩვენს პროფკავშირში გაერთიანდეს. გამომცემლობის პროფკავშირის კარი მუდამ ღია იქნება იმ მუშაკებისათვის, ვისაც სწამს და სჯერა მისი.



**— ვის აერთიანებს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირი და რა არის მისი ამოცანები?**

— იგი აერთიანებს საქართველოს კულტურის, ფიზკულტურის, სპორტის, ტურიზმის, ხელოვნების ყველა დარგის, პოლიგრაფიის გამომცემლობების, წიგნით ვაჭრობის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ძეგლთა დაცვის, უმაღლესი, საშუალო-სპეციალური სასწავლებლებისა და უწყებების დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების მუშაკებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს, პენსიონერებს, მათ, ვინც აღიარებს და დაიცავს წესდებას.

მისი ამოცანებია პროფკავშირის წევრთა სოციალურ-ეკონომიკური, შრომითი და პროფესიული ინტერესების დაცვა, მათი პროფკავშირულ საქმიანობაში ჩაბმა, კოლექტიურობა და სოლიდარობა, დემოკრატიის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფოსა და საზოგადოებაში, ბრძოლა სამუშაო ადგილების ლიკვიდაციის წინააღმდეგ, შრომის უფლებების განხორციელება კანონმდებლობის ფარგლებში, კონტროლი და ზედამხედველობა. უსაფრთხოებისათვის, შრომის პირობების გაუმჯობესების, კოლექტიური მოლაპარაკებები წარმოებაში და კოლექტიური ხელშეკრულებების გაფორმება. საგაფიცვო უფლებების დაცვა, გაფიცვის თავისუფლად ჩატარების პირობების შექმნა და ცხოვრებაში გატარება ისეთი კანონებისა, რომელიც ხელს შეუწყობს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელ პროფკავშირის წევრთა სოციალურ-ეკონომიკური და შრომითი პირობების გაუმჯობესებას. პროფკავშირის წევრთათვის და მათი ოჯახებისათვის დასვენების და გაჯანსაღების ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას.

**— მაგრამ, ქალბატონო ლეილა, შორიდან ასე ჩანს, თითქოს ამ ორგანიზაციას მომავალი არც ჰქონდეს...**

— დიახ, რადგან სახელმწიფო მას თითქოს ყურადღებას აღარც აქცევს. ჩვენი დიდი სურვილია, რომ პროფკავშირის დანაწევრება არ მოხდეს. ყველა დარგის პროფკავშირი ერთიანი, ერთ მუშტად შეკრული უნდა იყოს. ამით უფრო მეტს გავაკეთებთ, ვიდრე დაცალკევებით. პროფკავშირს დიდი ქონება ჰქონდა, ხალხის მიერ გადახდილი საწევროვროებთან დაგროვილი, მისი დიდი ნაწილი სახელმწიფოს გადაეცა, რაც არასწორად მიმაჩნია. ხალხს თავის ქონებაზე არავინ არაფერს დაეკითხა. არადა, რამდენი გაჭირვებული ადამიანი დადის ამქვეყნად, მიუსაფარი ბავშვი თუ უსახლკარო?..

ჩემი სუბიექტური აზრით, ქონება მათ უნდა მოხმარებოდა! როდესაც ამბობენ, გამომცემლობის შენობა გავყიდოთ და ლიფტები და სახურავები შევაკეთოთო, ესეც არასწორად მიმაჩნია... აქ მომუშავე ხალხმა რაღა ვქნათ? — არანაირი შემოთავაზება რომ არა გვაქვს! ჟურნალისტს შეუძლია, პატარა კუთხეც რომ იშოვოს, იქ დაჯდეს და დაწეროს სტატია, მაგრამ ჩვენ, როგორც ორგანიზაციას, რომელსაც გვაქვს სტამბა, აბსოლუტურად ქუჩაში ვრჩებით. ვერსად ვერ წავალთ და 200 კაცი უმუშევარი გვრჩება. ამიტომაც იბრძვის პროფკავშირი მათი უფლებების დასაცავად...

ესაუბრა
**ლია ჭილაძე**

სურათზე: ლეილა დუნდუა

◉ ინფორმაცია

## ალავერდის მონასტრის სასახლის რესტავრაცია დასრულდა

**საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრმა ალავერდის მონასტრის სასახლის რესტავრაცია დაასრულა.**

**პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი არქიტექტორ-რესტავრატორი პავლე ნუცუბიძეა.**



**საპატრიარქოს სპეციალისტების მიერ შემუშავებული პროექტის შესაბამისად, რომელიც საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ დააფინანსა, შენობა ახალი კრამიტით დაიფარა.**

**მუშაობის პროცესში მრავალი დაზიანება აღმოჩნდა. ავარიული იყო გადახურვის ხის კონსტრუქცია (კოჭები, ნივნივები, ძელები), ჩამოშლილი იყო ორივე ფრონტონი და ა.შ.**

**რესტავრატორებმა, მოახერხეს როგორც ზემოთ მოყვანილი, ისე სხვა დაზიანებების აღმოფხვრა: პირველ რიგში, განახლდა სასახლის გადახურვის ხის კონსტრუქცია და სახურავი რკინაბეტონის სარტყლით შეიკრა. გარდა ამისა, ხელახლა აშენდა ფრონტონები, მთლიანად გადაეწყო აგურის კარნიზები, შეკეთდა დაზიანებული კედლები, საბუხრეები, აივნები. ფასადებზე გამოქარული საპირე წყობა კირის ხსნარით გამოილესა.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ ტურიზმი

# საშური საქმეა და

## ბაზალეთის კომპლექსი მალე დამთავრდება

**დღეს ხშირად ლაპარაკობენ საქართველოს ტურისტულ ორიენტაციაზე. დიდია მიმზიდველობა და ხიბლი ამ გზით სიარულისა, მაგრამ, როგორც ჩანს, მას თან იმდენი ნარ-ეკალი ახლავს, იოლად არ მოგცილდება. ამის მაგალითები არა ერთი და ორი გვიდევს თვალწინ. ერთი მათგანი ბაზალეთის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსია.**

**ჩვენი გაზეთი ამის თაობაზე ჯერ კიდევ 2004 წლის თებერვალში წერდა. წერდა დეტალურად და გულისტკივილით, რომ კომპლექსი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ უნდა დამთავრებულიყო, ჯერაც დაუსრულებელია. ვისი ან რისი მიზეზით? პირდაპირ ვიტყვით — მაშინდელ ხელისუფალთა დაუდევრობითა და უმოქმედობით.**

მოკლე ისტორია ასეთია. აქ, ბაზალეთის ტბის პირას ოდესღაც, ისევე როგორც ბევრ სხვაგან, ღარიბული, ყოველგვარ კომფორტს მოკლებული ტურისტული ბაზა მუშაობდა, სადაც დამსვენებლები და მოგზაურები ძირითადად რუსეთის შორეული კუთხეებიდან ჩამოდიოდნენ. გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა ქვეყანა აირია, აქაურობაც მთლიანად მოიშალა და გაუდაბურდა. დარჩა ხრიოკი ადგილი და ეკალ-ბარდები, სადაც მგლები და ტურებიღა თუ ყმუოდნენ.

აი, ასეთ დროს მოვიდა კაცი — ილია მოსიაშვილი, ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელი, რომელმაც აქაურობას ბარი დაჰკრა და დაიწყო ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა. მან ისრაელელ და ამერიკელ პარტნიორებთან ერთად შექმნა შპს „ცენტრი“ და შეუდგა მძიმე და დამქანცველ, მაგრამ ხალხის საკეთილდღეო საქმიანობას. თანაც თქვა, არავისი არაფერი მინდა, ინვესტიციებსაც მე ჩავდებ, საქმესაც მე წავუძღვებიო, ოღონდ მომეხმარეთ ხელი არ შემეშალოსო.

კი თქვა, მაგრამ გამგონმა ვერ გაიგონა (თუ არ გაიგონა!) და ხელი ნამდვილად შეეშალა. ამდენი ხანია ლაპარაკია წყალზე, მაგრამ წყალი





მაინც დეფიციტურია. არც გზაა, რომელიც 9 კილომეტრზე (ცენტრალური ტრასიდან კომპლექსში მისასვლელამდე) იმდენად ოღროჩოღრო და დანგრეულია, რომ არათუ გერმანელი და ფრანგი დამსვენებელი, თვით მიჩვეული რუსი ტურისტიც კი ვერ გაუძლებს ასეთ მგზავრობას.

ჰოდა, თუ არ გვექნება თანამედროვე ინფრასტრუქტურა და მომსახურება, ბუნებრივია, არ გვექნება ულტრათანამედროვე ტურისტული ინდუსტრიაც. ეს კარგად მოეხსენება ბატონ ილიას და წუხს, ძალიან წუხს!

რაც შეეხება თავად კომპლექსს, რომლის მშენებლობის ძირითადი ნაწილი წელს დასრულდება, როგორც იტყვიან, ავ თვალს არ ენახვება, დიდ მონდომებას ერთდროს ეკალ-ბარდით მოდებული ადგილი წალკოტად უქცევია. ქათქათა ქალაქი უკვე დასრულებულია ადმინისტრაციული სახლით, თეთრი კოტეჯებით, საძინებელი კორპუსებით და სხვადასხვა დანიშნულების შენობებით.

ბატონი ილია ხან ერთ კოტეჯში შეგვიძღვა, ხან მეორეში. ისეთი ნათელი, ისეთი კოპწია ოთახებია, ჰოლებით, აივნებით, საშხაპეებით, სააბაზანოებით თუ მცირე სამზარეულოებით, ინგლისში გაზრდილი ბანოვანებიც კი არ დაიწუნებენ, რიკულებიანი კიბეები ზემო სართულებისკენ მიუყვება. ყოველი აივნიდან იშლება შესანიშნავი ხედი — ბაზალეთის ტბის შემოსარკული ზედაპირი, თოვლიანი მწვერვალები.

კოტეჯები და საძინებელი კორპუსები ერთმანეთთან ფართო ბილიკებით არის დაკავშირებული. დაგებულია ბეტონის მოზაიკური ფილები, დადგმულია ლამპიონები, ტერიტორია გამწვანებულია იშვიათი სილამაზის ძვირფასი მცენარეებით. მზადყოფნაშია რესტორანი, რომელიც ერთდროულად 250 კაცს უმასპინძლებს. ორიოდე ნაბიჯზე უკვე კაფე-ბარია. ცოტა მოშორებით — მუსიკალური შადრევანი და კაზინო ყველა აუცილებელი ატრიბუტით.

პირველ ეტაპზე კომპლექსი მიიღებს 800-მდე სტუმარს. იმუშავებს საკონფერენციო დარბაზი, რომელიც ძირითადად მზად არის. აქვე იქნება დისკოტეკა, ბოულინგი, პოლიკლინიკა და სხვა აუცილებელი ატრიბუტიკა. კეთდება საცურაო, რომელიც კომპლექსის გახსნისას შევა ექსპლოატაციაში. დაიდგმება

## რაც თვალს არ გამოეპარა

### თქვენთან ნათურა ანთია?

**ელექტროენერგიით მომარაგება რომ გაუმჯობესდა, ცხადზე ცხადია, მაგრამ... ტარიფების გადიდებამ დედა გვიტირა! ღმერთმა გაახაროთ თელასელები, თითქმის დღე არ გავა, ვარკეთილში დენი არ გამორთონ. ჰოდა, გვინდა თუ არა, მაინც ვზოგავთ ელექტროენერგიას!**

გულის ფანცქალით ველოდი ქვითარს ტარიფის გაძვირების მერე. მომიტანეს. მიუხედავად მომჭირნეობით ხარჯვისა, მაინც მომიხერხებია 118 კილოვატსაათის დახარჯვა. გადასახადიც შესაბამისი იყო – 18 ლარი და 88 თეთრი. ამ მამაცხონებულ თელასელებს ერთი-ორჯერ რომ გამოერთოთ დენი, იმ 18 კილოვატსაათს გადავრჩებოდი და გადასახადიც 4-5 ლარით ნაკლები იქნებოდა!

თუმცა აგერ, ორიოდე დღის წინათ თქვენს გაზეთში („სრ“, 2 აგვისტოძ, ამოვიკითხე. სემეკი ტარიფების გადასინჯვას გეგმავს, ვინაიდან ელექტროენერგიის ტარიფის პირველი საფეხურის ზღვარი – 100 კილოვატსაათი ძალიან ცოტა ყოფილა. სემეკის თავმჯდომარე გიორგი თავაძე აღიარებს, რომ „პირველი საფეხური მართლაც მიზერულია და შეუძლებელია მის ფარგლებში ჩაეტიოს დაუთოება, ან მსგავსი საყოფაცხოვრებო მოხმარების ელემენტარული ტექნიკის გამოყენება“. მადლობის მეტი რა გვეთქმის, კაცმა შეცდომა გამოასწორა.

სანატრელი ისღა დაგვრჩა, ხელისუფლების სხვა სტრუქტურებმაც მიბაძონ სემეკს და ასევე ოპერატიულად გამოასწორონ შეცდომები, რომლებიც, მოსახლეობის ჭირად, თითქმის ფეხის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება...

### ირანში აკრძალეს. ჩვენთან?

**ენის სიწმინდის დაცვაზე პრესაში დროდადრო გამოჩნდება ხოლმე რაიმე მასალა, მაგრამ მიზანმიმარ-**

## [illegible]

**თული მუშაობა არ წარმოებს. ამის შედეგად საოცრად დანაგვიანდა როგორც სასაუბრო, ისე სალიტერატურო ენა. ეს განსაკუთრებით ოთხმოცდაათიანი წლების – დამოუკიდებლობის შემდეგ მოხდა. როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, სტიმულის მიმცემი ხელისუფლების მაღლაჩინოსნები არიან. განსაკუთრებით სცოდავს პარლამენტი (თუმცა, თუ სადმე სამართალია, პირიქით კი უნდა იყოს!ძ. ტრიბუნაზე შემდგარი დეპუტატები ერთმანეთს ეჯიბრებიან უცხო სიტყვებით მჭევრმეტყველებაში, დამშლელი კი არავინ არის.**

ჩვენთვისაც ჭკუისსასწავლი გადაწყვეტილება მიიღეს ირანში: კანონით აკრძალეს 2 ათასამდე უცხოური სიტყვის ხმარება. ის, ვისაც მაინც მოესურვება „თავის გამოჩენა“, გვარიან ჯარიმას გადაიხდის. ეტყობა, კონტროლის მექანიზმიც მოფიქრებული აქვთ.

ყველაფერში უცხოელებს რომ ვბაძავთ, იქნებ ირანელთა ეს გადაწყვეტილება ჩვენთვისაც ჭკუის სასწავლად გვექცია? თორემ, რა გამოვიდა, აქეთ მავანი და მავანი „უზერავს“, იქით კი კლასიკურ მწერლობას წიხლავენ. სამწუხაროდ, დღევანდელი ახალგაზრდა „მოდური“ მწერლები კი მშობლიური ენის სიწმინდის დაცვაზე მაინცდამაინც თავს არ იკლავენ...

### მადლისა და მარილის ამბავი

**აგვისტოს მზემ თავისი ძალა გვიჩვენა. იმათ, ვისაც ჯიბე ნებას აძლევს, დიდი ხანია, დედაქალაქის ხვატს თავი გაარიდა – ვინ მთაში ირუჯება, ვინ – ზღვაზე. აქ დარჩენილები კი ჩრდილს ვეძებთ, რომ სული როგორმე მოვითქვათ.**

ოთხ აგვისტოს, შუადღისით, გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ, მიწისქვეშა გვირაბში ჩავედი თუ არა, წივილ-კივილის ხმა გავიგონე. მალე თვალიც შევასწარი, ხალხი კისრისტეხით როგორ გარბოდ-გამორბოდა. მიზეზიც მალე დავადგინე: ჯანიან მუტრუკებს ხელში შლანგები ეჭირათ – გადასასვლელის იატაკსა და კედლებს რეცხავდნენ. ირგვლივ წყლის გუბეები იდგა. იწყევლებოდნენ ქალები, იგინებოდნენ კაცები.

– თქვე დალოცვილებო, ისიც არ შეგიძლიათ, მადლს მარილი რომ მოაყაროთ? ხომ შეიძლებოდა ამ კარგი საქმის თუნდაც ღამით გაკეთება, როცა ხალხის სიხალვათე იქნებოდა? – მიმართა მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მუშაკს ხანდაზმულმა მამაკაცმა.

– როდის უნდა გაგვეკეთებინა, როდის? თუ არ მოგწონთ, მიჩივლეთ, დაწერეთ და დაბეჭდეთ! – თავი გამოიდო იმან.

– გიჩივლებთ კიდეც და დავწერთ კიდეც! – „დაამშვიდა“ ის მამაკაცმა.

– დაწერთ, თორემ, ფეხები არ მომჭამოთ!

– ფეხები, ბიძია, იმას წაუღე, ვინც აქ გამოგაგზავნა. თუ იმისთვის არ გემეტება, ერთ ადგილას შეიკვეხე, – ურჩია მამაკაცმა.

ამ სცენას სხვები დამშვიდებით ადევნებდნენ თვალს.

მართლაც, ნუთუ სულ დავივიწყეთ მადლისა და მარილის ამბავი? რა ხდება ჩვენს თავს, ხალხო?

### „დამბანეთ მაინც!“

**სწორედ ეს თხოვნა ამოვიკითხე ფილარმონიის წინ აღმართული „მუზის“ თვალებში, რადგან, რბილად რომ ვთქვათ, ჭუჭყი სჭამს და ხრავს – რა ხანია, წლობით დალექილი მტვერი არავის მოუცილებია...**

არადა, თითქოს ჯიბრზე, სწორედ მის წინ ააცეკვეს შადრევნები, რომელთა შექმნაზეც 700 ათასი ლარი დაიხარჯა და უკვე დედაქალაქის მცხოვრებთა მითქმა-მოთქმის საგანი გახდა. რა იქნებოდა, იმ 700 ათასი ლარიდან თუნდაც შვიდი ლარი გამოეყოთ „მუზის“ „დასაბანად?“

**გუჯა რთველაძე**

## ინფორმაცია



### კარგით რა! ორივენი ამ ბედკრული ქვეყნის შვილები არ ხართ?!

**გუშინ ქუთაისში ცენტრალური ბაზრის მოვაჭრეებმა საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გარევაჭრობის აკრძალვას მოითხოვენ.**

**მათი თქმით, გარემოვაჭრეების გამო მოსახლეობა ბაზარში აღარ შედის და საკვებ პროდუქტს ქუჩაში ყიდულობს. ამის გამო მათ საქონელი აღარ ეყიდებათ, მაღალი ტემპერატურა კი დახლებზე დადებულ საკვებ პროდუქტს აფუჭებს.**

**როგორც „მედიანიუსს“ ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა გიგა ჩოგოვაძემ უთხრა, ქალაქის მერია გარე ვაჭრობის საწინააღმდეგო ღონისძიებებს სისტემატურად ატარებს და ყველა გარე მოვაჭრეს საქონელი ჩამოერთმევა.**

**„დღევანდელი კანონმდებლობა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე გარე ვაჭრობა ავკრძალოთ. ამიტომ უკლებლივ ყველა გარე მოვაჭრეს საქონელი ჩამოერთმევა და სავარაუდოდ უპატრონო ბავშვთა სახლს გადავცემთ“, – განაცხადა გიგა ჩოგოვაძემ.**

**ცენტრალური ბაზრის მოვაჭრეები კი მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ბაზრის პარალიზებით იმუქრებიან.**

**მედიანიუსი**

# არ ელალატება

ტრენაჟორები, ჯაკუზები, პიტნეს ფამფი, იქნება გოლფის მოედანი და სხვ. ერთი სიტყვით, აქ ყველაფერი გათვლილი და ორიენტირებულია როგორც უცხოელ, ისე ადგილობრივ დამსვენებელზე.

რაც მთავარია, მშენებლობაზე ადგილობრივი ხალხია დასაქმებული, ზოგი დასავლელია, ზოგი – აღმოსავლელი. აქვე ვცხოვრობთ და სასადილოც გვემსახურებაო. ხელფასებსაც დროულად გვიხდიან, ღმერთმა უშველოთ, ესენი რომ არა, ოჯახის რჩენა ძალიან გაგვიჭირდებაო.

**– წყალი არა გვაქვსო, აბა ეს შადრევანი საიდან? – ვკითხულობ.**

– მე არ მითქვამს, რომ წყალი საერთოდ არა გვაქვს, – ამბობს ბატონი ილია, – ჩვენი ძალებით და სახსრებით 300 ათასი ლარის (თუ დოლარის?) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები კი შევასრულეთ, წყალი მივაწოდეთ კომპლექსსაც და რიგ სოფლებსაც, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, სახელმწიფომ, როგორც განმკარგავმა, სათავე-ნაგებობაზე უფრო მასშტაბური სამუშაოები უნდა შეასრულოს ან გადმოგვცეს იჯარით, ან მფლობელობაში, მართვის უფლებით. მაშინ საქმეს ჩვენ თვითონ მივხედავთ.

ყველაზე მთავარი არ მითქვამს, – განაგრძობს ბატონი ილია, – დუშეთის რაიონი იმ რეგიონთა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც საკურორტო სეზონი 4-4,5 თვეს არ აღემატება. ობიექტის სრულყოფილი და მთლიანი წლიური ციკლით დატვირთვის მიზნით თბილისში, გრიშაშვილის ქუჩაზე ვაშენებდით კომპლექსში შემავალ ახალგაზრდულ ცენტრსა და სასტუმროს, რაც ჩართული იყო პარტნიორებთან შეთანხმებულ ტურისტულ მარშრუტში. დაუსაბუთებელი მიზეზებით ის მშენებლობა შეაჩერეს. ამის გამო სასამართლომაც კი იმსჯელა. ამან არა მარტო შეგვაფერხა მუშაობაში, დიდი კორექტივები შეიტანა ძირითადი ობიექტის – ბაზალეთის ტურისტული კომპლექსის მშენებლობის გეგმებში. ამის გამო, სათაო კომპანიამ მნიშვნელოვნად შეამცირა თანხების გამოყოფა.

**– მაინც გრიშაშვილის ქუჩაზე მშენებლობის შეჩერების მიზეზად რა დაასახელეს?**

– აქ ისტორიული ადგილია და რაიმეს აშენება არ შეიძლებაო. არადა, იმ მშენებლობის შეჩერებამ საწარმოს მილიონობით ლარის ზარალი მიაყენა.

**– საბოლოოდ რაზე შეთანხმდით?**

– დავა 5 წლამდე გაგრძელდა. ბოლოს პრეზიდენტის, ქალაქის მერის, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის უშუალო ჩარევითა და მხარდაჭერით ინგორიყვას ქუჩაზე გამოგვიყვეს სამაგიერო ფართობი, ახლა იქ საპროექტო სამუშაოები მიდის და მშენებლობა წელსვე დაიწყება. მაგრამ ჩვენ ხომ ეს დაგვიჯდა ნერვების წყვეტად, გადაყრილ თანხად, უქმად დაკარგულ დროდ და დიდ ზარალად, რასაც ალბათ ველარ ავინაზღაურებთ. მართალია სანაცვლო ფართობი მოგვცეს, მაგრამ გრიშაშვილის ქუჩას იმ მიზნებისთვის, რასაც ჩვენი „ცენტრი“ ისახავს, სულ სხვა ხიბლი ჰქონდა, – დასძინა გულისტკივილით ბატონმა ილიამ.

შემდეგ მასპინძელს თვალი რატომღაც შვეულმფრენის მოედნისკენ გაექცა.

– იცით, – მითხრა მან, – აქედან გუდაურში 7 წუთში შეიძლება გადაფრენა. ჩვენ კი ვილაც ჩინოვნიკების დაუდევრობით ვკარგავთ წლებს, მათთან ერთად – შემოსავლებს, უცხოელი ტურისტები კი – სიამოვნებას. საქართველოში უამრავი რამ არის ისეთი, რაც მათ წარუშლელ შთაბეჭდილებებს მოჰგვრით.

**– ამას წინათ პრეზიდენტმა თქვენი ცენტრი მოინახულა, რით გაგამხნევათ?**

– ნანახით აღფრთოვანებული დარჩა და კიდევაც გაგვამხნევა – შეგვპირდა, გზაც მალე გაკეთდება და წყალიც შეუფერხებლად გექნებათო. ღმერთმა ქნას, ასე მოხდეს. თუმცა ყველაფერზე პრეზიდენტს ვერ შევაწუხებთ, ზოგ რამეზე გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დალაქიშვილმაც უნდა იზრუნოს, რომელსაც რატომღაც ჰგონია, რომ ჯერ სხვა რამ უნდა გაკეთდეს და გზებს ბოლოს მიეხედოს.

ვერ დავივიწყებ იმ დახმარებას, რაც მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ ნოლაიდელმა, სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ და მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა ვასილ მაღლაფერიძემ გაგვიწიეს. ეს კი იმის გარანტიას იძლევა, რომ კომპლექსის მშენებლობა მალე დასრულდება. მით უფრო, რომ საქმეს დაჩქარება სჭირდება, დოლარის კურსი თანდათანობით დაბლა იწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ ინვესტიციების შემოსვლა შემცირდება.

ასე რომ, საშური საქმეა. რაც მალე მოვამთავრებთ ბაზალეთის კომპლექსის მშენებლობას, მით მეტ სიკეთეს მივიღებთ – ბიუჯეტიც შეივსება და ხალხის კეთილდღეობაც გაორმაგდება. არადა, ქვეყანაში ასეთი შესაძლებლობები გქონდეს და გაჭირვებით სული გხდებოდეს? ღმერთმანი გაუგებარია.





**ოთარ ხუციშვილი**

## ზაფხული

### აკი, 9 აგვისტოდან აგრილდებაო!..

**ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის ცნობით, მაღალი ტემპერატურა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 13 აგვისტოს ჩათვლით შენარჩუნდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ჰიდრომეტეოროლოგიურ ცენტრში განუცხადეს, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში 13 აგვისტოს ჩათვლით მოსალოდნელია 39 - 40 გრადუსი სიცხე.**

**14 აგვისტოდან კი ჰაერის ტემპერატურა შედარებით დაბლა დაიწევს, სავარაუდოდ, იქნება ხანმოკლე ნალექიც.**

### ვუძლებთ სიცხეს, ვუძლებთ!..

**მაღალი ატმოსფერული ტემპერატურის მიუხედავად, თბილისში სასწრაფო სამედიცინო სამსახურისათვის უშუალოდ სიცხისგან დაზარალებულ ადამიანებს ჯერ არ მიუმართავთ.**

**როგორც „მედიანიუსს“ სასწრაფო სამედიცინო სამსახურის გენერალურმა დირექტორმა დავით გველესიანმა უთხრა, საერთო გამოძახებათა რიცხვი არ გაზრდილა, ვინაიდან თბილისელთა უმრავლესობა ქალაქიდან გასულია.**

**დავით გველესიანი მოსახლეობას დღის 12 საათიდან 16 საათამდე, შეძლებისდაგვარად, ქუჩაში გასვლისაგან თავის შეკავებას ურჩევს, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც გულსისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები აწუხებს.**

**მედიანიუსი**

## ◎ სათქმელი უნდა ითქვას

*განათლების სისტემის ე. წ. რეფორმას, რომელიც ახლა ჩვენში მიმდინარეობს, ყველასათვის ცნობილ ოფიციალურ მესვეურთა გარდა „რუხი კარდინალებიც“ წარმართავენ. ამ წერილში ერთ-ერთ მათგანზე, საერთაშორისო შარლატანზე, გვექნება საუბარი. ის რამდენიმე წლის წინათ დაბრუნდა თბილისში ხანგრძლივი ევროპული „ტურნედან“ და თანამზრახველთა მოწადინებით, რომელთა შორის ზოგი მისი საყვარელი მასწავლებელია, ზოგიც არანაკლებ საყვარელი მოწაფე-მეგობარი, დიდი სწავლულისა და მოაზროვნის სახელი დაიგდო. ბოლოს, ეტყობა, თვითონაც დაიჯერა თავისი მნიშვნელოვანება, კულტურტრეგერისა და მენტორის მანტია მოისხა, უმეცრები გააცუცურაკა და ყოვლად დაუმსახურებლად რამდენიმე მაღალ სამეცნიერო პოსტზეც „მოჯდა“.*

*აქ მის ნამდვილ სახეს წარმოვაჩენთ.*

## ლევან ბრეგაძე

# „უსირცხვილოს თუ არ არცხვენ“

## მეცნიერულობაზე პრეტენზიის მქონე ერთი ნაშრომის გამო

ხელთა მაქვს **მერაბ ლალანიძის** „სინამდვილე და წარმოსახვა დავით გურამიშვილის „მხიარულ ზაფხულში“ („ლომისი“, 2002ძ, ამ ავტორის **ერთადერთი,** მეცნიერულობაზე პრეტენზიის მქონე ნაშრომი, მცირე ფორმატის 190-გვერდიანი წიგნი, და მინდა მის შესახებ ჩემი აზრი გაგიზიაროთ.

ჯერ სარჩევს ჩავხედე, მერე დამოწმებული ლიტერატურის სიას და ორი ისეთი წიგნი მოვისაკლისე, მივხვდი — მართლა **კნინ** ნაშრომთან მქონდა საქმე. **მართლა**-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ წინათქმაში თავის ამ ნააზრევს ყალბი თავმდაბლობით თვითონვე უწოდებს მოკრძალებულსა და კნინს (მე-8 გვერდზე წერს: „ჩვენს **მოკრძალებულ** და **კნინ** ნაშრომში ვეცადეთ გაგვეგო...“ და ა. შ. ამ თავმდაბლობის სიყალბე იქიდანაც ჩანს, რომ ბოლოთქმაში განსახილავ წიგნს მთელი თავისი თაობის ლიტერატორთა ინტერესებისა და შესაძლებლობების წარმომჩენად სახავს, იმის ილუსტრაციად, „თუ როგორ ფიქრობდა იმდროინდელი ახალგაზრდა **თაობა** ლიტერატურის შესახებ, როგორ ესახებოდა ამ **თაობას** ლიტერატურის კვლევისა და ლიტერატურული კვლევის მიმართულებანი“ (გვ. 188ძ. (ხაზგასმები აქაც და ქვემოთაც ჩვენ გვეკუთვნის, ისევე, როგორც ფრჩხილებში ჩასმული კითხვის ნიშნები ციტატებში. — **ლ . ბ.**ძ.

იმ ორი ნაშრომიდან, დამოწმებული ლიტერატურის სიაში რომ ვერ აღმოვაჩინე, ერთის ავტორი გრიგოლ კიკნაძე გახლავთ.

ნახეთ არაკეთილსინდისიერების რა დონეა: დავით გურამიშვილის შემოქმედებაზე წერდე, შესწავლის მთავარ საგნად პოემა „მხიარული ზაფხული“ გაგეხადოს, საგანგებო ყურადღებას უთმობდე იუმორსა და სიცილს ამ პოემაში და, საზოგადოდ, მთელ „დავითიანში“, აცხადებდე — „სიცილს ამ ტკივილიან წიგნში დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უკავიაო“ (გვ. 92ძ და არსად ახსენებდე გრიგოლ კიკნაძეს, ავტორს ფუნდამენტური გამოკვლევისა — „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“!

მ. ლალანიძე წერს: „სიცილის გარემო განუსაზღვრელად ბატონობს „დავითიანის“ ფურცლებზე, მაგრამ ხშირად იგი ტრაგიკულის საფუძველზეა აღმოცენებული... გურამიშვილი სერიოზულად აღიქვამდა თავის ბედკრულობას და ამიტომ არ აძლევდა თავის თავს უფლებას სერიოზულად ელაპარაკა მის შესახებ“ (გვ. 95ძ.

აზრის გამოთქმის პარადოქსული ფორმა აქ ვერ მალავს უზუსტობას: ისე გამოდის, თითქოს სერიოზულ ბედკრულობაზე სერიოზულად არ შეიძლებოდეს გზიანი საუბარი.

დავით გურამიშვილის მსოფლხედვის ამ თავისებურებას ყურადღება ბევრად ადრე მიაქცია გრიგოლ კიკნაძემ, აღწერა ეს მოვლენა და მისი მართებული შეფასებაც მოგვცა:

**„როგორც ჩანს, მოვლენათა განხილვის ვერც რელიგიურმა ასპექტმა და ვერც გამოკვეთილმა დიდაქტიკურმა თვალსაზრისმა — ვერ შეაფერხეს გამომჟღავნება ჩვენი პოეტის ხალისიანი განწყობილებისა. მას, მარტოხელად დარჩენილ ამ ადამიანს, კიდევ შერჩა იმის უნარი, რომ სერიოზული და ზოგჯერ წმინდათა-წმინდად მიჩნეული საკითხები, კომიკურ სალებავებში წარმოედგინა და დაეხასიათებინა“ (II გამოც. გვ. 121ძ.**

ან იქ როგორ უნდა აევლო გვერდი გრიგოლ კიკნაძისთვის, სადაც დავით გურამიშვილის თვითირონიაზე გველაპარაკება! შეადარეთ ქვემოთ მოყვანილი ორი ციტატა ერთმანეთს, და განსაჯეთ, ამ საკითხზე მაინც თუ ამბობს რამეს ახალს, გამოჩენილი მეცნიერის ნათქვამისგან განსხვავებულს:

„...სადაც იგი (დავით გურამიშვილი. — **ლ. ბ.**ძ საკუთარ ბედს ქართლ-კახეთის მწარე ბედს უერთებს, თვითირონია ბატონობს... ის, როგორც ყოველი ზნემაღალი ადამიანი, სიმაღლიდან დაჰყურებს თავის ყოველ ფათერაკსა და დამარცხებას; თვით იქაც კი, როდესაც (მიაქციეთ ყურადღება: „იქაც **კი, როდესაც**“. ავტორის ენობრივ უმწეობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი. — **ლ. ბ.**ძ თავის, ალბათ, საკმაოდ მძიმე ტყვეობას აგვიწერს დალესტნის მთებში, იქაც არ ივიწყებს საქილიკო განწყობილებას. „დავითიანის“ ავტორი ამით ამაღლებულია თავის ტკივილებზე და ამით ამარცხებს კიდეც ამ ტკივილებს“ (გვ. 95ძ.

განა გრიგოლ კიკნაძეც ამასვე არ წერს:

**„ამ პოეტის იუმორისტიკული თვალსაზრისის გათვალისწინებისათვის უფრო მნიშვნელოვანია მისი საკუთარი თავის, მისი საკუთარი მდგომარეობის, შემფასებელი სტრიქონები. დავ. გურამიშვილი ახერხებს საკუთარ თავზე ამაღლებას; მან შესძლო ისეთი მოვლენების მიჩნევა არარად და ღიმილის მომგვრელ მოვლენებად, რომლებმაც იგი მძიმე და სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენეს; მან მოახერხა თავისი პირადი მდგომარეობის გადაქცევა იუმორისტიკული დახასიათების ობიექტად“ (გვ. 122ძ.**

გავითვალისწინოთ, რომ აქ რიგითი ლიტერატურული მოვლენის შეფასებასთან როდი გვაქვს საქმე — თვითირონიამ ქართულ მწერლობაში პირველად (თანაც ასეთი მძაფრი და მაღალმხატვრული ფორმით!ძ დავით გურამიშვილთან იჩინა თავი. ამიტომაც იმისი მოუხსენებლობა, ვინც უფრო ადრე მიაქცია პოეტის შემოქმედების ამ თავისებურებას ყურადღება, არაკეთილსინდისიერება კი არა, თავხედობაც კია. წინამორბედი მკვლევარის ნათქვამს — **„დავ. გურამიშვილი ახერხებს საკუთარ თავზე ამაღლებას; მან შესძლო ისეთი მოვლენების მიჩნევა არარად და ღიმილის მომგვრელ მოვლენებად, რომლებმაც იგი მძიმე და სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენეს“** — ასე რომ გადააკეთებ: **„ის, როგორც ყოველი ზნემაღალი ადამიანი, სიმაღლიდან დაჰყურებს თავის ყოველ ფათერაკსა და დამარცხებასო“** — ამით სხვის ნააზრევს, სხვის დაკვირვებას შენად ვერ აქცევ.

ერთგან წერს: **„...ვეცადეთ... შევხებოდით „მხიარული ზაფხულის“ შესახებ გამოთქმულ არცთუ ისე მრავალრიცხოვან მოსაზრებებს“ (გვ. 42ძ.**

მერედა, „მხიარული ზაფხულის“ შესახებ არცთუ ისე მრავალრიცხოვანი მოსაზრებები თუა გამოთქმული, მით უფრო არ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული გრიგოლ კიკნაძის თვალსაზრისი სკაბრეზის თავისებურებასა და ფუნქციაზე ამ პოემაში?!

* * *

**მეორე ნაშრომი, რომელიც დამოწმებული ლიტერატურის სიაში ვერ ვიპოვე, და რამაც გამიძლიერა ეჭვი, მართლაც კნინ გამოკვლევასთან რომ მექნებოდა საქმე, ალექსეი ლოსევის „სიმბოლოს პრობლემა და რეალისტური ხელოვნება“ გახლავთ (А. Ф. Лосев, Проблема символа и реалистическое искусство. М., 1976ძ.**

ჩვენი ავტორი წამდაუწუმ ოპერირებს ცნებებით: მეტაფორა, ალეგორია, სიმბოლო, ემბლემა; მთელი თავი დაუსათაურებია ამგვარად: „დრო და მეტაფორა“, სადაც ამტკიცებს მეტაფორის ახალი სახეობა აღმოვაჩინე დავით გურამიშვილთანო. ჰოდა, ასეთ დროს როგორ უნდა მოახერხო ა. ლოსევის დასახელებული წიგნის გვერდის ავლა, ვერაფრით გამიგია!




ა. ლოსევის ამ ნაშრომამდე დიდი ქაოსი იყო ზემოთ ჩამოთვლილ ცნებათა გამოყენების თვალსაზრისით, ვინაიდან მეტაფორა, ალეგორია, სიმბოლო, ემბლემა, მართალია, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ საერთოც აქვთ. ა. ლოსევმა გამოწვლილვითი ანალიზის შედეგად დაადგინა მსგავსება-განსხვავებანი მათ შორის, მკაფიოდ გამიჯნა ისინი ერთმანეთისგან.

როცა ა. ლოსევის ამ ნაშრომის გაუთვალისწინებლად მეტაფორა-ალეგორია-სიმბოლო-ემბლემასთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელებ, დიდია შანსი, ისეთივე აბდაუბდა რამ გამოგივიდეს, როგორიც განსახილავი თხზულებაა.

ავტორი იზიარებს გავრცელებულ აზრს, რომ (ტრადიციულიძ მეტაფორა დავით გურამიშვილის პოეზიის სტილური ნიშანი არ არის, რომ რუსთველისეული მეტაფორული აზროვნება მისთვის უცხოა (გვ. 69ძ, მაგრამ გვაუწყებს, ამ პოეტის შემოქმედებაში განსხვავებული მეტაფორულობა შეინიშნებაო. დაუგდეთ ყური: „შესაძლოა, „დავითიანში“ არ მრავლობდეს ტრადიციული, სასკოლო ტიპის მეტაფორა, — სახე მხატვრული სამკაულისა (?ძ, — მაგრამ გურამიშვილის მეტაფორა განსხვავებულია, იგი პოეზიისა და ცხოვრების გადაკვეთაზე ცხოვრობს. ამაშია მისი შემოქმედების ერთ-ერთი გამორჩეული და იშვიათი ნიშანი“ (გვ. 69ძ.

(სტილი, სტილი ნახეთ! — **„ამაშია... ნიშანი“**!ძ.

„გურამიშვილი მეტაფორის ახალ სახეს, ახალ რაგვარობას ქმნის. იგი უპირისპირდება თავის წინამორბედთა მეტაფორულ ხედვასა და ხატვას, ისეთს, როცა საგანთა ორერთიანობა პოეტიკური მიზნების სამსახურშია ჩაყენებული, სადაც მეტაფორის სიხასხასესა და სიმკვეთრეს ფორმის ვირტუოზობის (?ძ მოწოდება (?ძ წარმოშობს. „დავითიანის“ ავტორისათვის კი მეტაფორის საფუძველი ხდება არა დაუინტერესებელი, ობიექტური თვალით აღქმული ნივთები და საგნები, სადაც თითოეულმა მათგანმა და მათმა შეთავსებამ უნდა წარმოშვას სილამაზე, არამედ თავად ავტორის — დავით გურამიშვილის ცხოვრება, პოეტის ცხოვრების ფაქტები და მოვლენები“ (გვ. 77ძ.

მისივე აზრით, „...გურამიშვილის წიგნი მთლიანად მეტაფორად შეგვიძლია გავიაზროთ“ (გვ. 71ძ.

ა. ლოსევის ნაშრომში ნათლად არის ნაჩვენები, რომ ის, რაც ამ ჩვენს ავტორს მეტაფორის ახალი სახეობა ჰგონია, **მეორე ხარისხის სიმბოლოა** (символ второй степениძ, განსხვავებული წმინდა მხატვრული სახისაგან, რომელსაც ა. ლოსევი **პირველი ხარისხის სიმბოლოს** უწოდებს („...это безусловно чисто художественный образ, то есть символ первой степени“, გვ. 147ძ.

მოკლედ, ყველა მეტაფორა სიმბოლოა, მაგრამ ყველა სიმბოლო როდია მეტაფორა. **პირველი ლოგიკური შეცდომა აქ მოსდის ავტორს.**

**მისი მეორე ლოგიკური შეცდომა ასეთია:** მან იცის, რომ მეტაფორაში ერთიანდება „ორი საგანი, რომელთაც განსხვავებული ადგილი უჭირავთ სივრცეში, ან ორი მოვლენა, რომელთაც განსხვავებული დროითი გამოხატულება აქვთ“ (გვ. 73ძ, მაგალითად, „გიშრის ტევრი“ და „წამწამები“ რუსთველის ცნობილ მეტაფორაში: „სისხლისა ღვარმან შეღება წითლად გიშრისა ტევრები“; ისიც იცის, რომ დავით გურამიშვილმა თავისი პოეზიის ერთ-ერთ მთავარ თემად საკუთარი ცხოვრება აილო, ამიტომ, მისი აზრით, „ერთი მხრივ, რეალურად მომხდარი ცხოვრებისეული ფაქტი და, მეორე მხრივ, იმავე ფაქტის ხელახალი შეფასება და მენტალური განცდა დროში ფეხმძიმობის (?ძ შემდეგ შობს მეტაფორას, სადაც ცხოვრების ეს ორი მოვლენა ერთიანად აღიქმება, სადაც რეალური და მენტალური განუყოფელი ხდება, სადაც ორი დროითი ფრაგმენტი ერთიანდება, რითაც დროის მოპოვება და გაუქმება, დროისა და წარმავლობის დაძლევა და დამარცხება ხდება“ (გვ. 77ძ.

აქ შეცდომა ის არის, რომ, მართალია, ყველა მეტაფორაში ერთიანდება „ორი საგანი, რომელთაც განსხვავებული ადგილი უჭირავთ სივრცეში, ან ორი მოვლენა, რომელთაც განსხვავებული დროითი გამოხატულება აქვთ“, მაგრამ ასეთი რამ მარტო მეტაფორაში როდი ხდება. ორი განსხვავებული საგანი ან მოვლენა ალეგორიაშიც ერთიანდება, სიმბოლოშიც და ემბლემაშიც.

მოკლედ, თუ ავტორს ეს საკითხები მართლა აინტერესებს, ვურჩევთ ა. ლოსევის დასახელებულ წიგნში ყურადღებით წაიკითხოს შემდეგი ქვეთავები: „სიმბოლო და მხატვრული სახე“ (გვ. 142ძ, „სიმბოლო და მეტაფორა“ (გვ.153ძ, „სიმბოლო და რეალისტური სახე“ (გვ. 162ძ, „სიმბოლო და ნატურალისტური ასლი“ (გვ. 164ძ.

**და აქვე კიდევ ერთი რამის გამო უნდა ავუწიოთ ყური.**

ბოლოთქმაში ეს ვაიმეცნიერი ასეთ რამეს წერს:

„დღეს ხომ აშკარაა, რომ რუსული სამეცნიერო ლიტერატურა, რომლის თეორიულ პოსტულატებს უხვად ეყრდნობა წარმოდგენილი ნაშრომი, მსოფლიო ჰუმანიტარულ აზროვნებას მაშინ (და, ალბათ, ახლაცძ მხოლოდ მკრთალად, ნაწილობრივ და მოზრდილი დროითი დაცილებით თუ ირეკლავდა“ (გვ.189ძ.

**ამის დამწერს რამე გაეგება „მდგომარეობის შესახებ“ ჰუმანიტარულ აზროვნებაში? თვითონ მისი სტერეოტიპული (შაბლონურიძ აზროვნების წესი ნახეთ! აქაოდა, რაკი რუსეთი თითქმის ყოველმხრივ ჩამორჩენილი ქვეყანაა, ჰუმანიტარული მეცნიერებებითაც ვერ გამოიჩენდა თავსო! სინამდვილეში კი მ. ბახტინს, რ. იაკობსონს, ი. ტინიანოვს, ა. ლოსევს, ს. ავერინცევს, ვ. ტოპოროვს და მათ თანამედროვე მრავალ სხვა რუს მეცნიერს „სტოსი მიჰყავდათ“ მსოფლიო ჰუმანიტარულ აზროვნებაში!**

იმ ამბავს, რომ არცერთი არარუსული უცხოური სამეცნიერო ნაშრომი არ გამოუყენებია თავის ამ გამოკვლევაში (არადა, როგორც ვიცი, ეს მისი სადისერტაციო ნაშრომი უნდა იყოს!ძ ეს ვაჟბატონი ასე ხსნის: „...სხვა ლიტერატურა — სხვაგვარი და სხვაენოვანი ლიტერატურა — იმ დროს მეტად ძნელი ხელმისაწვდომი ან, საერთოდ, ხელმიუწვდომელი იყო“ (იქვეძ.

ცრუობს! ორი ათეული წლის წინათ, მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში შეუქმნია ეს შედევრი. იმ დროისათვის კი უკვე ყველანაირი ლიტერატურის შოვნა შეიძლებოდა ჩვენში, მოწადინებული ხალხი კი ადრეც ახერხებდა ამას!

უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის გამოუყენებლობას მასთან სხვა, გაცილებით „ადამიანური“ მიზეზი აქვს: მათ იგი ვერ წაიკითხავდა.

პოლიგლოტობას, მრავალი ენის, მათ შორის ძველი ბერძნულის ცოდნასაც იჩემებს და ნახეთ მის მიერ ნათარგმნი ერთი ადგილი ა. გურევიჩის ნაშრომიდან ამ წიგნის 76-ე გვერდზე, სადაც იმაზეა ლაპარაკი, რომ დავით გურამიშვილი თავისი დიდი სეხნიის, ბიბლიური დავითის, სულიერ გზას ბაძავს, იმეორებს:

„სახელი ნეიტრალური აღმნიშვნელი არ იყო, ეს ნიშანი იდუმალად ეხებოდა ადამიანის არსს, და ზეციურ **ეთნონიმსა** და მის მოკვდავ სეხნიას შორის გარკვეული კავშირი მყარდებოდა“.

**ეთნონიმი** ბერძნული სიტყვაა და **ხალხის სახელს** ნიშნავს („ეთნოს“ — ხალხი, „ონიმა“ — სახელი. ეთნონიმია ქართველი, ჩეხი, იტალიელი და მისთანანიძ. რა შუაშია აქ ეს სიტყვა, რა არის **ზეციური ეთნონიმი**? არაფერიც არ არის! ეთნონიმის ნაცვლად ა.გურევიჩთან **ეპონიმი** წერია, რაც ვინმესთვის თავისი სახელის მიმცემს ნიშნავს, იმ პიროვნებას ეწოდება, ვის სახელსაც შემდეგ სხვას არქმევენ. ბიბლიური დავითი ჩვენი პოეტის ეპონიმია. *ეპონიმი* ვინ ჯგუფის სახელია (სულიერიაძ, *ეთნონიმი* კი — რა ჯგუფისა (უსულოძ. დავით გურამიშვილი ზეციური **ეთნონიმის** სეხნია კი არ არის (ეს სასაცილოა!ძ, არამედ ზეციური **ეპონიმისა**!

(გაგრძელება იქნება)

## ◉ გზადაგზა ნაპოვნი სურათები

### აგვისტოს ხვატი

**თავით ჩაკიდებულა კობა თონეში. ფიცხლად აკრავს ცომს და მერე მარჯვედ ხტება უკან. წურწურით ჩამოსდის ოფლი, ქშინავს, სულს ძლივს ითქვამს... ლონდრე მახსენდება, რაჭველებმა რომ ჩაჰკიდეს გახურებულ თონეში და კინაღამ შეიხრაკა. მეღიმება. კობა მამჩნევს სარკმელთან და ხელის აწევით მესალმება: „ორი-სამი წუთი და ცხელ ლავაშს გაგატან!“**

„მარტო ხარ?..“

„ჰო... სოფელში გაიქცა მალხაზი!..“

„გმირი ხარ, ძმაო... ახლა, ამ ჭადრის ძირში იქნება ორმოცი გრადუსი და, მანდ რა გაძლებინებს!..“

„მაგრები ვართ თერჯოლელები, მაგრები!.. ძველი გაზეთები არ გამეიყოლეეე?!.“

შევიცხადე: „უჰ... დამავიწყდა მაგისი... ორი ლავაში მაიტა!..“

კობას ლარიანს ვაწვდი, თონედან შემომსკდარ სიმხურვალეს სახეს ვარიდებ, სურნელოვან ლავაშებს ხელისგულზე ვიდებ, მწვავს... უცებ გადამაქვს მეორე ხელისგულზე... მწვავს... ახლა აქეთ გადმომაქვს, თან სულს ვუბერავ... რას უშველის, თაკარა სიცხეა... ტროტუარს სწრაფი ნაბიჯით მივუყვები... სახლამდე ცოტაღა დარჩა. ჩვენი უბნის მეპურეზე ვფიქრობ: „რას უძლებს, კაცო!..“



რუსთაველის პრემიის ლაურეატის დიმიტრი ერისთავის ნახატი.

### რეპორტაჟი „წოპეს“ „პარლამენტიდან“

**„ალექსანდრეს“ ბაღის „პარლამენტი“ ნელ-ნელა იკრიბება. დღეს ბეგლარი არ იქნება, ქალაქიდან გასულაო, „წოპემ“. „ჩვენი“ ძელსკამი უზარმაზარი ცაცხვის ძირში დგას. ამ სიცხეში, ხალვათად რომ ვიყოთ, იქვე, მეზობელ ძელსკამზე ეცთავსდება ზოგი და და „სპიკერი“ „წოპე“ – ჩვენ შორის ყველაზე უფროსი და ყველაზე გავლენიანი კაცი, კამათს იწყებს.**

„წოპე“ გაქანებული „მიშისტია“, თუმცა არ იმჩნევს, ხანდახან შეუკურთხებს ხოლმე ამ ხელისუფლებას, მაგრამ მაგას „ვჭამთ?“ წამში „იყიდება“: „ყველაფერი უხდება, ძმაო, მიშიკოს... ნახეთ, რა ლამაზად აიტაცა ხელში სოფიკო ხალვაში?!“

„კი, მაგაში მაგარია... დაანებოს რა თავი ამრუსეთის გინებას, ისეთი პარკი გავხსენით, რუსეთს არ ექნებაო, რას ტრაბახობს!.. ჯერ ერთი, შეკვეთილი გურიას ეკუთვნის და არა აჭარას!.. ამდენი აღარ იცის?! – ვუჩმახებ მე.

„კაი რა...“ – ხმადაბლა ამბობს „წოპე“, მაგრამ ვიცი, რომ ძალას იკრებს: „რა ოპერაცია ჩაატარა, კაცო, კოდორში, გაკვირვებულია მთელი მსოფლიო!.. ხომ ხედავთ, მოლაპარაკებაზე წამოვიდა ბაღაფში!..“

„ძაან იცი შენ, ვინ რა ჩაატარა, და როგორ ჩაატარა!..“ – ეს ირაკლია – „ზომიერი ოპოზიცია“. – ვნახოთ, ხვალ-ზეგ რა იქნება... „კარგი ჩვენც მოგვეწონება!..“

„თქვენ არაფერი არ მოგწონთ, ბიძია!..“ – გვსაყვედურობს „წოპე“.

„კი, ძალიან მოსაწონია, ფილარმონიის წინ, მომღერალი შადრევნისთვის შვიდასი ათასს რომ დახარჯავ, სამოცდაოთხ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს კი სულ ერთ მილიონს გამოუყოფ... მაგას რა სჯობს!..“ – ძელსკამიდან ვდგები და ხელ-ფეხს ვიქნევ (აქ ვვარჯიშობთ კიდეც „პარლამენტის“ წევრებიძ...

ორი ჩაგალსტუკებული ყმაწვილი გვიახლოვდება, როგორც „წოპე“ ამტკიცებს, იელოველები არიან.

„აი, ამას მიხედოს, რო დაგვაჯდენ თავზე!..“ – მომეცა კრიტიკის საბაბი. „რატომ დაიჭირეს მკალავიშვილი, რას ერჩოდნენ?! რელიგიის თავისუფლებაა არა?!.“

„ნახეთ, ნახეთ... აგერ, ის ორი გოგოც იელოველია... იმ დღეს აქ ერთ ბავშვიან ქალს გადაეკიდნენ, რაღაც ჟურნალი შეაჩეჩეს ხელში!..“ – სიგარეტს უკიდებს ირაკლი, – „დაღუპულები ვართ, ძმაო... აღარც ერი, აღარც ბერი!..“ – აფუილებს გვერდზე და გულიანად იგინება.

„თქვენ რა გგონიათ?! მე პირველი მტერი ვარ მაგათი, გუშინ ჩემთვის ვიჯექი აქ, მოვიდნენ ორნი, ჩემი ხნის... მგონი ცოლ-ქმარი არიან... გამიბეს რაღაცეები და რო შევუკურთხე, უკანმოუხედავად გაქუსლეს... ეტყობა, მართლა ფულს უხდიან, თორემ, რა უნდათ ამ ხნის ხალხს, რას დადიან!..“– დგება „წოპეც“, რადგან მზე უკვე გვარიანად აცხუნებს, ჩრდილშიც ატანს მისი სიმხურვალე.

„პარლამენტი“ ხვალინდელი დილის იმედით იშლება.

### უშველის ოქროს ურნები?!

**„სადა ვართ, სადა ვართ, რა ქვეყანაში ვართ!..“ – ხმამაღლა ბუზღუნებს უშანგი, თან ცოცხით ნაგავი გამოაქვს ძელსკამის ქვემოდან.**

„შე შობელძაღლო, რომ სვამ, რომ ჭამ, ჩაყარე რა, საზამთროს ნაჭრები მაინც ჩაყარე ურნაში, რას ერჩი აქაურობას!.. არა, კაცო, ამათ რას ეყოფა სამი ათასი მეეზოვე და ახალი ურნები!.. სინდის-ნამუსი და ზნეობა თუ არ გაქვს, გინდა ოქროს ურნები დადგან ყოველ ნაბიჯზე!..“

საქმის ერთგული კაცია უშანგი, ჩვენ რომ დილით ბაღში შევდივართ, იგი უკვე აქ ტრიალებს და მარჯვედ იქნევს ცოცხს, მაგრამ ამ „ნახირს“ და ამდენ შეუგნებელს, რა მოუხერხოს?!

ჰოდა, ბუზღუნით იოხებს გულს.

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ◉ გვეპატიჟებიან

# მინანქარში განფენილი მშვენიერება

***საქართველოში დღეს მხატვრული და ტიხრული მინანქრის ნამდვილი ბუმია. ამ სფეროში გატაცებით მუშაობენ პროფესიონალები და მოყვარულები, საერო თუ საეკლესიო მხატვრობის მიმდევრები.***

***ბოლო ათწლეულში, ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე გადასვლის ფონზე, გამოყენებითი ხელოვნებისადმი ინტერესი ერთიორად გაიზარდა – მის მიმართ სხვა დამოკიდებულება და საქმიანი დაინტერესება გაჩნდა. შესაბამისად, მხატვრულმა მინანქარმა სამომხმარებლო ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა. არაერთ ნიჭიერ ოსტატს მიეცა ასპარეზი, საკუთარი შემოქმედებითი უნარის გამოვლენის შესაძლებლობა.***

***მინანქარზე შესრულებულ ნამუშევრებს სიამოვნებით უწევენ პროპაგანდას საგამოფენო დარბაზები და სპეციალიზებული მაღაზიები. განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდები და დედაქალაქის სტუმრები აქტიურობენ, ეცნობიან და ხშირად იძენენ კიდეც ქართველ ოსტატთა ნაკეთობებს, მინანქარზე შესრულებულ ხელოვნების ორიგინალურ ნიმუშებს, რომლებიც თავისუფლად დაამშვენებდა ნებისმიერი მუზეუმისა თუ ცალკეული მომხმარებლის კოლექციას.***

დროთა ვითარებაში, ქვეყნის აღმავლობისთვის ერთ-ერთი სტრატეგიული დარგის, ტურიზმის განვითარებასთან ერთად, სავარაუდოდ, საქართველოს სტუმართა რაოდენობა ერთიათად გაიზრდება, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში, მათ შორის, მინანქარზე მუშაობას. მაგრამ პოზიტიურთან ერთად, ეს გარემოება, გარკვეულ ნეგატიურ მომენტსაც შეიცავს. გასაყიდად გამოტანილ ნაკეთობათა სიმრავლე მეტ სიფრთხილესა და ყურადღებას მოითხოვს იმ ადამიანების მხრიდან, ვისაც გული შესტკივა ქართულ კულტურაზე. პროცესის დარეგულირების მხოლოდ ბაზრის იმედად მიტოვებამ, შესაძლოა, არასასურველი პროცესი წარმოშვას. ამიტომ, აუცილებელია, პარალელურად, ამოქმედდეს ბაზრის რეგულირების ფორმები, რათა არ მოხდეს საეჭვო ღირებულების მხატვრული მინანქრის პროდუქციით სამომხმარებლო ბაზრის გაჯერება, რაც უთუოდ გამოიწვევს საზოგადოების ინტერესის შესუსტებას მხატვრული და ტიხრული მინანქრის მიმართ. ყველას ახსოვს, ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ, ჭედურობასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობა. მრავალი წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო, მხატვრული ჭედურობის რაოდენობამ ხარისხი იმდენად შთანთქა, რომ მოძალებული უსახურობის ფონზე, თავად ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუშების მიმართაც კი საზოგადოების ინტერესი საგრძნობლად შესუსტდა და ეს დარგი, ფაქტობრივად, მივიწყებულ იქნა.

მხატვრული და ტიხრული მინანქრის პოპულარიზაციას მრავალი კერძო პირი, საგამოფენო დარბაზი, თუ სახელმწიფო დაწესებულება უწყობს ხელს. ყველა მათგანში შეინიშნება ხალხის სიმრავლე. თითოეული ექსპოზიცია, გარდა მხატვართა შემოქმედებითი ანგარიშისა, ერთგვარი სკოლაც არის, რომელიც ავსებს და ამდიდრებს ახალგაზრდების, მომავალ ოსტატთა წარმოდგენას ამ სფეროში მიღწეულ წარმატებებზე, დღეს არსებულ სიახლეებზე.

საგამოფენო დარბაზებში ექსპონირებულ სამკაულებსა და სამომხმარებლო დანიშნულების სხვადასხვა ნივთს შორის, არაერთ, უკვე ცნობილი ავტორის ნამუშევარს შეხვდებით. საგულისხმო ფაქტია, რომ აღიარებული ოსტატების გვერდით თამამად მონაწილეობენ გამოფენებში მოყვარული ან დამწყები მხატვრები, რომელთა ნაკეთობები, ტექნიკური სრულყოფისა და იდეის ორიგინალური გააზრების თვალსაზრისით, ხშირად, არ ჩამოუვარდება პროფესიონალთა შემოქმედებას.

***დარეჯანის ნამუშევრები მრავალი ცნობილი ადამიანის კოლექციას ამშვენებს. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ აშშ-ის პრეზიდენტის მეუღლეს, ქალბატონ ლორა ბუშს, თბილისში ვიზიტის დროს, სწორედ მის მიერ შესრულებული სამკაული უსახსოვრეს, როგორც ქართველი ხალხის ნიჭიერების, მშვენიერების შინაგანი განცდის ღვთითნაბოძები უნარისა და სიცოცხლის სიყვარულის თვალსაჩინო ნიმუში.***

ექსპოზიციებში, რომლებიც პერიოდულად იცვლება – ივსება სხვადასხვა ავტორის ნამუშევრებით, ჩნდება ახალი სახელები – შეუძლებელია, დამთვალიერებელმა გულგრილად ჩაუაროს და არ შეჩერდეს დარეჯან ქოჩიაშვილის ნაკეთობებთან, რომლებიც ინდივიდუალური ხელწერითა და ფორმათა სიახლით სპეციალისტთა და ხელოვნების მოყვარულთა ყურადღებას იპყრობს. სამაჯურები, საყურეები, გულსაბნევები, ყელსაბამები – ეს იმ ნაკეთობათა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც ახარებს და იზიდავს მხატვრული მინანქრის მოყვარულებს.

ტიხრული და მხატვრული მინანქრის ტექნოლოგია დარეჯანმა, მიუხედავად იმისა, რომ მას სპეციალური განათლება არ მიუღია, წლების მანძილზე მუშაობის შედეგად, სრულყოფილად აითვისა და თანდათან პროფესიულ დაოსტატებას მიაღწია. დღეს ძნელია დაიჯერო, პრესტიჟულ გალერეებში წარმოდგენილი ნამუშევრების ავტორი პროფესიონალი მხატვარი რომ არ არის, და მხოლოდ რამდენიმე წელია, რაც მინანქრის საიდუმლოს ეზიარა...





რთული და დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ დარეჯანი სიამოვნებით უბრუნდება საყვარელ საქმეს და მთელ თავისუფალ დროს იდეის შემოქმედებით დამუშავებასა და სრულყოფას ანდომებს. იდეა კი, როგორც თავად აღნიშნავს, ხან კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, ხან კი სპონტანურად იბადება.

მხატვრულ მინანქარზე მუშაობა, ტექნიკის დახვეწა, სასურველი ფორმისა და ფერის მიღება, ნიჭთან ერთად, დიდ გამოცდილებას მოითხოვს, რაც წლების შემდეგ მოდის. ამ თვისებებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ მოწმენი ვართ დარეჯან ქოჩიაშვილის ნამუშევართა საინტერესო პლასტიკის და ფორმათა მრავალფეროვნებისა, რაც ნათლად მეტყველებს, რომ მხატვარი ყოველთვის შემოქმედებითად უდგება თითოეულ ნაკეთობას, რომლებშიც კარგად ჩანს ავტორის გემოვნება, სტილისტური ძიებისაკენ სწრაფვა, ფანტაზია.

დარეჯან ქოჩიაშვილის სამკაულებში მნახველს, უპირველეს ყოვლისა, სიახლის განცდა იზიდავს. ყვავილებისა თუ ეგზოტიკური მცენარეების უჩვეულო მონახაზებითა და მათი ინტერპრეტაციით იგი მნიშვნელოვან განზოგადებას აღწევს და საგრძნობ ემოციურ დატვირთვას სძენს ყელსაბამებსა თუ ბეჭდებს, სამაჯურებსა თუ გულსაბნევებს. სტილიზაციით ზედმეტ გატაცებას მხატვარი შეგნებულად გაურბის. სისადავითა და გარეგნული უბრალოებით იგი აგრძელებს ძველ ქართველ ოსტატთა სახელოვან ტრადიციებს.

დარეჯან ქოჩიაშვილის ნამუშევრები თბილი ფერებითა და ნახევარტონების გრადაციით განსაკუთრებულ სიმშვიდეს ფენს დამთვალიერებელს. ფორმისა და ფერის ერთიანობით, რაც მასალის თავისებურების გამო, ძალზე რთული მისაღწევია, მხატვარი ცდილობს, ყოველი ნამუშევრისადმი საკუთარი დამოკიდებულების, ინდივიდუალური ხედვის თანამონაწილე გახადოს მნახველი.

ცალკეული დეტალების მიმართება მთლიან ფორმასთან, თუ დეტალების რიტმული მონაცვლეობა, რაც ტიხრულ მინანქარზე მუშაობისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დარეჯანის ნამუშევრებს ექსპრესიულობას მატებს და ავტორის დაძაბულ შინაგან მუშაობაზე, მის ემოციურ ბუნებაზე ნათლად მიანიშნებს.

ზოგიერთმა სამკაულმა, შესაძლოა, მნახველში რომელიმე ცნობილ არქეოლოგიურ ექსპონატთან შორეული ასოციაცია გამოიწვიოს. არქეოლოგიურ მონაპოვრებთან მსგავსება, ზოგჯერ, მართლაც იგრძნობა დარეჯანის ნამუშევრებში, რომლებიც საინტერესოა, უპირველეს ყოვლისა, ამა თუ იმ ეპოქის აქცენტირებისა და თანამედროვეობასთან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით. უძველესი ცივილიზაციებისგან თაობებზე მემკვიდრეობად გადმოცემული უკვდავი შედევრები მხატვრის მიერ ზედაპირულად კი არ არის აღქმული და ტრანსფორმირებული, ყოველი მათგანი კარგად არის გააზრებული და შემოქმედებითად გადამუშავებული. დარეჯანის ნამუშევრები მხატვრის ფიქრისა და ძიების ლოგიკური შედეგია, სადაც ყოველი ნიუანსი თუ შტრიხია გათვალისწინებული.

დარეჯანის ნამუშევრები მრავალი ცნობილი ადამიანის კოლექციას ამშვენებს. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ აშშ-ის პრეზიდენტის მეუღლეს, ქალბატონ ლორა ბუშს, თბილისში ვიზიტის დროს, სწორედ მის მიერ შესრულებული სამკაული უსახსოვრეს, როგორც ქართველი ხალხის ნიჭიერების, მშვენიერების შინაგანი განცდის ღვთითნაბოძები უნარისა და სიცოცხლის სიყვარულის თვალსაჩინო ნიმუში.

დარეჯანი ახალ კოლექციაზე მუშაობს. მხატვრის შემოქმედებასთან ყოველი შეხვედრა დიდი სიხარულის მომტანია მხატვრული და ტიხრული მინანქრის, ამ ძირძველი დარგის ერთგული თაყვანისმცემლებისთვის.

**ქეთევან ტომარაძე.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისში დაელოდებიან კარასინის მისიის შედეგებს

***აგვისტოში სოხუმს ორდღიან ვიზიტად ეწვევა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი. თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს კარასინი განიხილავს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკების პროცესის განახლების საკითხებს. რუსების საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ პრესისათვის გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ხაზგასმულია, რომ „ეს ვიზიტი მიმდინარეობს ქართულ-აფხაზური სრულფასოვანი მოლაპარაკების განახლების მიზნით რუსეთის დიპლომატიის მიერ გაღებული ძალისხმევის ფარგლებში. ამ მოლაპარაკებაში რუსეთის ფედერაცია მონაწილეობს როგორც ხელშემწყობი მხარე და საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის წევრი“.***



სოხუმში ყოფნის დროს კარასინი შეხვდება თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტს სერგეი ბაღაფშს, საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი შამბას, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდალს გენერალ-მაიორ სერგეი ჩაბანს და საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის წარმომადგენლებს. ოფიციალური თბილისი ძალზე მტკივნეულად რეაგირებს აფხაზეთში მაღალი თანამდებობის რუსი სახელმწიფო მოხელის ვიზიტზე, თუმცა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ წარმომადგენლის შესახებ ჯერჯერობით არანაირი გამონათქვამი არ გაკეთებულა. როგორც საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ უწყებაში განაცხადეს, მიზანშეწონილი იქნება თუ დაელოდებიან „კარასინის მისიის“ შედეგებს.

ამავე დროს, ქართველ სამხედროთა მიერ კოდორის ხეობაში სპეცოპერაციის განხორციელების შემდეგ, თვითაღიარებულ რესპუბლიკაში საკმაოდ რთული ვითარებაა. სოხუმში შეშფოთებას გამოთქვამენ კოდორის ხეობაში საქართველოს ქვედანაყოფების ყოფნის გამო და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ქართულმა მხარე აუცილებლად უნდა შეასრულოს მოსკოვის 1994 წლის შეთანხმებები, რომელთა მიხედვითაც კოდორის ხეობა არის კონფლიქტის მონაწილე მხარეების სამხედრო ყოფნისგან თავისუფალი ზონა; აგრეთვე იმუქრებიან, რომ აფხაზეთი დაამყარებს თავის იურისდიქციას ავტონომიის ამ ერთადერთ რაიონზე, რომელიც თბილისის კონტროლს ექვემდებარება.

ყოველივე ამის პასუხად, აფხაზეთში შექმნილი ვითარების შესახებ საკმაოდ მწვავე განცხადება გააკეთა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ. თბილისი აღნიშნავს, რომ კონფლიქტის მოწესრიგების არსებულმა მოლაპარაკების ფორმატმა ამოწურა თავისი შესაძლებლობები იმ ფონზე, როცა რუსეთი მოგვევლინა როგორც კონფლიქტის ერთ-ერთი მონაწილე მხარის და არა — მედიატორის როლში. გასული კვირის დამლევს გავრცელებულ განცხადებაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის მხარეს „შეწყვიტოს ისეთი მოქმედება, რომელმაც შეიძლება გაამწვავოს ვითარება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში“.

იმ პირობებში, როცა კოდორის ხეობაში მყარდება წესრიგი და მიმდინარეობს ვითარების ნორმალიზაცია, ამ რეგიონში კვლავ ხდება სხვადასხვა სახის პროვოკაციები. ასეთი პროვოკაციების რიცხვს თბილისი მიაკუთვნებს რუსეთის სამშვიდობო ძალების ვერტმფრენების შესვლას ხეობის ზედა ნაწილში, რომელსაც ქართული მხარე აკონტროლებს. კერძოდ, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების ინფორმაციით, 4 აგვისტოს, იმ ტერიტორიიდან, რომელსაც აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება და რუსი სამშვიდობოები აკონტროლებენ, კოდორის ხეობაში შეფრინდა მი-24 ტიპის საბრძოლო ვერტმფრენი, რომელსაც არ ქონდა ამოსაცნობი ნიშნები და რომელიც დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში დაფრინავდა მცირე სიმაღლეზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგუშაგოების თავზე. „ასეთი პროვოკაციები დაუშვებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფაქტობრივად დასრულდა რეგიონში კანონიერების და მართლწესრიგის აღდგენა“, ხაზგასმულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყება მოუწოდებს სამშვიდობო ძალების სარდლობას, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუთანხმოს ფრენა კოდორის ხეობაში. „მოვუწოდებთ რუს სამშვიდობოებს, რომ შეიკავონ თავი მსგავსი მოქმედებისგან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეგანაყოფებს შეუთანხმონ მათი ვერტმფრენების გადაადგილება კოდორის ხეობაში“, — აღნიშნულია დოკუმენტში. თბილისში იმედი აქვთ, რომ სამშვიდობო ძალების ასეთ მოქმედებას შესაბამის შეფასებას მისცემს გაეროს მეთვალყურეთა მისია.



თბილისში უყურადღებოდ არ დარჩენიათ, აგრეთვე ინფორმაცია რუსეთის სამხრეთი რეგიონებიდან აფხაზეთში სხვადასხვა ჯურის მოხალისეთა გადასვლის შესახებ, რომლებიც მზად არიან იომონ სეპარატისტთა მხარეზე, როგორც ეს მოხდა 1992-1993 წლებში. ერთ-ერთი ქართული ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ურჩია ამ თავგადასავლების მოყვარულ ადამიანებს, რომ განერიდონ აფხაზეთის ტერიტორიას. „ახლა 90-იანი წლები არ არის, ახლა ჩვენს არმიას შეუძლია შეასრულოს ნებისმიერი ამოცანა და ავანტიურისტთა ეს რაზმები, საჭიროების შემთხვევაში, ისეთ გაკვეთილს მიიღებენ, რომელიც კარგა ხანს არ დაავიწყდებათ — თქვა მინისტრმა.

**იური სიმონიანი,**
**7 აგვისტო**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

## საქართველოში 150 ათას უმუშევარს სტაჟირებაზე გაგზავნიან

**2006-2007 წლებში საქართველოს მთავრობა გამოჰყოფს 67,5 მილიონ ლარს 150 ათასი უმუშევარი სპეციალისტის კერძო კომპანიებში სამთვიანი სტაჟირების პროგრამის სარიალიზაციოდ. 2006 წელს სტაჟირებას გაივლის 50 ათასი უმუშევარი 2007 წელს კი — კიდევ 100 ათასი, გვაცნობეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში.**

როგორც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმ თქვა, უმუშევართა ასეთი სტაჟირება ხელსაყრელი იქნება კერძო კომპანიებისთვისაც, რადგან ისინი აღარ გაიღებენ ხარჯებს სტაჟიორთა სწავლისა და შრომითი მოწყობისთვის. უფრო მეტიც, არ არის გამორიცხული, რომ სტაჟიორთა ნაწილი იმავე კომპანიებში მიიწვიონ სამუშაოდ.



საქართველო აპირებს, რომ 2009 წლისთვის ერთიორად შეამციროს უმუშევართა რიცხვი. უახლოეს თვეებში შეიქმნება მშენებლობის, ტურისტული მომსახურების და ინფრასტრუქტურის სფეროს კადრების მომზადება-გადამზადების ცენტრები, რომლებზეც ამ ბოლო წლებში განსაკუთრებული მოთხოვნაა. სამინისტროს შეფასებით, სადღეისოდ საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის 13 პროცენტს არა აქვს სამუშაო.

**7 აგვისტო**

ИЗВЕСТИЯ

## სალომე ზურაბიშვილი: „უკრაინა გამოუცდელი პარტნიორი გამოდგა“

**საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა დაუმტკიცოს რუსეთს, რომ უკან დასაბრუნებელი გზა აღარ არსებობს და, საქართველო უკრაინის მსგავსად, არ დათანხმდება კომპრომისს“, — განაცხადა პოლიტიკური მოძრაობის „საქართველოს გზის“ ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა.**



„საქართველოს გზის“ ლიდერმა გამოთქვა რწმენა, რომ პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად, ქართველი და უკრაინელი ხალხები შეინარჩუნებენ ერთმანეთის მიმართ სიმპათიას.

როგორც მან თქვა უკრაინაში მიმდინარე მოვლენები იწვევს სინანულს, რადგან რუსეთმა ეს შეიძლება გამოიყენოს თავისი ინტერესებისთვის. „უკრაინის მაგალითმა გვიჩვენა, რომ არ შეიძლება კოალიციის შექმნა გამოუცდელ პარტნიორთან. უკრაინის პრეზიდენტს ძალზე გაუჭირდება ქვეყნის დარჩენა წინათ არჩეულ გზაზე, იმის მიუხედავადაც კი, რომ როგორც იანუკოვიჩი აცხადებს, უკრაინა არ გადაუხვევს ნატოსაკენ მიმავალი გზიდან“, — მიაჩნია ზურაბიშვილს.

**საინფ. სააგენტო**

REGNUM

## მიხეილ სააკაშვილი 10 დღით ჩვეულებრივი ჯარისკაცი გახდა

**იგი კარგა ხანია აცხადებდა, რომ მორიგ შვებულებას გაატარებდა არა რომელიმე ზღვისპირა კურორტზე, არამედ რეზერვისტთა ბანაკში. როგორც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გვაცნობეს, სააკაშვილი თვითონ შეარჩია ბანაკი. ეს გახლავთ ოლიაურის რეზერვისტთა მომზადების ცენტრი.**

თავის მაღალი სტატუსის მიუხედავად, პრეზიდენტი ბანაკში დარჩება როგორც ჩვეულებრივი რეზერვისტი, ყოველგვარი პრივილეგიების გარეშე, და ისევე როგორც ყველა სხვა, ისიც დაემორჩილება მეთაურთა ბრძანებებს. სააკაშვილი თბილისში, ალბათ, საკმაოდ გამხდარი დაბრუნდება.

**7 აგვისტო**

МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ



სიახლე

## ამერიკელმა მეცნიერებმა „თხევადი ჯავშანი“ შეიმუშავეს



**ახალი თაობის ჯავშანი შექმნეს ამერიკის „არმორ ჰოლდინგ“ კომპანიის სპეციალისტებმა. თავისი კონცეფციით ამ რევოლუციურ ჯავშანს გამოიყენებენ ახალი თაობის ჯავშანჟილეტების დასამზადებლად, რომლებსაც მომავალი წლიდან დაურიგებენ ამერიკელ სამხედროებს ერაყში.**

ჯავშანი შექმნილია ნანოტექნოლოგიებზე დაფუძნებული უახლესი ნამუშევრების საფუძველზე. დამცავ მასალას წარმოადგენს სითხე, რომელიც მოთავსებულია ტრადიციული ჯავშანჟილეტის ფენებს შორის. ტყვიის ან ჭურვის ნამსხვრევის მოხვედრის შემთხვევაში, სითხე დაუყოვნებლივ გარდაიქმნება ზემტკიცე ნივთიერებად. გარეენერგეტიკული ზემოქმედების მოხსნის შემდეგ კი, იგი კვლავ თხევად მდგომარეობაში გადავა. ამ აღმოჩენის წყალობით, მნიშვნელოვნად შემცირდება ჯავშანჟილეტის წონა და, ამავდროულად, ამაღლდება მისი დაცვის და საიმედოობის დონე .

როგორც ევროპული პრესა იტყობინება, ეს ტყვიაგაუმტარი სიახლე მომავალ წელს სავაჭრო ქსელში გამოჩნდება. ასეთი ჯავშანჟილეტის ფასი 500-600 დოლარი იქნება.

ტრაგედიის ექო

## ზოგი ჭირი მარგებელია

**ირკუტსკში დამსხვრეული აერობუსის A-310-ის 21 წლის სტიუარდესამ ვიქტორია ზილბერშტეინმა იმ დღეს (9 ივლისს) 20 მგზავრი გადაარჩინა. ახლა ის საავადმყოფოში წევს.**

ვიკა დედასთან ერთად მოსკოვის მახლობლად ქალაქ რეუტოვოში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. ხელისუფლებამ მამაც ქალიშვილს ცალკე ბინა აჩუქა. ნაქირავებში კი, იქ გადასვლამდე, უკვე დაუდგა დიდი ხნის ნალოდინევი ტელეფონი.

## კომპენსაციები

**მთავრობა, როგორც ეს რუსეთის ტრანსპორტის მინისტრმა იგორ ლევიტინმა გამოაცხადა, ავიაკატასტროფაში დაშავებულთ 50-50 ათას რუბლს გადაუხდის (3 ათას ლარზე მეტს), ხოლო დაღუპულთა ოჯახებს — 100-100 ათასს.**

ყველა რეგიონმა, სადაც გარდაცვლილთა დაკრძალვები გაიმართა, დამატებითი დახმარება გამოუყო ახლობლებს. ავიაკომპანია „сибирь“-მა აგრეთვე დაიწყო 50-50 ათასი რუბლი კომპენსაციების გადახდა დაშავებულთათვისა და დაღუპულთა ნათესავებისთვის.

## მარია რასპუტინაც დაღუპულთა შორისაა

**დიდი რუსი მწერალი ვალენტინ რასპუტინი ცოლთან ერთად რამდენჯერმე მისულა ირკუტსკის მორგში ქალიშვილის მოსაძებნად. მარია რასპუტინა მოსკოვიდან მარტო მშობლების მოსანახულებლად არ მოფრინავდა — 19 ივლისს კონცერტიც უნდა გაემართა ირკუტსკის ფილარმონიაში (მომღერალი ყოფილა).**

რასპუტინებმა ამოიცნეს მაშას გულსაკიდი ჯვარი. სანიტრებმა ის ერთ-ერთ დანომრილ პაკეტში ნახეს, იმ საგნებს შორის, რომლებსაც ცხედრებიდან ხსნიდნენ... მარია ირკუტსკშივე დაკრძალეს, სმოლენსკის სასაფლაოზე, სადაც ვალენტინ რასპუტინის ბევრი ნათესავია დამარხული.

# ლიბანის ქალაქი თირი გარესამყაროს მოწყვეტილია

**ისრაელის თვითმფრინავებმა ახალი მძლავრი დარტყმები მიაყენეს ლიბანს. დაიბომბა ბაქაას ველის აღმოსავლეთი ნაწილი და ბეირუთის სამხრეთი გარეუბნები. სადაც, როგორც ვარაუდობენ, განლაგებული უნდა იყოს „ჰესბოლას“ ძირითადი ბაზები.**

როგორც კორესპონდენტები იტყობინებიან, დაბომბვის გამო ქალაქი თირი მთლიანად არის მოწყვეტილი გარესამყაროსგან. ლიბანის ხელისუფლების მონაცემებით, იქ სულ ცოტა 11 მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპა.



ისრაელის არმიის ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადებით, საჰაერო დარტყმების მიყენება აუცილებელია, რადგან „ჰესბოლას“ მოთარეშეები კვლავ უშენენ ცეცხლს ისრაელის დასახლებულ პუნქტებს.

კვირას „ჰესბოლას“ მიერ ქალაქ ქფარ-გილადის მიდამოებისთვის „ჰესბოლას“ მიერ რაკეტების დაშენის შედეგად დაიღუპა 12 რეზერვისტი-ჯარისკაცი. არაერთი რაკეტა ჩამოვარდა ქალაქ ჰაიფაში, სადაც დაიღუპაავ მშვიდობიანი მცხოვრები, 120 კი – დაიჭრა.

ორშაბათს ასევე მოხდა ახალი შეტაკებები ისრაელის ჯარებსა და „ჰესბოლას“ რაზმებს შორის. ისრაელის არმიის წინაშე დასახულია შემდეგი ამოცანა: მათ საზღვრიდან რაც შეიძლება შორს უნდა განდევნონ მოთარეშეები.

„ჰესბოლაში“ აცხადებენ, რომ 4 ებრაელი ჯარისკაცი მოკლეს. თუმცა, ისრაელის მხარის მტკიცებით, სამხედროები მხოლოდ მსუბუქად არიან დაჭრილები.

ამავე დროს, გაეროს უშიშროების საბჭოში გაგრძელდა ლიბანში შეიარაღებული კონფლიქტის შეწყვეტის შესახებ რეზოლუციის განხილვა. რეზოლუციის ავტორები მოითხოვენ „ძალადობის სრულ შეწყვეტას“, მაგრამ რუსეთი და ჩინეთი მხარს უჭერენ ლიბანის პოზიციას, რომელიც მოითხოვს, რომ დოკუმენტი უფრო კონკრეტული იყოს და მასში შეიტანონ მოწოდება ცეცხლის დაუყოვნებელი შეწყვეტის თაობაზე.

ბეირუთში აგრეთვე მიაჩნიათ, რომ ამჟამინდელი სახით რეზოლუცია ისრაელის ჯარებს ფაქტობრივად აძლევს ლიბანის ტერიტორიაზე დარჩენის შესაძლებლობას, რაც ბეირუთისთვის ყოვლად დაუშვებელია.

ისრაელი პრინციპში, მხარს უჭერს რეზოლუციის პროექტს.

ბეირუთში კი მიმდინარეობს არაბული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომელზეც განიხილავენ ლიბანში შექმნილ ვითარებას.

# მოკლედ



**ინდონეზიის იავის კუნძულზე დაფიქსირდა „ფრინველის გრიპის“ გავრცელების ახალი შემთხვევა, ამჯერად დაავადებულია 16 წლის მოზარდი. პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება, ამიტომაც ექიმები იძულებული გახდნენ მიეერთებინათ იგი ხელოვნური სუნთქვის აპარატთან. მოზარდი დაავადდა ინფიცირებული შინაური ფრინველისგან.**

* * *



**ირანმა უარყო გაეროს 1696-ე რეზოლუცია, რომლის თანახმადაც 31 აგვისტომდე უნდა დაიბლოკოს თეირანის ბირთვული პროგრამის რეალიზაცია. ოფიციალური თეირანი აცხადებს, რომ კიდევ უფრო სწრაფი ტემპით გააგრძელებს ურანის გამდიდრების პროცესს. გარდა ამისა, მის წინაალმდეგ სანქციების შემოღების შემთხვევაში, ირანი ნავთობს გამოიყენებს როგორც ზემოქმედების იარაღს – წერს იტალიური „ლა სტამპა“.**

* * *

**ფიდელ კასტროს კიბო არა აქვს და იგი რამდენიმე კვირის შემდეგ შეუდგება მუშაობას. ასეთი განცხადება გააკეთა კუბის ვიცე-პრეზიდენტმა კარლოს ლაგემ, რომელიც ვიზიტად იმყოფება ბოლივიაში. „ფიდელ კასტრო კიდევ 80 წელს აპირებს სიცოცხლეს“, – იხუმრა მან. ლოგემ ასევე უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს კუბის ლიდერს დაუდგინეს კუჭის კიბოს დიაგნოზი და განაცხადა, რომ კომანდანტეს ჯანმრთელობის მდგომარეობა სულ უფრო უკეთესი ხდება.**

* * *

**ამერიკის ვისკონსინის შტატში გაიყიდა მომგებიანი ლატარიის ბილეთი, რომლის მფლობელი 200,6 მილიონ დოლარს მიიღებს, თუმცა გამარჯვებული ჯერჯერობით არ გამოცხადებულა მოგებული თანხის მისაღებად. აღსანიშნავია, რომ მაღაზიაში, რომელშიც გაიყიდა ბილეთი, მსგავსი რამ წინათაც მომხდარა.**

* * *

**ჩრდილოეთ კორეის მიერ გაშვებული ბალისტიკური რაკეტების მოხვედრის სიზუსტის თავდაპირველი შეფასებები სერიოზულად იყო დამახინჯებული, რადგან 7 რაკეტიდან 6 ჩამოვარდა დანიშნულების კვადრატში ერთმანეთისგან დაახლოებით 50 კილომეტრ მანძილზე. წარუმატებელი გამოდგა ახალი ტიპის რაკეტის გაშვება, რომელიც გაფრენისთანავე აფეთქდა.**

# ტყის ხანძრები ესპანეთში

**90-ზე მეტი ტყის ხანძარი ბობოქრობს ესპანეთის ტერიტორიაზე. სტიქიას უკვე ემსხვერპლა რამდენიმე ადამიანი, იმ რაიონებიდან კი რომლებსაც მოედო ხანძარი, ხდება მოსახლეობის ევაკუაცია.**

ბუნებრივი უბედურების შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა გალისიის ავტონომიური ოლქი. იქ კვირა ღამით დაფიქსირდა 79 ტყის ხანძარი, რომელთაგან 39 „კონტროლზეა აყვანილი“. რეგიონში განალაგეს სამაშველო და სახანძრო სამსახურების, შეიარაღებული ძალების და სამოქალაქო გვარდიის (გასამხედროებული პოლიციაძ დამატებითი ქვედანაყოფები. ისინი ებრძვიან ცეცხლს, ცდილობენ აღკვეთონ ხანძრის ახალი კერების გაჩენა, აგრეთვე ეხმარებიან მოსახლეობას საშიში რაიონებიდან ევაკუაციაში.

სტიქია, რომელიც მოედო 4 ათასი ჰექტარ ტყეებს და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, გახდა სამი კაცის დაღუპვის მიზეზი: დაიღუპა ერთი მოხალისე, რომელიც ეხმარებოდა მეხანძრეებს ცეცხლის ჩაქრობაში, აგრეთვე 2 ქალი, რომელთა ავტომობილი ცეცხლის ტყვეობაში მოექცა.

კატალონიის ავტონომიურ ოლქში ხუთმა ტყის ხანძარმა მოიცვა 1,5 ჰექტარი ფართობი: ცეცხლმა გაანადგურა დაახლოებით 200 ჰექტარი ტყეები. გარდა ამისა, საჭირო გახდა 400-ზე მეტი ადამიანის ევაკუაცია პატარა-პატარა დასახლებული პუნქტებიდან.

ხანძრის კერები დაფიქსირებულია აგრეთვე საფრანგეთისკენ მიმავალი ერთ-ერთი საავტომობილო გზის მიდამოებში. ამასთან დაკავშირებით, საფრანგეთის ხელისუფლება გადაკეტა ესპანეთში შესასვლელი რამდენიმე გზა.

სერიოზული მდგომარეობაა პორტუგალიაშიც, სადაც ბრძოლა ტყის ხანძრების წინაალმდეგ მიმდინარეობს ქვეყნის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილებში განლაგებული 10 ოლქის ტერიტორიებზე. ცეცხლის გავრცელებას უწყობს ხელს ამ ბოლო ხანებში ევროპაში ძალზე ცხელი ამინდი.





# წყალდიდობამ ასობით ადამიანი შეიწირა

**დაახლოებით 200 კაცი დაიღუპა აღმოსავლეთ ეთიოპიაში, მას შემდეგ, რაც პატარა მდინარე დაიკეტა გადავიდა ნაპირებიდან და დატბორა ქალაქი დირე-დაუა, რომლის მოსახლეობა დაახლოებით 250 ათასს შეადგენს.**

პოლიციის მონაცემებით, დაღუპულთა შორის 39 ბავშვია.

წყალდიდობის შედეგად დირე-დაუაში, რომელიც ეთიოპიის დედაქალაქიდან 500 კილომეტრზე მდებარეობს, დაინგრა ასობით სახლი. წყალმა ქუჩებში წალეკა ავტომობილები და დაახრჩო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვები. უსახლკაროდ დარჩა ქალაქის მრავალი ათასი მცხოვრები.

გასულ წელს ქვეყნის ამავე რეგიონში წყალდიდობას ემსხვერპლა 200 კაცი, რომელთაგან რამდენიმე ნიანგებმა შეჭამეს.

სტიქიამ აგრეთვე მრავალი მილიონის ზარალი მიაყენა ეთიოპიის ეკონომიკას – განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა ადგილობრივი გლეხობა.

# ტყუპების მსოფლიო ფესტივალი

**ამერიკის შუა დასავლეთის ერთ-ერთ პატარა ქალაქში თავი მოიყარა 3 500-ზე მეტმა ტყუპმა. „ტყუპების დღის“ ფესტივალის ორგანიზატორები აღნიშნავენ, რომ მსოფლიოში მსგავსი მასშტაბის ასეთი ღონისძიება ჯერ არ გამართულა.**

კლივლენდის გარეუბანი – პატარა ქალაქი თვინსბურგი („ტყუპების ქალაქი“ძ, რომლის მოსახლეობის 17 ათას შეადგენს, ყოველწლიურად მასპინძლობს ფესტივალს.





ორი, სამი და ოთხი ტყუპი და-ძმები აქ ჩამოვიდნენ მთელი ქვეყნიდან, აგრეთვე საზღვარგარეთიდან – ავსტრალიიდან, ინგლისიდან და იაპონიიდან.

ქალაქი თვინსბურგი დაარსდა 1800-იანი წლების დამდეგს. ადგილობრივი ლეგენდების თანახმად, პირველმოსახლეთა შორის იყო ორი ტყუპი-ძმა, რომლებმაც ქალაქის ხელისუფლებას შესთავაზეს თავიანთი კუთვნილი მიწის ნაკვეთი, თუ ამ დასახლებულ პუნქტს თვინსბურგს უწოდებდნენ.

# მინდა შეფზე შური ვიძიო? – წადი ბარში!

ჩინეთში გაიხსნა ბარი, რომელშიც სტუმრებს აქვთ ოფიციანტების ცემის ნება. ბარში მუშაობს 20 მამაკაცი, ყველა ატარებს სპეციალურ დამცველ ტანსაცმელს და გავლილი აქვს ფიზიკური მომზადების კურსები.

ბარის სტუმართა მოთხოვნით, მათ შეუძლიათ გამოიცვალონ ტანსაცმელი, რათა დაემსგავსონ რომელიმე კლიენტის უფროსს. ბარში მიმსვლელთა უმრავლესობა ქალებია, რომლებიც კარაოკე-ბარებსა და მასაჟისტთა სალონებში მუშაობენ.

## განათლების სისტემის სიახლენი

# კომპანიამ „ირმის ნახტომში“ გაიმარჯვა

**საქართველოს სკოლებში კომპიუტერული ტექნიკის შეტანა 10 სექტემბრიდან დაიწყება. სკოლებში კომპიუტერულ ტექნიკას, პრინტერს, ციფრულ ფოტოაპარატებს, პროექტებს და პორტატულ კომპიუტერებს შპს „იუ-ჯი-თი“ შეიტანს. აღნიშნულმა კომპანიამ საქართველოს განათლების სისტემაში ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშემწყობ ფონდ „ირმის ნახტომის“ მიერ გამოცხადებულ ღია ტენდერში გაიმარჯვა.**

შპს „იუ-ჯი-თი“ სკოლებს სამი წლის განმავლობაში მოემსახურება.

ტექნიკის შეტანას კომპანია ერთ თვეში დაასრულებს. თუ ტექნიკა დაზიანდა, კომპანია თავად უზრუნველყოფს სერვისცენტრში მის მიტანას.

# სკოლებში შუადღის უფასო სადილის პროგრამა დაიწყება

**ახალი სასწავლო წლიდან სკოლებში ერთჯერადი უფასო სადილი დაიწყება. მას მსოფლიოში სასურსათო პროგრამა დააფინანსებს. ეს პროგრამა დღეს საქართველოში რამდენიმე პროექტს ახორციელებს. მსოფლიო სასურსათო პროგრამამ საქართველოში 57 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობით დახმარება განახორციელა.**

მსოფლიო სასურსათო პროგრამის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯეიმს მორისმა საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობაში ხელშეწყობა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს სთხოვა; მსოფლიო სასურსათო პროგრამა საქართველოს გაეროსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების ჩარჩოებში ეხმარება. შეფერხება რომ არ მოხდეს, ამიტომ აუცილებელია მსოფლიო სასურსათო პროგრამას შორის ურთიერთობის ხელშეკრულებით გაფორმება და აღნიშნული ხელშეკრულების შემდგომ უკვე პარლამენტში რატიფიკაცია.

როგორც კი მთავრობა მსოფლიო სასურსათო პროგრამასა და საქართველოს მთავრობას შორის ხელშეკრულებას სარატიფიკაციოდ შეიტანს, პარლამენტი დაუყოვნებლივ რატიფიკაციაჰყოფს მას, ასეთია პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის დაპირება ჯეიმს მორისისადმი.

**ნათელა ფაილოძე.**

## კრიმინალი

# სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ფაქტზე...

სანდრო გირგვლიანის განზრახ მკვლელობის ფაქტზე აღძრულ საქმეს უახლოეს ხანში თბილისის სააპელაციო სასამართლო განიხილავს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატმა შალვა შავგულიძემ განუცხადა, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ოთხ ყოფილ თანამშრომელს განზრახ მკვლელობისთვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ, თბილისის სააპელაციო სასამართლოში პროკურატურამდე განსასჯელების მხარემ გაასაჩივრა.

ადვოკატის ინფორმაციით, პროკურატურა მოითხოვს განსასჯელებისთვის სასჯელის ზომის ერთი წლით დამძიმებას, ხოლო განსასჯელების ადვოკატები არ ეთანხმებიან თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენს და მის გაუქმებას მოითხოვენ.




როგორც შავგულიძემ განაცხადა, ისინი არ გაასაჩივრებენ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს, ვინაიდან მათთვის ცნობილია, „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ყოფილი თანამშრომლის სანდრო გირგვლიანის განზრახ მკვლელობის ფაქტზე არ გაიზრდება ეჭვმიტანილ პირთა წრე და მართლმსაჯულება შემოიფარგლება იმ ოთხი პირის დასჯით, რომლებიც დღეისთვის პატიმრობაში იმყოფებიან.

# პროკურატურა განსასჯელებისთვის უვადო პატიმრობას ითხოვს

„ეი-ეს-თელასის“ ფინანსური მენეჯერის ნიკა ლომინაძის განზრახ მკვლელობისთვის პროკურატურა განსასჯელებისთვის უვადო პატიმრობას ითხოვს.

ამის შესახებ, გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა საკუთარი სიტყვა წარმოთქვეს. ბრალდების მხარე უვადო პატიმრობის შეფარდებას ითხოვს განსასჯელ გიორგი გვიჩიანისთვის და ნიკა ჩემიასთვის, ხოლო რაც შეეხება მესამე დაკავებულს ავთანდილ ხერკელაძეს, მასთან ბრალდების მხარე საპროცესო შეთანხმების გარიგებას მოითხოვს.

თუკი ავთანდილ ხერკელაძე დათანხმდება საპროცესო გარიგებას და ამას გაიზიარებს სასამართლო, პროკურატურა ხერკელაძისთვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვს.

პროკურატურის პოზიციის თანახმად, გიორგი გვიჩიანის შეკვეთა ნიკა ლომინაძის განზრახ მკვლელობის შესახებ შეასრულა ნიკა ჩემიამ. მიზეზი იყო „ეი-ეს-თელასში“ უკანონო ჩათვლების დაფარვა.

ნიკა ჩემიასა და ავთანდილ ხერკელაძეს, გარდა ნიკოლოზ ლომინაძის განზრახ მკვლელობისა, ბრალად ედებათ 1996 წელს თურქი ბიზნესმენის ეკრემ სერბესტის განზრახ მკვლელობა და ყაჩაღობა.

პროკურატურის 60-გვერდიან სიტყვას ბრალდების მხარის წარმომადგენლები ორი საათის განმავლობაში კითხულობდნენ.

გუშინვე საკუთარი პოზიცია დააფიქსირა მოკლული ნიკა ლომინაძის მამამ ნოდარ ლომინაძემ. როგორც მან საკუთარ სიტყვაში განაცხადა, ნიკა ლომინაძის მკვლელობით ჩადენილ იქნა დიდი ცოდვა ღმერთისა და კაცობრიობის წინაშე.

„მე განსასჯელებს გულწრფელად ვუსურვებ იმის მსგავს პიროვნებებად ჩამოყალიბებულიყვნენ მათი შვილები, როგორიც ჩემი ნიკო იყო და როდესაც ისინი ქვეყნის სამსახურში ჩადგებიან, არ გაიზიარონ ისეთი ბედი, როგორიც ჩემმა ნიკომ“, – განაცხადა ნოდარ ლომინაძემ.

ნიკა ლომინაძის ოჯახის წევრები მოითხოვენ, რომ სასჯელის ზომა შეესაბამებოდეს დანაშაულის სიმძიმეს. მოსამართლე ნინო სანდოძემ დაცვის მხარეს საკუთარი პოზიციის წარმოდგენისთვის 4 დღის ვადა მისცა.

ადვოკატები საკუთარ პოზიციას 12 აგვისტოს, 11 საათზე წარმოადგენენ.

# დააკავეს ქრთამის აღების ფაქტზე...

შსს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე ოზურგეთის შს განყოფილების თანამშრომელი ავთანდილ მიქაბერიძე დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს პრესსამსახურში განუცხადეს, მიქაბერიძემ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მოქალაქეს თაღლითურად თანხა გამოსძალა.

ავთანდილ მიქაბერიძემ გარკვეული პრობლემის მოგვარებისა და მფარველობის სანაცვლოდ ერთ-ერთი მოქალაქისაგან 500 ლარი აიღო.

მიქაბერიძის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს იმერეთის საოლქო პროკურატურა იძიებს.

# პატიმარი გარდაიცვალა

ბათუმის საპყრობილეში პატიმარი გარდაიცვალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ იუსტიციის სამინისტროში განუცხადეს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბათუმის მე-3 საპყრობილეში პატიმარი, 46 წლის ანზორ ჩხაიძე 6 აგვისტოს გარდაიცვალა.

ექსპერტ-კრიმინალისტის წინასწარი დასკვნით, პატიმრის გარდაცვალების მიზეზი გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა იყო.

ქურდობისა და ყაჩაღობის ბრალდებით დაკავებული ჩხაიძე ბათუმის მე-3 საპყრობილეში 3 აგვისტოს გადაიყვანეს.

**ინტერპრესნიუსი**


## სს „ფოთის წისქვილქარხნის“ აქციონერთა საყურადღებოდ

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54.1 მუხლის საფუძველზე 2006 წლის 20 ივლისს სააქციო საზოგადოება „ფოთის წისქვილქარხნის“ 92,8464360 პროცენტი აქციების მფლობელი კომპანიის „ბლუ ტროპიკ ლიმიტედი“-ის წარმომადგენელმა გადაწყვიტა შემდეგი: 1. წარმოდგენილი სახით დამტკიცდა 2005 წლის წლიური ანგარიში; 2. საზოგადოების მიერ გაწეული მუშაობა 2005 წლის პერიოდში შეფასდა დამაკმაყოფილებლად; 3. დამტკიცდა 2005 წლის აუდიტის დასკვნა, რომელიც შესრულებულია შპს „რანგი“-ს მიერ; 4. სს „ფოთის წისქვილქარხნის“ აუდიტად 2006 წლისთვის დაინიშნა შპს „რანგი“, დირექტორი, აუდიტორი რატი ბურდიაშვილი;

დაწვრილებით ინფორმაციას 2005 წლის წლიური ანგარიშის შესახებ შეგიძლიათ საქართველოს საფონდო ბირჟის ვებ-საიტზე www.gse.ge

## სს „თელავგაზის“ აქციონერთა საყურადღებოდ:

2006 წლის 31 აგვისტოს, 14 საათზე გაიმართება აქციონერთა საერთო კრება შემდეგ მისამართზე:

(ქ. თელავი, კავკასიონის ქ. 15ძ

დღის წესრიგი:

1. განვლილი წლის სამეურნეო შედეგების განხილვა;
2. აუდიტის არჩევა;
3. ქონების რეალიზაცია;
4. სხვადასხვა.

**სს „ფოთის გემთსაშენის“ სამეთვალყურეო საბჭო, საზოგადოების აქციონერებს აცნობებს, რომ მიმდინარე წლის 1 სექტემბერს, საზოგადოების იურიდიულ მისამართზე (ქ. ფოთი, დავითაიას ქ. №1ძ, გაიმართება საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, კრების საალრიცხვო დღედ დადგენილია 28.07.06 წ.**

**დღის წესრიგი**

1. სამეთვალყურეო საბჭოს 2006 წლის გასული პერიოდის ანგარიშის მოსმენა;
2. საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანა;
3. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა;
4. საზოგადოების სარევიზიო კომისიის არჩევა.

ს.ს. „ფოთის გემთსაშენის“ სამეთვალყურეო საბჭო რეკომენდაციას უწევს საზოგადოების აქციონერებს, რათა მათ მხარი დაუჭირონ კრებაზე განსახილველ საკითხებს.

საზოგადოების აქციონერებმა, კრებაზე თავიანთი მონაწილეობის უფლება, შეიძლება შეამოწმონ ს.ს. „ფოთის გემთსაშენის“ დამოუკიდებელ რეგისტრატორთან – შპს „კაპიტალ-რეგისტრთან“ მისამართზე: **ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 80, ტელ: 23-03-84, 22-75-47.**

აქციონერთა რეგისტრაცია, საზოგადოების იურიდიულ მისამართზე, დაიწყება კრების ჩატარების დღეს 10 და დამთავრდება 11 საათზე. საზოგადოების აქციონერებმა, რომლებიც არიან ფიზიკური პირები თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო იურიდიულ პირთა წარმომადგენლებმა უნდა წარმოადგინონ კრებაში მონაწილეობის და გადაწყვეტილების მიღების შესაბამისი უფლებამოსილების ამსახველი დოკუმენტი.

**სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე**
**შ. წაქაძე,**
**ქ. ფოთი**
**2006 წლის 7 აგვისტო**

## სს „სამგორის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

**გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს სს „სამგორის“ აქციების სავალდებულო მიყიდვის პროცესი საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის 53 3 მუხლის თანახმად.**

**აქციების სავალდებულო მიყიდვის საალრიცხვო თარიღია 18.07.2006.**

აუქციონერების მიერ აქციათა სავალდებულო მიყიდვა განხორციელდება გამოსყიდვის ანგარიშში აღნიშნულ სამართლიან ფასად, ერთი აქციის საართლიანი ფასი შეადგენს 3,70 ლარს.

გამოსყიდვის ანგარიშის გასაცნობად მიმართეთ საბროკერო კომპანია **„თი-ბი-სი ბროკერს“**, მისამართი: **ჭავჭავაძის 24, ტელ: 25-16-44 (საკონტაქტო პირები: ლია ბადალაშვილი, გიორგი წიქარაძეძ** და რეესტრის მწარმოებელ პირს **სს „კავკასრეესტრს“**, მისამართი: **ჭავჭავაძის 74 ა, ტელ: 22-07-49 (საკონტაქტო პირი: მერაბ ვარდიაშვილიძ.**

## მცხეთის რაიონის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის მუდმივმოქმედი კომისია აცხადებს აუქციონს

**შემდეგ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობებზე:**

1. მცხეთის რაიონის დაბა ზაჰესის ტერიტორიაზე „თბილისი-გორი საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარედ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 700 $м^2$ (მიწის სარეგისტრაციო № 721204264ძ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი;

2. მცხეთის რაიონის დიღმის ტერიტორიაზე, დავით აღმაშენებლის სახელობის ხეივნის, თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის მიმდებარედ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 0.018 ჰა (მიწის სარეგისტრაციო № 721434436ძ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი;

საწყისი გასაყიდი ფასია:

I პუნქტად გამოცხადებული 700 $м^2$ (მიწის სარეგისტრაციო № 721204264ძ მიწის ფართობი. 1 $м^2$ – 10 (ათიძ აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, სულ 7000 (შვიდი ათასიძ აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

II პუნქტად გამოცხადებული 0.018 ჰა (მიწის სარეგისტრაციო № 721434436ძ მიწის ფართობი. 1 $м^2$ – 45 (ორმოცდახუთიძ აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, სულ 8100 (რვა ათას ასიძ აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

აუქციონის „ბე“ შეადგენს გასაყიდი ფასის 10 პროცენტს. მყიდველის მიერ ნაკვეთის გამოსასყიდი თანხის გარდა გადახდილ უნდა იქნეს ობიექტის გასაყიდად მომზადებისთვის გაწეული ხარჯები.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის 12 საათზე, აუქციონი ჩატარდება განცხადების მიღებისთვის განსაზღვრული ვადის დამთავრების მეორე დღის 11 საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინაწასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ნაკვეთს.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა, ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

**„ბეს“ გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის რაიონის გამგეობა ანგ. № 33030001, სახალხო ბანკის კოდი 220101415, საიდენტიფიკაციო კოდი № 236033234. კომისიის მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. № 72, ტელ: 8 (27-32ძ 27-27: 893 45-14-44.**

**მცხეთის რაიონის გამგეობა.**

**„არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის მუდმივმოქმედი რაიონული კომისია“.**

კალათბურთი

# ისევ ისინი და პლიუს სამი

**„ევრო-2009“-ის საკვალიფიკაციო ეტაპს („ბ“ დივიზიონი) საქართველოს ნაკრების გულშემატკივრები არნახული ოპტიმიზმით ხვდებიან.** აქვს კიდეც საამისო საბაბი – გუნდს ერთბაშად სამი გამოჯანმრთელებული ლიდერი დაუბრუნდა – მისი ქარიზმატული ფიგურა ვახტანგ ნაცვლიშვილი, დაცვაში ჩინებულად მოთამაშე მანუჩარ მარკოიშვილი და ახალგაზრდა „ჯვაროსანთა“ ამასწინანდელი ტრიუმფის მთავარი შემოქმედი ვიქტორ სანიკიძე. მართალია, ნბა-ში გადასული გამთამაშებელი შემონდ უილიამსი გამოგვაკლდა, მაგრამ, თუ სპეციალისტებს ვერწმუნებით, მისივე თანამემამულის, 28 წლის ტაირონ ელისის სახით მალე ღირსეული შემცვლელი გვეყოლება – როგორც შევიტყვეთ, მომავალი დებიუტანტისთვის ქართული პასპორტის დამზადების პროცესი უკვე დაწყებული ყოფილა და ხუთთა ტურნირის სტარტამდე იგი ჩვენი ქვეყნის მოქალაქე გახდება.

დაბოლოს – ნაკრების სათავეში დარჩა გორდონ ჰერბერტი, რომელიც პარალელურად ევროლიგის ბინადარ ფრანგულ „პო ორტეზს“ გაწვრთნის. სწორედ ეს გარემოება გახლდათ, სათუოს რომ ხდიდა კანადელთან ჩვენებურთა შემდგომ თანამშრომლობას, თუმცა ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა და ოკეანისგაღმელს ორ ფრონტზე გარჯის ნება დართეს. დავძენთ, რომ სწორედ მან გაუწია რეკომენდაცია ტაირონ ელისს – ისინი კარგად იცნობენ ერთმანეთს და 2004 წელს „სკაილაინერზში“ ერთად გახდნენ გერმანიის ჩემპიონები. ელისის თემას ერთი ფაქტით ამოვწურავთ – მან ჩვენს გუნდთან ოთხწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი.


გორდონ ჰერბერტი

აქვე იმასაც გაუწყებთ, რომ გორდონ ჰერბერტს ასისტენტობას კენ ატკინსონი, კენ შილდსი და დავით უსტიაშვილი გაუწევენ. დაგვეთანხმებით, მოთამაშეთა და მწვრთნელთა ასეთი კონტინგენტით ევროპულ ელიტაში („ა“ დივიზიონი) ალზევება ამჯერად მაინც უნდა მოვახერხოთ. ვიმედოვნებთ, ასეც იქნება.



*სადარბაზო ბარათი*

**ტაირონ ელისი დაიბადა 1977 წლის 6 ოქტომბერს. მისი სიმაღლეა 194 სმ, წონა – 86 კგ.**

**ამპლუა – მსროლელი, გამთამაშებელი. დაამთავრა სამხრეთ ნაზარინის უნივერსიტეტი. კლუბები – ჰანსტვილი (აშშ-ს II ლიგა), „ხირონა“ (ესპანეთი), „სკაილაინერზი“ (გერმანია), „ბეშიქთაში“ (თურქეთი).**

**შედეგიანობა – შესაბამისად, საშუალოდ 5, 12, 15 და 11 ქულა ერთ მატჩში. ტიტული – გერმანიის ჩემპიონი.**

**გამოცდილება – სამხრეთ ნაზარინის უნივერსიტეტის გუნდის რეკორდსმენი სამქულიანებში – 248. ერთი სეზონის განმავლობაში ნბა-ს განვითარების ლიგაში ხვეწდა ოსტატობას, ხოლო ევროპაში გადმობარგების შემდეგ მისი ვარსკვლავი ევროლიგაშიც აკიაფდა – კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის 7 შეხვედრაში იგი საშუალოდ 21 ქულასა და 5 მოხსნას აგროვებდა. ახლახან კიდევ ერთხელ სცადა ბედი ნბა-ს საზაფხულო ბანაკში და „მინესოტა ტიმბერვულვზის“ მესვეურთა ყურადღებაც დაიმსახურა – ამ კლუბთან მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია და მალე, ალბათ, სათანადო კონტრაქტიც გაფორმდება.**

ფეხბურთი

# შინ და გარეთ

**ქვეყნის ჩემპიონისა და ვიცეჩემპიონის მატჩი, უმეტესწილად, პრინციპულ ხასიათს ატარებს. გამონაკლისი არც საქართველოა – ფეხბურთელთა XVIII ეროვნული ჩემპიონატის II ტურში ერთმანეთს თბილისის „ვიტ ჯორჯია“ და ბოლნისის „სიონი“ მცხეთაში შეხვდნენ. და მერე როგორ – პირველი წუთიდან მსაჯის საფინალო სასტვენამდე მოვლენები ისე ვითარდებოდა, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა საბოლოო შედეგს. საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ ფაქტს დავასახელებთ – მესამე წუთზე ანგარიში უკვე 1:1 იყო (ევოჩე, სახოკია). მოგვიანებით სახოკიამ „დუბლი“ შეასრულა, მისმა პარტნიორმა ლუჭაშვილმა ასევე ორი საგოლე გადაცემით ისახელა თავი, მაგრამ თამაშის**



**გმირი მაინც ვეტერინართა მეკარე ბედიაშვილი გახდა – მან მეტოქეთა მთელი რიგი სახიფათო დარტყმები მოიგერია და ვეტერინართა გამარჯვებას – 3:2 გვარიანად შეუწყო ხელი. დავძენთ, რომ დანარჩენი გოლები ფეიქრიშვილმა („ვიტ ჯორჯია“) და ფრიდოლინმა მიითვალეს.**

კიდევ ერთი საჩემპიონო განაცხადი გააკეთა იონანიძისა და გაწუგრავასგარეშე მოასპარეზე „ზესტაფონმა“, რომელმაც დედაქალაქში „მერანი“ გახედნა – 3:0 (ლონღაძე, ჭელიძე – 2).

**დანარჩენი შედეგები:** „ბათუმი“ – „ამერი“ 0:1, „დინამო“ – „დილა“ 6:1, „ოლიმპი“ – „კახეთი“ 7:0, „ჩიხურა“ – „ტორპედო“ 0:0, „ბორჯომი“ – „ლოკომოტივი“ 1:1.

**სატურნირო მდგომარეობა:** „დინამო“, „ზესტაფონი“, „ამერი“ – 6-6, „ვიტ ჯორჯია“ – 4, „ოლიმპი“, „მერანი“ – 3-3, „ტორპედო“ – 2, „ბათუმი“, „ლოკომოტივი“, „ჩიხურა“, „ბორჯომი“, „დილა“ – 1-1, „სიონი“, „კახეთი“ – 0-0 ქულა.

**20 აგვისტოს ითამაშებენ:** „დილა“ – „ბორჯომი“, „ამერი“ – „დინამო“, „ტორპედო“ – „ბათუმი“, „სიონი“ – „ჩიხურა“, „კახეთი“ – „ვიტ ჯორჯია“, „ზესტაფონი“ – „ოლიმპი“, „ლოკომოტივი“ – „მერანი“.

**საქართველოს** პროფესიული ფეხბურთის ლიგაში მოეწყო დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალისტთა კენჭისყრა (10-11 და 23 აგვისტო), რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა: „ბათუმი“ – „მგლები“ (ზუგდიდი), „ჩიხურა“ – „სამტრედია“, „ტორპედო“ – „მეშახტე“, „ზესტაფონი“ – „გურია“, „ბორჯომი“ – „მერცხალი“, „დილა“ – „მეშაქრე“, „ლოკომოტივი“ – „ნორჩი დინამოელი“, „კახეთი“ – „ამირანი“ (თბილისი), „სპარტაკი“ – „ზოოვეტი“, „გაგრა“ – „მესხეთი“, „ოლიმპი“ – „მალაროელი“, „მერანი“ – „ლიახვი“ (თამარაშენი).

* * *

**გერმანია.** *ლიგის თასის ფინალური შეხვედრა.* „ვერდერი“ – „ბაიერნი“ 2:0.

**საფრანგეთი. I ტური.** „ნანტი“ – „ლიონი“ 1:3, „ლანსი“ – „ტრუა“ 1:0, „რენი“ – „ლილი“ 1:2, „ოსერი“ – „ვალანსიენი“ 1:1, „ბორდო“ – „ტულუზა“ 2:0, „პსჟ“ – „ლორიენი“ 2:3, „ლე მანი“ – „ნიცა“ 1:0, „სენტ ეტიენი“ – „სოშო“ 1:2, „ნანსი“ – „მონაკო“ 1:0, „სედანი“ – „მარსელი“ 0:0.

**ბელგია. II ტური.** „ლიერსი“ – „გენკი“ 0:3, „ბევერენი“ – „ვესტერლო“ 0:3, „ანდერლეხტი“ – „ბეერსხოტი“ 1:0, „გენტი“ – „მუსკრონი“ 1:3, „ვარეგემი“ – „ბრიუსელი“ 0:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „გენკი“, „ვესტერლო“, „ანდერლეხტი“, „მუსკრონი“, „ბრიუსელი“ – 6-6 ქულა.

**ავსტრია. IV ტური.** „ზალცბურგი“ – „გრაცერი“ 4:1, „ტიროლი“ – „ავსტრია“ 1:1, „პაშინგი“ – „მატერსბურგი“ 1:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ზალცბურგი“, „ტიროლი“ – 10-10, „მატერსბურგი“ – 9 ქულა.

**შვეიცარია. IV ტური.** „ციურიხი“ – „იანგ ბოიზი“ 3:1, „სიონი“ – „სენტ გალენი“ 4:0, „ბაზელი“ – „გრასხოპერსი“ 2:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ციურიხი“ – 10, „სიონი“ – 10, „გრასხოპერსი“ – 8 ქულა.

**შოტლანდია. II ტური.** „სენტ მირენი“ – „მოზერუელი“ 2:0, „ჰართსი“ – „სელტიკი“ 2:1, „ფალკირკი“ – „დანფერმლაინი“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „სენტ მირენი“, „ჰართსი“, „ფალკირკი“ – 6-6 ქულა.

**რუსეთი. XV ტური.** „სპარტაკი“ – „როსტოვი“ 5:2, „ცსკა – „ლუჩ-ენერგია“ 2:1, „ნალჩიკი“ – „კრილია“ 1:1 (მასპინძელთაგან გოლი **გოგიტა გოგუამ** გაიტანა).

**ლიდერთა ჯგუფი:** „სპარტაკი“, ცსკა, „ნალჩიკი“ – 28-28 ქულა.

**უკრაინა. III ტური.** „შახტიორი“ – „მეტალისტი“ 5:0, „დინამო“ – „კრივბასი“ 3:1, „ტავრია“ – არსენალი“ 1:3, (მესამე გოლი **ლაშა ჯაკობიამ** გაიტანა), „დნეპრი“ – „ვორსკლა“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „შახტიორი“, „დინამო“ – 9-9, „არსენალი“, „დნეპრი“ – 7-7 ქულა.

ოლიმპიზმი

## როცა ჩინეთში დილაა, ამერიკაში საღამოვდება

**სწორედ ასეთმა ბუნებრივმა შეუსაბამობამ გამოიწვია მსოფლიოს ცნობილი წამყვანი მოცურავეების – ავსტრალიელი მაიკლ კლიმისა და ჰოლანდიელი პიტერ ვან დენ ჰუგენბანდის პროტესტი. მათ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს წერილით მიმართეს – არ შეიტანონ 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშების განრიგში ფინალური გაცურვები დილის საათებში.**

საქმე ის არის, რომ ტელეკომპანია NBC პეკინის ოლიმპიადის ტელეტრანსლაციის უფლებისთვის 3,55 მილიარდი დოლარი გადაიხადა და გადაწყვიტა ამერიკელებისთვის მედლების მოსახვეჭი ეს სახეობა ოლიმპიურ ტრანსლაციათა პროგრამის პრაიმ-ტაიმში შეეტანა. ე.ი. ამერიკული საღამოს პროგრამა ჩინეთში ოლიმპიადის დილის სტარტებით დაეტვირთა.



პეკინის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა სწორედ ეს გარემოება გაითვალისწინეს, როდესაც ცურვაში შეჯიბრებები დილისთვის დაგეგმეს.

ევროპის ჩემპიონატი

## ვეტერანებმა „ფანჯარა გაჭრეს“



**ჰამბურგში ვეტერან კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატი წლეულს მეოთხედ იმართება, მაგრამ საქართველოს ნაკრებისთვის ((40 წელი) იგი სადებიუტოა.** სამწუხაროდ, განვლილ ხუთ ტურში ჩვენებმა მხოლოდ 2 ორთაბრძოლა მოიგეს, სამ შეხვედრაში კი დამარცხდნენ. მეხუთე მატჩში საქართველოს ნაკრებმა გერმანელთა გუნდს სძლია 94:76. ახლა ჩვენები რუსების პირველ ნაკრებთან ითამაშებენ.

ჭადრაკი

## ფიასკო

**ქართველი დიდოსტატის – ბაადურ ჯობავას დორტმუნდის სუპერტურნირში მონაწილეობა ფიასკოთი დამთავრდა. ჩინეთის საერთაშორისო ტურნირში მიღწეული წარმატების შემდეგ გერმანიაში ქართველმა დიდოსტატმა, სამწუხაროდ, ძალიან ცუდად ითამაშა – მხოლოდ სამ ყაიმს და 1,5 ქულით ბოლო ადგილს დასჯერდა. ყველაზე სავალალო ის არის, რომ კრამნიკთან შეხვედრისას ჯობავამ მე-15 სვლაზე (!) მოაწერა ხელი კაპიტულაციას.**

დორტმუნდის ტურნირი 7 შესაძლებლიდან 4,5 ქულით სწორედ ვლადიმირ კრამნიკმა მოიგო. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე იყო პიოტრ სვიდლერი. 4-4 ქულა მოაგროვეს მაიკლ ადამსმა, პეტერ ლეკომ და ბორის გელფანდმა, 3,5 – არკადი ნაიდიჩმა და 2 ქულა – ლევან არონიანმა.



კრივი

# მოგებაც, წაგებაც



**სტამბოლში გრძელდება კადეტ მოკრივეთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც საქართველოს წარგზავნილებიც მონაწილეობენ.** ტარიელ ვერულაშვილის შეგირდებიდან პირველი ორთაბრძოლები მოიგეს ვახტანგ წინამძღვრიშვილმა (54 კგ.), მან ინდოელ დურკალაო ვანკალას სძლია და გურამ გოგიაშვილმა (60), რომელმაც ჩეხი ხლადეკ ჟენეკი დაამარცხა.

მედლებისთვის ბრძოლას პირველსავე წრეში გამოეთიშნენ ბაკურ გოგოჭური (63), რომან თავაძე (66) და გიორგი იველაშვილი (75).

## ნეიტრალურ სტადიონებზე

**საარბიტრაჟო სასამართლომ ძალაში დატოვა უეფას გადაწყვეტილება რეგიონში ექსტრემალური ვითარების გამო ევროთასების ორი მატჩის ისრაელიდან ნეიტრალურ ტერიტორიაზე გადატანის თაობაზე. თელ-ავივის „ჰაპოელი“ „დომჟალეს“ ჰოლანდიის ტილბურგში შეხვდება, ხოლო „ბნეი-იეჰუდა“ სოფიის „ლოკომოტივს“ სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში დაუპირისპირდება. მალე გაირკვევა იმ სხვა მატჩების ბედიც, რომლებიც აგვისტოში ისრაელში უნდა გამართულიყო.**

## ჩოგბურთი

# ჩახნაშვილი — კვარცხლბეკზე



იტალიაში პულიის მხარის საერთაშორისო ტურნირზე შესანიშნავად იასპარეზა ქართველმა ჩოგბურთელმა მაკა ჩახნაშვილმა. პირველ წრეში მან იტალიელ ელზა ბელსამოს მოუგო — 7:5, 6:4. მერვედფინალში გზიდან ჩამოიშორა პირველ ნომრად განთესილი მისი თანამემამულე, მარტინა ფრანკას ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული ნატალი ვიერინი — 6:7, 6:2, 6:3.

მომდევნო ორ შეხვედრაში ქართველმა ჩოგბურთელმა ბელარუს დარია კუსტავას (6:2, 4:6, 6:2) და ხორვატ ნიკა ოზეგოვიჩს (6:4, 6:3) სძლია. ფინალში გუშინ მე-4 ნომრად განთესილი იტალიელი კარინ კნაპი დაამარცხა (6:3, 7:5) და მთავარ პრიზს დაეუფლა.

## მკურნალი

**ცნობილია, რომ ჩვენი ფოტოკორესპონდენტის — თედო ნიკოლაიშვილის საყვარელი ტრანსპორტია ველოსიპედი. თავისი განუყრელი ორთვალათი იგი მივლინებაშიც დადის — მარტო თელავსა თუ ბევრ სხვა რაიონში კი არა, ხევსურეთშიც.**

**ჰოდა, ამას წინათ თედოს არ გაუმართლა — ასურეთიდან დაქანებულს გზად მართვის სისტემამ უმუხთლა და...**

# ველოტრეკიდან — საგვარეულო საიდუმლოებამდე



— **Очнулся, гипс?**

— რას ამბობ, კაცო, რა „გიპსი“, რისი თაბაშირი, — მითხრა რედაქციაში მოსულმა ხელგადაბინტულმა თედომ, — მეგობრის რჩევით ცნობილ სახალხო მკურნალ ბიჭიკო ასკურავასთან მივედი. ჯადოსნური საფენით ტკივილები უმალ დამიამა.

— შენი ხელი რა პრობლემაა, როცა ბატონ ბიჭიკოს იური ლუჟკოვის წვივში გადატეხილი ფეხი მოურჩენია, — სიტყვა შევაწიე კოლეგას და კარგა ხნის წინათ სადღაც წაკითხული ამბავიც მოვუყევი: იური ნიკულინის 70 წლის იუბილეს წინა დღეებში გარემოცვას მოსკოვის მერი გაუბრიყვებია — უფრო ეგზოტიკური იქნება, პარაშუტით ცირკის წინ თუ დაეშვებით და მსახიობს ორდენს ისე გადასცემთო. ლუჟკოვიც დათანხმებულა. ოღონდ საცდელი გადმოხტომისას ფეხი წვივში მოუტეხავს. ზურაბ წერეთლის დახმარებით მოსკოვში ბატონი ბიჭიკო ჩასულა და საიუბილეოდ პაციენტი ფეხზე დაუყენებია. მადლობის ნიშნად, ლუჟკოვს ოქროს საათი უჩუქებია. ასკურავების საგვარეულო საფენს მოსკოვის მერის მეუღლე (ცხენიდან გადმოვარდა და ხელი მოიტეხა) და სიდედრიც მოურჩენია.

— მოიცა, კაცო, — შემაჩერა თედომ. — ეგენი რად მინდა, ჩემი მათქმევინე: რომ გაიგო, ყოფილი ველოსპორტსმენი ვიყავი, კაპიკიც არ გამომართვა. თვითონაც ველომრბოლი ყოფილა. სამუშაო ოთახის კედლები სულ ფოტოებით აქვს მოფენილი..

თედოს ხელი მოურჩა თუ არა (ფოტო ხომ უნდა გადაეღო), ინტერვიუსთვის ბატონ ბიჭიკოს ვესტუმრეთ. იგი თავის სტიქიაში დაგვხვდა: ზოგს ხელი შეუხვია, ზოგს — ფეხი. ახალ ავადმყოფებს რჩევა-დარიგებებიც მისცა: მკურნალობისას ალკოჰოლის, თევზისა და ხიზილალის მიღება დაუშვებელია, რადგან ამ პროდუქტების შემცველი ფოსფორი შეხორცებას აფერხებს; სექსსაც ერიდეთ, რადგან ამ დროს მოტეხილობის ფიქსაცია დაირღვევა და შეხორცება არასწორად წავაო.

პაციენტები რომ გაისტუმრა, ჩვენთვისაც მოიცალა. კარადიდან კონიაკის ბოთლი გადმოიღო და სასმისი შეავსო: ჩვენი გაცნობა და თედოს ხელის მორჩენა დავლოცოთო, გვითხრა. დიდი მსმელი არა ვარ, მაგრამ, მასპინძლის ეს ჟესტი ნამდვილად მესიამოვნა (ბევრ ადამიანს ვწვევივარ ინტერვიუსთვის შინ და ზოგიერთს კონიაკი კი არა, უშაქრო ჩაიც არ გაუმეტებია). თედოს შევხედე. ბატონ ბიჭიკოს არაფერი ეშლებაო, თვალით მანიშნა.

საერთაშორისო აკადემიების აკადემიკოსის, ჩინეთ-ისრაელ-ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრის, ღირსების ორდენოსან, პროფესორ ბიჭიკო ასკურავას სამუშაო მაგიდაზე დასტა-დასტად აწყვია ქართული და უცხოური ჟურნალ-გაზეთები, დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი მადლობის წერილები. იმდენი რამ თქმულა ცნობილ დასტაქარზე, რომ ახალი რა უნდა დავწეროთ, არც იცი. თქვენს ველოსპორტსმენობაზე მიამბეთ-მეთქი, ვთხოვე.

— ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვიანში დავიბადე და გავიზარდე, — მითხრა მასპინძელმა. — თანატოლებივით მეც ვთამაშობდი ფეხბურთს, ფრენბურთს, მაგრამ ყველაზე მეტად ცურვა და ველოსიპედი მიზიდავდა. ისე სწრაფად დავქროდი ჩემი „რკინის რაშით“, რომ მეზობლებს არაერთხელ ურჩევიათ, ფრთხილად იარე, თორემ ამ ქვიან გზაზე თუ დაიმტვრევო, საგვარეულო მალამო ვერ გიშველისო.

ერთი ახლო ნათესავი გვყავდა თბილისში, ვანო ასკურავა — ოპერის თეატრის მხატვარი, სტალინური პრემიის ლაურეატი. სოფელში სტუმრობისას ჩემი ჩხირკედელაობა რომ ნახა, მამაჩემს უთხრა, ეს ბიჭი გამაყოლე დედაქალაქში, პროფესიას ვასწავლიო. მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო ტექნიკუმში მომაწყო. წითელ ხეზე მხატვრულ ჩუქურთმას ვეუფლებოდი ვახტანგ ბოტკოველის ხელმძღვანელობით. ერთ დღეს ფიზკულტურის მასწავლებელი შემოვიდა და ვის რომელ სპორტულ სექციაში გინდათო მეცადინეობა, გვკითხა. ცხადია, ველოსპორტი ავირჩიე. ასე მოვხვდი კამოს ქუჩის ველოტრეკზე. გივი ფარცვანია და ოთარ დადუნაშვილი მავარჯიშებდნენ. ეს იყო 1956 წელს (როგორ გაფრენილა ნახევარი საუკუნე? — **ავტ.**).

თერთმეტი წელიწადი შეალია ბიჭიკო ასკურავამ არჩეულ სპორტის სახეობას. არაერთ წარმატებას მიაღწია სპრინტში. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა და პრიზიორმა 1959 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე მე-6 ადგილი დაიკავა, რაც საკმაოდ კარგი შედეგი იყო. მაშინ ჩემპიონი გახდა ომარ ფხაკაძე.

**— როგორც ვიცი, სავსებით ახალგაზრდამ მიატოვეთ აქტიური სპორტი. რა მიზეზით?**

— ტრეკზე ომარ ფხაკაძის გამოჩენის შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურს მე ვინ გამაკარებდა (ეცინება). საპრიზო ადგილები კი მოსაწყენი გახდა. თანაც, 1967 წელს დავოჯახდი. სულ გარეთ მიწევდა წანწალი. მეუღლემ მითხრა, ან მე, ან — ველოსპორტიო. ეტყობა, საბაბი მჭირდებოდა და აქტიურ სპორტს ჩამოვშორდი.

თუმცა, ბიჭიკო ასკურავას ველოსპორტისთვის ზურგი ბოლომდე არასდროს შეუქცევია. კარგა ხანს მწვრთნელად იმუშავა, ველოფედერაციის პრეზიდენტიც გახლდათ. საბოლოოდ მაინც ოჯახურმა ტრადიციამ გადაძალა, არადა, საგვარეულო საიდუმლოს ჯერ კიდევ სოფლის სკოლაში სწავლისას ეზიარა მამისგან.

250 წელიწადია, ასკურავების სასწაულმოქმედი მალამო ქირურგიული ჩარევის გარეშე ეფექტიანად და უმტკივნეულოდ არჩენს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, „პოდაგრას“ (ძვლოვან წამონაზარდებს), ძვალ-სახსრების სხვა დაავადებებს.

თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში — ივერიის ქუჩაზე 1990 წლიდან არსებობს ასკურავათა სახალხო სამედიცინო ცენტრი, რომელშიც თითქმის ორასი ათასამდე ავადმყოფმა იმკურნალა. ფაქტობრივად, უკმაყოფილო არავინ დარჩენილა, თითო-ოროლა ადამიანის გარდა. მადლიერ პაციენტთა შორის არიან ელენა ობრაზცოვა, ვერიკო ანჯაფარიძე, რეზო ჩხეიძე, მედეა ჯაფარიძე, თამარ ციციშვილი, თენგიზ აბულაძე, მერაბ ბერძენიშვილი, სოფიკო ჭიაურელი, რობერტ სტურუა, კოლაუ ნადირაძე, გივი სანაძე, ბულგარელი ზინიდა ნენევა და ბევრი სხვა. მათ შორის ამერიკაში მცხოვრები ნინო მიმინოშვილი (ცნობილი საფეხბურთო არბიტრის — ველოდ მიმინოშვილის ქალიშვილი), რომელსაც მხრის ძვლის მოტეხილობა მიუღია და ორი წლის განმავლობაში ნიუიორკელი დასტაქრების მკურნალობას (ქირურგიულ ჩარევასაც) ამაოდ ჩაუვლია. ასკურავების საფენებმა კი ემიგრანტი ქართველი სრულიად გამოაჯანმრთელა.

აი, რა უთქვამს თბილისში სტუმრად მყოფ ლოსანჯელესელ რეჟისორს, „დელფინ ფილმის“ პროდიუსერ მაიკლ მიქაელ სიგლის ბიჭიკო ასკურავაზე: „რაც ვნახე, მართლაც ფანტასტიკურია. თავიდან არ მჯეროდა, როგორ შეიძლებოდა, მოტეხილი ძვლისთვის უთაბაშიროდ მკურნალობა. თურმე, შესაძლებელი ყოფილა“.

მრავალი მაცდუნებელი წინადადება მიუღია ბატონ ბიჭიკოს (მისი ნამდვილი სახელია ვლადიმერი) სხვადასხვა ქვეყნიდან, რადგან მისი საგვარეულოს საიდუმლო დიდი ხანია, გასცდა სამშობლოს ფარგლებს და მსოფლიოს იპყრობს, მაგრამ საქართველოდან წასვლა არასდროს უფიქრია: მირჩევნია, ჩემს ხალხს ვემსახუროო, ამბობს სახელოვანი მკურნალი, რომელსაც ოჯახში საიმედო ცვლა ეზრდება. ბატონ ბიჭიკოს ვაჟს — ირაკლის საერთაშორისო დიპლომით აქვს მინიჭებული დასტაქრობის უფლება. აი, უფროსი შვილიშვილი, 15 წლის დავითი ბაბუის ალი-კვალია: ველოსპორტში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და საერთაშორისო შეჯიბრებების პრიზიორი, რომელსაც ველოსპორტის მსოფლიო ფედერაციამ ძვირადღირებული ველოსიპედიც კი აჩუქა, უკვე ერკვევა მამაპაპისეულ სამედიცინო საიდუმლოებებში. ბატონი ბიჭიკო დარწმუნებულია, რომ ასკურავების გვარს დავითის სახით კარგი სპორტსმენი და უებარი მკურნალი შეემატება.

**ვაჟა დანელია**





**სურათებზე: სახელოვანი დასტაქარი (ცენტრში) და მისი თანაშემწე როდიკო ჭეიშვილი ჩვეულ ამპლუაში; ტრეკზეა ბიჭიკო ასკურავა; კვიცი გვარზე ხტის.**

**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**

## ორბიტაზე

# როცა ბატონმა „იბატონა“

**უნგრეთის დედაქალაქში „ჰუნგარორინგის“ ავტოდრომზე „ჰონდას“ ბრიტანელი პილოტის ჯენსონ ბატონის კარიერაში პირველი გამარჯვებით დასრულდა ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის მე-13 ეტაპი. გადაუღებელმა წვიმამ, პილოტები რომ აიძულა ბოლიდების რისკის ზღვარზე ტარება, რბოლიდან მონაწილეების მასობრივი გამოსვლა გამოიწვია.**



ლიდერებს შორის ტრასა პირველმა ფინელმა კიმი რაიკონენმა („მაკლარენი“) დატოვა, 52-ე წრეზე ბოლიდის პრობლემების გამო მის გზას გაუდგა შარშანდელი ჩემპიონი და წლევანდელი ლიდერი ფერნანდო ალონსო („რენო“), ფინიშამდე ორი წრით ადრე საქის გაუმართაობების გამო კი ბრძოლა შეწყვიტა 7-გზის მსოფლიო ჩემპიონმა მიხეილ შუმახერმაც („ფერარი“).

პოდიუმზე ბატონის კამპანიონები გახდნენ ესპანელი პედრო დე ლა როსა („მაკლარენი“) და ნიკ ჰაიდფელდი („ბმვ-ზაუბერი“).

# ძნელი არჩევანის წინაშე

**სწორედ რომ ასეთი მომენტი შეექმნა ცნობილ იტალიელ ფეხბურთელს კრისტიან ვიერის, როდესაც რეალით-შოუს „კუნძულზე“ პროდიუსერმა მას უარი უთხრა შოუში მონაწილეობაზე, რადგან ძალზე გვიან განაცხადე შენს სურვილზეო. ჯერჯერობით ფეხბურთელს ისღა დარჩენია, დრო ატაროს თავისი რჩეულის მელისა სატის (ფოტოზე) საზოგადოებაში.**

მთავარი კი ისაა, რომ სულ მალე, შესაძლოა, ვიერიმ ფეხბურთელის კარიერაც დაამთავროს გაჭიანურებული ტრავმების გამო. თუმცა კონტრაქტი „სამპდორიასთან“ აქვს გაფორმებული, მაგრამ კლუბის ბოსებმა მას ულტიმატუმი წაუყენეს — სასწრაფოდ გადაწყვიტოს — ითამაშებს, თუ არა.

როგორც ამბობენ, ფეხბურთელს სწორედ ამ მწვავე პრობლემების გამო უნდოდა შოუში მონაწილეობა.

ახლა ვიერი ძნელი არჩევანის წინაშეა — ტრავმები არ აძლევს ფეხბურთელს სრულყოფილი თამაშის საშუალებას. სიყვარულთან გატარებული ხანგრძლივი შვებულებაც კი ვერ დაეხმარება ფეხბურთელს სრულ განკურნებაში.

თუმცა ვიერის სამუშაო უკვე შესთავაზეს — იყოს მოდელი და ძალები გამოსცადოს ტელეწამყვანობაშიც. ვინ იცის, იქნებ მელისასთან ქორწილიც არ იყოს ძალზე შორს?



## მედიცინის სიახლენი

### საღეჭი რეზინი — კიბოს წინააღმდეგ



**ჰელსინკის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შექმნეს საღეჭი რეზინი, რომელიც ამცირებს კიბოს ზოგიერთი სახეობის განვითარების რისკს.**

მის შემადგენლობაში შედის ცისტეინი — ნივთიერება, რომელიც ანეიტრალებს თამბაქოს მწეველთა პირსა და საყლაპავში წარმოქმნილ კანცეროგენს. სწორედ ამ კანცეროგენს უკავშირებენ პირის ღრუს, საყლაპავი მილისა და კუჭის მაღალ რისკს. ცისტეინი ბევრ სხვა პროდუქტშიც არის, მაგრამ მისი გამოყოფა, როგორც წესი, მხოლოდ წვრილ ნაწლავში ხდება. საღეჭი რეზინის სპეციალური ფორმულა უზრუნველყოფს ცისტეინის ხანგრძლივად გამოყოფას სწორედ იქ, სადაც ის განსაკუთრებით საჭიროა — პირსა და საყლაპავ მილში.

### B ჰეპატიტი: გამარჯვების იმედი

**ცნობილია, რომ B ჰეპატიტის ქრონიკული ფორმის მკურნალობა საკმაოდ ძნელია: ორგანიზმში მოხვედრილი ვირუსის გამოძევება შეუძლებელია. მისი დამანგრეველი მუშაობის შედეგი კი შთამბეჭდავია: ციროზი, ღვიძლის კიბო, თირკმელების უკმარისობა. მაგრამ თუ ვირუსის დამარცხება მოხერხდა ინფექციის 15 წლის განმავლობაში, შეძენილი ღვიძლის ფიბროზი (შემაერთებელი ქსოვილის მომეტებული ზრდა) 2 წელიწადში გაქრება. საამისო პრეპარატები მრავლადაა, მაგრამ ვინაიდან მკურნალობა დიდხანს გრძელდება, ვირუსი წამლისადმი მდგომარეობის გამომუშავებას ასწრებს და ველარ შველის.**

უფრო ეფექტური საშუალებების ძიებას სასურველი შედეგი მოჰყვა. ამის შესახებ ვენაში გამართულ ღვიძლის შესწავლის ევროპული ასოციაციის 41-ე ყოველწლიურ კონფერენციაზე გამოაცხადეს. ერთ-ერთმა უმსხვილესმა ფარმაცევტულმა კომპანიამ Bristol-Myers Squibb წარმოადგინა ახალი თაობის ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატ ენტეკავირის კლინიკური გამოკვლევის შედეგები. გენური ინჟინერიის საფუძველზე შექმნილი ეს პრეპარატი „ატყუებს" ვირუსს, მის გენომში აღწევს და ხელს უშლის მის გამრავლებას. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ვირუსი პრეპარატის 96 კვირის განმავლობაში მიღების შემთხვევაშიც კი არ იძენს მისდამი მედეგობას. მკურნალობის შედეგად ვირუსული დატვირთვა უსაფრთხო დონემდე მცირდება, ავადმყოფების მდგომარეობა უმჯობესდება, იხსნება მათგან დასენიანების საშიშროება. ყოველივე ეს კი მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანის გამოჯანმრთელების იმედს იძლევა.

### გადანერგვა NON-STOP

**ბრიტანული ჰოსპიტალ Papworth ქირურგებმა მსოფლიოში პირველად წარმატებით განახორციელეს მფეთქავი გულის უნიკალური გადანერგვა.**

ტრანსპორტირებისას დონორის გული არც ერთხელ არ გაჩერებულა. ამოკვეთის უმალ ის სპეციალურად შექმნილ სუპერმანქანაში მოათავსეს, რომლის წყალობითაც გული ჟანგბადისა და ელექტროლიტების ნაკლებობას არ განიცდიდა და ფეთქვას აგრძელებდა. მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ ახალი ტექნოლოგია ხელს შეუწყობს ორგანოების გადანერგვის შედეგების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას.

### 5 ოპტიმისტური ფაქტი

■ აშშ-ში წარმატებით დამთავრდა ენაზორძიკოზის საწინააღმდეგო პირველი პრეპარატის გამოცდა.

■ დეპრესიის სამკურნალოდ კარდიოსტიმულატორის ანალოგი შეიქმნა.

■ ამერიკელი მეცნიერები გვპირდებიან, რომ 7 წელიწადში ალცგეიმერის დაავადების სამკურნალო ვაქცინას გამოუშვებენ.

■ ყავა ღვიძლს ციროზისგან იცავს.

■ პომიდორში შემავალი ნივთიერებები ხელს უშლის თრომბების წარმოქმნას.

### „მაგარი" წვენი

**ფორთოხლისა და გრეიფრუტის წვენები ხელს უშლის ოსტეოპოროზის განვითარებას, — იუწყებიან ტეხასის უნივერსიტეტის მეცნიერები.**



ისინი ტესტოსტერონის დაბალი დონის მქონე 36 ვირთხას ორი თვის განმავლობაში რეგულარულად ასმევდნენ წვენებს. როგორც ცნობილია, ხანდაზმულ მამაკაცებში სწორედ ტესტოსტერონის დეფიციტი იწვევს ოსტეოპოროზის განვითარებას. ცხოველებმა, რომლებიც წვენებს სვამდნენ, მაგარი ძვლები შეინარჩუნეს. მეცნიერთა აზრით, ფორთოხლისა და გრეიფრუტის წვენები შეიცავს ანტიოქსიდანტებს, რომლებიც ძვლის ქსოვილის სიმკვრივეს აძლიერებს.

### ადგილი აგარაკის აფთიაქში!

**რა ჯობია საკუთარ აგარაკზე დასვენებას! სუფთა ჰაერი, ბოსტნეული, ხილი... მაგრამ მედიკოსები სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ „ბაღ-ბოსტნის დამოკიდებულებაზე", როგორც თავისებურ ნარკოტიკზე: ადამიანი საკუთარი ძალებისა და მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლად, დილიდან საღამომდე ბარავს, მარგლის, თოხნის, რგავს, იღებს მოსავალს, ხარშავს მურაბებს, დებს მწნილებს...**

ასეთებს რომ ჰკითხოთ, გიპასუხებენ სულით ვისვენებთო და არავის გონივრულ რჩევა-დარიგებებს არ უწევენ ანგარიშს. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები კი სულ მალე იჩენს თავს. მოხრილი მუშაობისას უსიამოვნო შეგრძნებები, ტკივილი კისრისა და ხერხემლის არეში პირველი სიგნალია. ვინ იცის, იქნებ ეს სულაც ოსტეოქონდროზია და არა რაღაც „წვრილმანი"? ყველაზე სწორი იქნება, თუ ასეთ შემთხვევაში ექიმს მიმართავთ. უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ტკივილის უბრალოდ მოხსნა, სერიოზული დაავადების პროგრესირების თავიდან აცილებაა. თუ ოსტეოქონდროზს მიუშვებთ და ყურადღებას არ მიაქცევთ, მას მალებშორისი დისკოების მდგომარეობისა და ფორმის ცვლილება მოჰყვება: „ამორტიზატორები", რომლებიც ყველა ვერტიკალურ დატვირთვას აღიქვამს, თხელდება და თავის ფუნქციებს ველარ ასრულებს. ხერხემლის პრობლემებმა კი შეიძლება გულ-სისხლძარღვთა სისტემის, სუნთქვის ორგანოების, საჭმლის მომნელებელი ორგანოების მუშაობის შეფერხება გამოიწვიოს. ადამიანს ეწყება შაკიკი, სხეულის სხვადასხვა ნაწილების ნევროტული ტკივილები.

ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ოსტეოქონდროზის პირველივე, თუნდაც სულ მცირე ნიშნის შემთხვევაში აუცილებელია გადაუდებელი მკურნალობის დაწყება, ამიტომაც მოაგარაკეს აფთიაქში ყოველთვის უნდა ჰქონდეს ქონდროპროტექტორი (ხრტილის დამცველი), რომელიც დაავადების თავიდან აცილებაშიც დაეხმარება, მასთან გამკლავებაშიც და პროგრესირების შენელებაშიც.

ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ქონ-





### ისმინე მოცარტს და სათვალეს დაემშვიდობე

**მოცარტის მუსიკა კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენს მხედველობაზე, დარწმუნებულები არიან ბრაზილიელი მეცნიერები.**

მათ ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომლის ჩარჩოებშიც თვალების სხვადასხვა დაავადების მქონე ადამიანებმა მხედველობითი ტესტები გაიარეს. მათ ნახევარს ტესტირების წინ მოასმენინეს მოცარტის სონატა ორი ფორტეპიანოსთვის — და ამ პაციენტებმა უკეთესი შედეგები აჩვენეს. ადრე მეცნიერებმა უკვე დაამტკიცეს, რომ დიდი კომპოზიტორის მუსიკა დადებითად მოქმედებს ინტელექტუალური ტესტების შედეგებზე და აჩქარებს ნაყოფის ტვინის განვითარებას.

### ქონდროქსიდი: საპატიო

## სულ ახალი

# ჭეშმარიტების ამოსუნთქვა

***მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ კუჭის წყლულის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ბაქტერიას Helicobacter pylori, გაჩნდა მასთან ბრძოლის აუცილებლობა. მაგრამ ვიდრე შევებრძოლებოდეთ, დამნაშავე უნდა ამოვიცნოთ, ეს კი ბოლო დრომდე მხოლოდ ნაკლებ სასიამოვნო გასტროსკოპიით ხერხდებოდა. ახლა კი მისი ალტერნატივა გაჩნდა!***

***გასტრიტითა და წყლულით გაწამებული ადამიანების უმრავლესობამ ამ გამოკვლევის შესახებ არაფერი იცის, მომავალი კი სწორედ მას ეკუთვნის: სპეციალისტები დარწმუნებული არიან, რომ სავსებით სამართლიანი იქნება, თუ იზოტოპურ სუნთქვით ტესტს Helicobacter pylori-ის (ჰელიკობაქტერიძ გამოვლენის ახალ „ოქროს სტანდარტს" ვუწოდებთ.***



### იძებნება ბაქტერია

**გასტროსკოპია ყველას ეჯავრება. განსაკუთრებით თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გარდა უარყოფითი ემოციებისა და მოუხერხებლობისა, არსებობს იმ ზონდის საშუალებით დასენიანების დიდი რისკი, რომელიც თქვენამდე სხვა პაციენტმა გადაყლაპა.**

მაგრამ ვერაფერს იზამ: წყლულის დროს ჰელიკობაქტერის გამოვლენა ექიმის პირველი და მთავარი მოქმედებაა. ზოგჯერ წყლულს სწორედ ეს ბაქტერია იწვევს, თუმცა ბევრ წყლულით დაავადებულს ჰელიკობაქტერი არა აქვს. თითოეულ შემთხვევაში მკურნალობა სხვადასხვაგვარია. ამიტომ გეშინიათ თუ არ გეშინიათ, გასტროსკოპიას ვერსად წაუხვალთ. ასე იყო ბოლო დრომდე.

### უბრალო და უსაფრთხო

**Helicobacter pylori-ის გამოსავლენი არაინვაზიური სუნთქვითი ტესტის შექმნით პროცესი აბსოლუტურად უმტკივნეულო და უსაფრთხო გახდა. გამოკვლევის წინ პაციენტი ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელი იზოტოპებით ნიშანდებულ სპეციალურ ორგანულ სუბსტრატებს ღებულობს.**

ხელსაწყო აანალიზებს, რამდენი იზოტოპია ამოსუნთქულ ჰაერში და ამის საფუძველზე აკეთებს დასკვნას ჰელიკობაქტერის არსებობის შესახებ. თუ ბაქტერია არ არის, მაშასადამე, არც ის ფერმენტი არსებობს, რომელიც კუჭში სტაბილური იზოტოპით ნიშანდებულ შარდოვანას ხლეჩს, ნივთიერება არ იხრწნება და სუფთა სახით გამოედინება.

სუნთქვითი ტესტი დილით უზმოზე ტარდება და მას 30-40 წუთი უნდება. ჯერ ერთი ჭიქა წვენი და ათი წუთის შემდეგ ჰაერის პირველი „შეგროვება", რომელიც ერთჯერადი წვრილი მილით სინჯარაში უნდა ამოვისუნთქოთ. ამის შემდეგ ვსვამთ დიაგნოსტიკურ ხსნარს და ნახევარი საათის შემდეგ მეორე სინჯარაში „ამოვისუნთქავთ". განაჩენის გამოსატანად ეს სავსებით საკმარისია.

### მომავლის მეთოდიკა

**უნიკალური მეთოდის გამოყენების შედეგებმა ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. სუნთქვითი ტესტის მგრძნობელობა 98 პროცენტს აღწევს.**

თუმცა მისი შესაძლებლობები ამით არ ამოიწურება: მისი გამოყენება სხვა დაავადებების, მაგალითად, ღვიძლის ეთანოლური დაზიანებების დროსაც შეიძლება. და თუმცა იზოტოპური სუნთქვითი ტესტი ჯერჯერობით მოსკოვის მხოლოდ ი. სეჩენოვის სახელობის მედიცინის აკადემიის და მ. ვლადიმიროვის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორ კლინიკაში ტარდება, სპეციალისტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ მალე იგი ისეთივე ჩვეულ გამოკვლევად იქცევა, როგორიც სისხლის ანალიზი და ულტრაბგერითი გამოკვლევა.

◎ ტექნიკის სიახლენი

# მსხვილი და წვრილი

**ყველა თანამედროვე მოწყობილობა ოდესღაც სქელი და დიდრონი იყო: პირველი მობილური ტელეფონები მოძრავ სადგურებს გაგონებდნენ, ხოლო „ჯიბის კომპიუტერები“ არც ერთ ჯიბეში არ ეტეოდნენ. დღეს ისინი პირდაპირ თვალწინ თხელდებიან — „სქელუების“ თრევა მომხმარებლებს არ უნდათ.**



**გადაიღე.** ფოტოაპარატს Exilim Zoom EX-Z70 (მისი სისქე მხოლოდ 19,8 მმ-იაძ აქვს 7,2 მეგაპიქსელი გადაწყვეტა, რაც იძლევა ისეთი ხარისხის სურათების მიღების საშუალებას, როგორიც მიუწვდომელია კონკურენტებისათვის. სიახლე 118 გრამს იწონის, ამიტომ იოლად თავსდება გულის ჯიბეში. EX-Z70-სი შერჩევა პერანგის ფერის შეხამებითაც შეიძლება: მოდელები შავი და რუხი ფერებისა გამოდის. ფასი დაახლოებით 290 დოლარია.



ილაპარაკე. თანამედროვე მობილური ტელეფონები ყველა სხვა მოწყობილობაზე სწრაფად თხელდებიან. კომპანია Samsung-ის ერთ-ერთი სიახლეა უთხელესი (6,9 მმძ ტელეფონი SGH-X820, რაც თანამედროვე ტელეფონს მოეთხოვება, ყველაფერი აქვს: 2 — მეგაპექსელიანი კამერა, ჩადგმული $MP_3$ — პლეერი, მოდემი. რუსეთის მაღაზიებში აქ თხელი ტელეფონის ყიდვა შეიძლება სადღაც 400 დოლარად. ეგეც კია, კონკურენტები ფეხდაფეხ მიჰყვებიან Samsung-ს. არის ხმები, რომ კომპანია Motorola ამუშავებს ტელეფონ „სკალპელს“, რომელიც კიდევ მეტად იქნება თხელი — 5 მმ.

**იმუშავე.** ჯიბის კომპიუტერს, რომელიც ადვილად ეტევა ხელისგულზე, ოქტომბრისათვის უშვებს კომპანია Blue Bizd-ი. Bm-300-ის ფასი ჯერ განსაზღვრული არ არის, ხოლო ზუსტი ზომები გასაიდუმლოებულია, სპეციალისტები კი უკვე ამტკიცებენ, რომ ეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თხელი ჯიბის კომპიუტერია, ის მუშაობს Windows Mobile 5.0 ბაზაზე, 64 მეგაბაიტის ოპერატიული მეხსიერების მქონეა და 520 Мгу სიხშირის პროცესორისა.



Blue Bizd-იმ პატრონს ტელევიზორის მიერთებაც კი შეუძლია (კომპიუტერი აღჭურვილია DMB-მიმღებითძ. მთავარ ღირსებად კი მაინც ზომები ჩრება. თანამედროვე ჯიბის კომპტუტერების ბაზარი საკმაოდ კონსერვატულია და ახალი მოდელები იქ არცთუ ხშირად გამოჩნდება ხოლმე.

**უსმინე.** დამხმარე მოწყობილობანი, რომელთაც გარკვეული გაჯეტისათვის იძენენ, აგრეთვე კომპაქტურები ხდებიან, საერთო ტენდენციასთან შეწყობით. მაგალითად $MP_3$ პლეერების მწარმოებლები ერთმანაეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო თხელ სიახლეს გამოუშვებს. უკვე გამოცხადებულია 7 და 5 მმ-ის სისქისაც კი პლეერები.

კომპანია Logitech-მა ამას წინათ წარმოადგინა mm—28 დინამიკები, რომლებიც მშვენივრად მიუდგებიან მსგავს ზეთხელ მოწყობილობებს. დინამიკების სისქე სულ 3,1 მმ. მათი ყიდვა უკვე შეიძლება რუსეთის მაღაზიებში დაახლოებით 60 დოლარად.



შპს „კასპის მეხორცეული ქათმის რეპროდუქტორის“ გაკოტრების მმართველი აცხადებს

**განმეორებით აუქციონს**

**(50-პროცენტიანი ფასდაკლებითძ**

**შპს „კასპის მეხორცეული ქათმის რეპროდუქტორის“ ქონებაზე (გაკოტრების მასაძ.**

**ქონების დახასიათება: მეორად სამშენებლო მასალებად, დასაშლელი საფრინველე კომპლექსი (ამორტიზირებულიძ და სასოფლო-სამეურნეო ავტოტექნიკა, მდებარე კასპის რაიონის სოფ. მირიანში.**

საწყისი გასაყიდი ფასი: 35 000 ლარი.

„ბე“: საწყისი გასაყიდი ფასის 10 პროცენტი (3 500 ლ.ძ.

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი, სს „სახალხო ბანკის“ კასპის ფილიალი.

ბანკის კოდი 220 101 478

ანგარიშის № 360 20 125

(შპს „კასპის მეხორცეული ქათმის რეპროდუქტორის“ გაკოტრების მმართველის საუქციონო ანგარიშიძ

აუქციონის ჩატარების ადგილი და დრო: ქ. კასპი, რუსთაველის ქ. № 20. 2006 წლის 17 აგვისტო 12 სთ.

განცხადების მიღების ვადა 7.08.06 წ. — 16.08.06 წ. 10 სთ. 17 სთ.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა რეგისტრაციისას უნდა წარადგინოს:

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ;
2. „ბეს“ შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
5. იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს და მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებას აუქციონში მონაწილეობის შესახებ.

**შენიშვნა:** აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი ფასის „ბიჯის“ გათვალისწინებით, რომელიც შეადგენს 3 000 ლარსძ გადახდა.

**დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შემდეგ მისამართზე:**

**ქ. კასპი, რუსთაველის ქ. № 20**

**ტელ: (271ძ 2 4056 (899ძ 18-97-82**

**ი. ხაჩიძე,**

**გაკოტრების მმართველი.**

შვილები მერაბ, ივიკო ნემსაძეები, რძლები დალი ბლიაძე, ირმა ჩაჩავა, ანი გოგოლაძე, შვილიშვილები გუგა, გურანდა, უჩა, მიკა, ნუცა, შვილთაშვილები ნუკა, ივიკო, და ნათელა ჟღენტი, ძმა ოთარ ალავიძე, ძმისწულები, დისწულები, მაზლიშვილები, მულიშვილი თამილა აბაშიძე, მძახლები ნელი ფირცხალაიშვილი, ნელი ჩაჩავა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუნუ ივანეს ასული ალავიძე-ნემსაძე

პანაშვიდი: 8, 9 VIII, 16 სთ. გამოსვენება 10 VIII, 14 სთ. მისამართი: კავსაძის 8 ა. (ირ. შესასვლელი აბაშიძის 41-დანძ.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების სამეცნიერო-კლევითი ლაბორატორიის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

როლანდ ტყებუჩავა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

◎ ელამი სარკე

# ნარკომანეზი

**ორი ძმაკაცი — ნარკომანები რომელ საათზე შეხვდნენ ერთმანეთს მარჯანიშვილის მეტროს ამოსასვლელთან, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ცხვირებით რომ წაეტაკნენ, რასაც დაზნეულობა მოჰყვა, ამას თავადაც არ უარყოფენ. ამ საბედისწერო შეჯახების ჟამს გიგამ პირველმა ასწია თავი და კოლეგას ჯიქურ აჯახა:**

— ვაჰ, კიდევ იყრი, სიმონ?

— არა ბიჭო და მგლებს დავეგლეჯინები.

— რა ვიცი, მკლავები პატარძალს მიგიგავს და...

— ეგღა მაკლია, მკლავები დავიჯღლირთო.



— აბა სად იყრი, ტო, თავში?

— წამწამზე, სიმონ, წამწამზე.

— წამწამზე?

— ჰო, რა გიკვირს, ევროატლანტიკურ პონტზე რა!

— ოჰ ჩემი, ევროატლანტიკურად?

— მაშ როგორ, მთავრობა ამ გზით მიდის და ნარკომანები ცალკე ხომ არ ვივლით?

— გავიგე, ტო, მაგრამ წამწამზე როგორ ირჭობ?

— სულ უბრალოდ, ერთი ხელით მერსედესის საჭეს ვატრიალებ, მეორეთი — წამწამს ვეთამაშები.

— ვა, მასე დახელოვნდი?

— არა, ბიჭო, მთავრობის გოიმებს დავემარიაჟებინები!

—ხუმრობას მოეშვი, შენ მაგათთან ბლატაობა არ გამოგადგება.

— რატო, ძმაო, ვითომ ჩემზე უკეთესები არიან?

— აბა რა, ბევრი მათგანი ცისფერია.

—მერე რა, ცისფერები უფრო უკეთესად არ გაიყრიან?

— თანაც უსაფრთხოდ, არა?

—ისე, რომ ნაკვალევსაც ვერ უპოვი.

— მერე, პოლიცია არ უშლის?

— არა.

— რატო, ხომ არ იცი?

—წამალი თვალის დახამხამებაში კეთდება და გამოჭერას ვერ ასწრებენ.

— რას ვერ ასწრებენ, სიმონ?

—ნარკოტიკის მანქანაში ჩადებას.

— ვა, მაგარი რამე ყოფილა.

— ეგრეა, მაგრამ მე უფრო სხვა რამის მეშინია.

— რისა?

— ტელეფონზე ლაპარაკისა. ათასი მამაძაღლი მირეკავს, რა მახსოვს, ვის რა დახმარებას ვპირდები?

— ჰპირდები, თორემ მაშინვე არ შეუსრულო.

— მაგისი კი არ მეშინია, ტო.

— აბა რისი?

—ამ შობელძაღლებმა ინტელიგენტობა არ დამაბრალონ.

— გაგიჟდი, სიმონ, — ჩაიხითხითა მიტუშამ, — შენ და ინტელიგენტი?

— ჰო, რას გემცხეთა, ჰალსტუხი ხომ მიკეთია.

—მერე მაგიტომ თავი ინტელიგენტი გგონია?

— რატომაც არა, აგე ბათიაშვილს სასამართლოში ბრალად ინტელიგენტობა წაუყენეს.

— ინტელიგენტობა კი არა, სიმონ, ინტელიგენტური მხარდაჭერა.

— ეგ სულ სხვა პონტია?

— მაშა. ჭკუა და აზროვნება უნდა გქონდეს, სხვას რომ ინტელექტუალურად დაეხმარო.

— ვაა, ეგ აღარ ვიცოდი?

— მააშ, მთავრობას ინტელექტუალური აზროვნებისა ეშინია, ჰალსტუხისა კი არა.

— ეს რანაირი აზროვნებაა, ხომ არ იცი?

—სხვანაირი, სიმონ, სხვანაირი. ერთთავად მთავრობის დასამხობი აზრები უნდა მოგდიოდეს თავში.

— სხვანაირად არ დამიჭერენ?

— არა. იკეთე წამწამში ნარკოტიკი რამდენიც გინდა.

ამ საუბარში იყვნენ, რომ ნარკომანებს თავზე პატრული წამოადგათ.

— არ გაინძრეთ! — იყო ბრძანება.

— ინტელექტუალები არ გეგონოთ, რიგითი ნარკომანები ვართ, — იყვირა გიგამ.



პოლიციელებმა ჯიბეები მოიჩხრიკეს, მიტუშას პირდაპირ უბეში შეუცურეს ნარკოტიკი, გიგას კი წამწამებზე ააფარეს.

**ოთარ ხუციშვილი**

◎ ეს იცოდით?

# ახალი ჯიშის გოჭები

**ბაკფასტლის (დიდი ბრიტანეთიძ მახლობლად პენიუელის ფერმაში ხუთი პაწაწინა გოჭი დაიბადა. გაგიკვირდებათ, განა ეს საოცრებააო? — მაგრამ წინასწარ გამცნობთ, რომ ამ ჯიშის გოჭების გამოყვანაზე ზოოლოგი კრის მიურეი მთელი ექვსი წელიწადი მუშაობდა. გოჭუნები, როდესაც გაიზრდებიან, თავიანთ თანამოძმეთაგან განსხვავებით ორჯერ დაბლები იქნებიან, მათი წონა კი 80 კილოგრამს არ გადააჭარბებს. ახალი ჯიში გამოყვანილია ადგილობრივი ღორისა და კუნეკუნეს ჯიშის ღორის მრავალჯერადი შეჯვარების შედეგად. კუნეკუნე მაორის ტომთა ენაზე „დამრგვალებულ ბუთხუზას“ ნიშნავს. ამ ჯიშის ღორები დედამიწაზე განადგურების პირას იყვნენ მისულნი. 1978 წლისთვის სულ 50 ცალიოდე დარჩა. ისინი დაბლები, ჩამრგვალებულები და მოკლეფეხება არიან. დინგი ძალზე მოკლე და გაბრტყელებული აქვთ. კუნეკუნები სხვადასხვა ფერისანი არიან: ოქროსფერი, შავები, დაფოთლილები, კრემისფერები და შავ-თეთრები.**



პენიუელის ფერმაში ღორებს ხორცისთვის არ ამრავლებენ. მისმა მფლობელმა გადაწყვიტა, აქ მშვენიერი დასასვენებელი მოეწყო ბავშვებისთვის, რომლებსაც ძალიან უყვართ გოჭუნები. ჯერ კიდევ რუსმა ფიზიოლოგმა პავლოვმა დაამტკიცა და შემდგომ მრავალმა ზოოლოგმაც, რომ ღორები მეტად მგრძნობიარე და ნერვიული არსებები არიან. ისინი ვერ იტანენ ხელით შეხებას, საცხოვრებელი ადგილის შეცვლას. უფრო მეტიც, ერთი ფერმიდან მეორეში გადაყვანის დროს მათი 25 პროცენტი კვდება. ღორების შინაგანი ორგანოები ძალიან ჰგავს ადამიანისას. ჯუჯა ღორების გამოყვანაც სწორედ ამ მიზნით დაიწყეს ამერიკაში, რათა ისინი შემდგომ ადამიანის დონორები გამხდარიყვნენ. ისინი 40-60 კილოგრამზე მეტს არ იწონიან.

ზოოლოგ კრის მიურეის ფერმაში ეს საშიშროება ოთხფეხებს არ ემუქრებათ. კრისს სურს, რომ პატარები გაერთონ სხვადასხვა ჯიშის გოჭებთან თამაშით. მართლაც მის ფერმას ყოველწლიურად 60-70 ათასი დამთვალიერებელი სტუმრობს. ცნობისთვის მსოფლიოში სულ ასამდე სახეობის ღორია, აქედან 20 სახეობა ინგლისშია გამოყვანილი. დედამიწის ზურგზე ყველაზე პატარა გოჭები გამოიყვანა იტალიელმა სტეფანო მირინიმ, ევროპული და ვიეტნამური ბუთხუზა ღორების შეჯვარებით. მოზრდილი ღორის წონა 9 კილოგრამს არ აღემატება.

მიურეის გოჭუნები ისეთი სიმპათიურები არიან, რომ ორი მათგანი უკვე ფრანგებმა შეიძინეს — თითო 400 დოლარად.

◉ აბა, რა გქვია შენ?!

# მალაიზიაში აიკრძალა ბავშვებისთვის სახელად ციფრების დარქმევა



**მალაიზიის ხელისუფალთ გამოაქვეყნეს სახელთა ჩამონათვალი, ბავშვებისთვის რომელთა დარქმევას ამიერიდან მშობლებს აღარ ურჩევენ. სიაში სხვებთან ერთად შეტანილია ისეთი სახელები, როგორიცაა ჰიტლერი, აყროლებული ძაღლი და 007.**

ეს სია მას შემდეგ გამოჩნდა, რაც ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა იმ ადამიანთა განცხადებები, ვისაც სურს დაბადებისას დარქმეული სახელის შეცვლა რაიმე ნაკლებად ეგზოტიკურით.

რამდენიმე სახელის აკრძალვის შემოღებას წინ უსწრებდა ჩინოვნიკების მოლაპარაკება სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლებთან, მათ შორის მუსულმანებთან, ქრისტიანებთან, ინდუსისტებთან, ბუდისტებთან, ტაოისტებთან. ტრადიციისამებრ, მალაიზიის ზოგიერთ რელიგიურ თემში მიღებულია ბავშვებისთვის ისეთი უცნაური სახელების დარქმევა, რომლებსაც თითქოს შეუძლია დემონებისა და ავი სულების თავიდან აცილება.

ახლა მალაიზიაში უარი უნდა თქვან ისეთ სახელზე, რომლებიც ითარგმნება, როგორც სუნიანი თავი. გადარეული — შავი ღმერთი და ა. შ.

ამის გარდა, მალაიზიელებს აეკრძალათ სახელებად ხილეულის, ცხოველების, მწერების, ცისარტყელების ფერების, სამეფო ტიტულებისა და იაპონური ავტომანქანების დასახელებების გამოყენება.

კანონგარეშედ გამოცხადებულია სახელებად აგრეთვე ციფრების გამოყენებაც. ასე რომ, ლეგენდარული მზვერავის ჯეიმს ბონდის თაყვანისმცემლები ველარ დაარქმევენ თავიანთ ნაშიერებს 007-ს.

◉ ანეკდოტები



**— მიხო, საყვარელო, მალე მეოთხე შვილიც შეგვეძინება! — მიახარა ქმარს მარომ.**

**— რას ამბობ, ქალო, შეიშალე?**

**— რათა, კაცო, შენ ხომ ძალიან გინდოდა მეოთხე ბავშვი?**

**— ადრე მინდოდა, გუშინდელს მერე — არა!**

**— ისეთი რა მოხდა გუშინ?**

**— რა და, ტელევიზორში თქვეს, დედამიწაზე დაბადებული ყოველი მეოთხე ბავშვი ჩინელიაო.**

* * *

**პატარა მიხო ინტერესით ათვალიერებს თავის სასქესო ორგანოს.**

**— დედი, დედი, ეს ჩემი ტვინია?**

**— არა, შვილო, ჯერჯერობით არა...**

* * *

**ორი ტიპი ერთმანეთს შეხვდა. ერთი ამბობს:**

**— ეს ჩემი ცოლი საერთოდ გათავხედდა, ის არ იკმარა, რომ საწოლში არ მიწვენს, ახლა მასთან ერთად მაგიდასთან მიჯდომასაც მიშლის...**

**— შენ რა, ჭამაც არ შეგიძლია?**

* * *

**— დაასახელეთ ოპტიკური ხელსაწყო, რომლის მეშვეობითაც შეიძლება ადამიანის მომავლის დანახვა.**

**— სამიზნე.**

* * *

**— ესე იგი ამტკიცებ, რომ შენთვის თითსაც არ გავატოკებ? — თქვა ქმარმა და სასხლეტს თითი გამოკრა.**

* * *

**ყველა გამოგონების მთავარი მიზანია ადამიანისთვის დროის დაზოგვა.**

**გამონაკლისია მხოლოდ ტელევიზორის გამოგონება.**

* * *

**რუსეთში საშიშია არა იმდენად ეროვნული საკითხი, რამდენადაც მასზე პასუხის გაცემა.**

◉ დარია თუ ავდარია

# ამინდი 8 აგვისტოს



**დასავლეთ საქართველოში** — მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +22⁰ – +29⁰, ღამით +15⁰ – +19⁰.

**აღმოსავლეთ საქართველოში** — მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +22⁰ – +28⁰, ღამით +15⁰ – +20⁰.

**თბილისში** — მცირე მოღრუბლულობა. ჰაერის ტემპერატურა: ღამით +20⁰, დღისით +37⁰.

**ბათუმი** — ღ. +21⁰, დ. +31⁰; **სოხუმი** — ღ. +24⁰, დ. +36⁰; **ქუთაისი** — ღ. +23⁰, დ. +34⁰, **ოზურგეთი** — ღ. +22⁰, დ. +30⁰, **ზესტაფონი** — ღ. +23⁰, დ. +32⁰; **რუსთავი** — ღ. +25⁰, დ. +35⁰, **ფოთი** — ღ. +24⁰, დ. +36⁰; **მესტია** — ღ. +14⁰, დ. +20⁰; **სტეფანწმინდა** — ღ. +15⁰, დ. +21⁰; **თელავი** — ღ. +24⁰, დ. +33⁰; **გორი** — ღ. +23⁰, დ. +34⁰; **ახალციხე** — ღ. +16⁰ დ. +26⁰; **ბორჯომი** — ღ. +18⁰, დ. +31⁰; **ცხინვალი** — ღ. +17⁰, დ. +29⁰; **სამტრედია** — ღ. +26⁰, დ. +38⁰; **ზუგდიდი** — ღ. +24⁰, დ. +34⁰; **ჭიათურა** — ღ. +23⁰, დ. +35⁰.

◉ ლარის კურსი

**8 აგვისტოდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3600 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7610 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2670 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0660 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9836 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4298 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5002 ლარი. |

◉ რეალობა და მონაგონი

# უკვდავი შერლოკ ჰოლმსი

**უამრავ მეტად საინტერესო, ორიგინალურ საზოგადოებას შორის, რომელთა ზუსტი რიცხვის დადგენა ერთობ რთული საქმეა, ლონდონში არსებობს „შერლოკ ჰოლმსის საზოგადოებაც". მასში გაწევრიანებულია ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი ყოველგვარი ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე. ამჟამად მათი ასაკი 11-დან 80 წლამდე ფარგლებშია, ხოლო წევრთა მესამედი ოცდაათ წელზე უფრო ახალგაზრდაა.**

ჰოლმსის თაყვანისმცემლები წელიწადში ექვსჯერ იკრიბებიან, ხოლო ერთხელ — თავიანთი საყვარელი ლიტერატურული გმირის დაბადების დღეს — საზოგადოების წევრები საზეიმო ბანკეტს აწყობენ. წელიწადში ორჯერ საზოგადოება გამოსცემს ჰოლმსის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ჟურნალს, სადაც თავმჯდომარის ფილიპ დოლტონის თქმით, „სამეცნიერო" სტატიების ავტორები ცდილობენ, რაც შეიძლება უფრო მეტად დააახლოონ ერთმანეთს რეალური ცხოვრება და მონაგონი.

ცნობილია, რომ არტურ კონან დოილის უკვდავი ლიტერატურული გმირის პროტოტიპი იყო ცნობილი ედინბურგელი ექიმი ჯოზეფ ბელი, რომელიც ახალგაზრდა დამწყები მწერლის სამედიცინო კვლევებს ხელმძღვანელობდა.



**შერლოკ ჰოლმსის კანონიკური პორტრეტი, რომელიც დაბეჭდილია ლონდონში 1978 წელს ხელახალ გამოცემაში. „ენციკლოპედია" მისი და დოქტორ ვატსონის „ცხოვრებისა და მოღვაწეობის" ყველა მხარეს მოიცავს.**



**შერლოკ ჰოლმსი (მარჯვნივძ და დოქტორი ვატსონი. ნახატი, ისევე როგორც ჰოლმსის პორტრეტი, შესრულებულია „დიდი გამომძიებლის" შესახებ ნაწარმოებთა პირველი ილუსტრატორის, ინგლისელი მხატვრის სიდნი ჰაჯეტის მიერ. იგი ჟურნალ „სტრენდ მეგეზინთან" თანამშრომლობდა, სადაც ჰოლმსის შესახებ პირველი მოთხრობები დაისტამბა.**



THE ENCYCLOPEDIA
SHERLOCKIANA
OR,
A Universal Dictionary
of the State of Knowledge
OF
SHERLOCK HOLMES
AND HIS BIOGRAPHER
JOHN H. WATSON, M.D.
Compiled and Edited by
JACK TRACY
NEW ENGLISH LIBRARY

**„დიდი გამომძიებლისადმი" მიძღვნილი „ენციკლოპედიის" სატიტულო ფურცელი. „შერლოკიანა", ანუ შერლოკ ჰოლმსისა და მისი ბიოგრაფის, მედიცინის დოქტორის ჯონ ჰ. ვატსონის უნივერსალური სიტყვარი, გამოცემული ჯეკ ტრეისის მიერ".**



**მაიკროფტ ჰოლმსი, „დიდი გამომძიებლის" უფროსი ძმა და მრჩეველი („შერლოკიანის" ილუსტრაციაძ.**

◉ ყველაზე გამბედავთათვის...

# ნიანგთა სამეფოში

**ზოოლოგიურ პარკებში თუ ადამიანები ათვალიერებდნენ ვოლიერებში გამომწყვდეულ ცხოველებს, ახლა პირიქით ცხოველები ათვალიერებენ ადამიანებს. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ქალაქ ოუდსხურნიდან სამი კილომეტრის მოშორებით, მდებარეობს კენგოუს ფერმა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალურია იმითაც, რომ აქ მტაცებელ ცხოველებთან ერთად შეგიძლიათ იხილოთ რეპტილიებიც, კერძოდ — გიგანტური ნიანგები. კენგოუს ფერმა ნიანგების მოსაშენებლად გახსნეს 1977 წელს. მანამდე აქ სირაქლემების ფერმა იყო, თითქმის XIX საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული. ძვირად ფასობდა სირაქლემის ბუმბული — ამერიკელი და ევროპელი ლამაზმანების ქუდებს სწორედ სირაქლემის ბუმბულით ილამაზებდნენ. 1985 წელს ფერმა ენდრიუ და გლენ ერიქსენებმა შეიძინეს. ნიანგების მოშენების გარდა, მათ ფერმაში გადაწყვიტეს გაემრავლებინათ მტაცებელი ცხოველებიც. ასე აღმოჩნდნენ კენგოუში ბენგალური ვეფხვები, გეპარდები და სხვა კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლები.**

დედამიწაზე არსებული 22 სახეობის ნიანგებიდან 17 თითქმის განადგურების პირასაა მისული. მათზე ბრაკონიერები ნადირობდნენ ტყავისა და ხორცის გამო. ერიქსენებმა ფერმაში ყველაზე გიგანტური — ნილოსის ნიანგებიც შეიყვანეს, ბევრი მათგანის სიგრძე ოთხ მეტრს აჭარბებს. აქვე ჰყავთ მსოფლიოში ყველაზე იშვიათი სახეობის ნიანგებიც — ჩინური ალიგატორი, რომლებიც დედამიწაზე სულ 1000 ეგზემპლარია დარჩენილი.



კენგოუს ფერმაში მსოფლიოში პირველად ერიქსენებმა მოაწყვეს დამთვალიერებლებისთვის სპეციალური ვოლიერი. წყლის სიღრმე სულ ორი მეტრია, რკინის გისოსებში მოთავსებული მსურველები წყალქვეშ სპეციალურ მოწყობილობას ჩაჰყავს და ყველა რეპტილიის დათვალიერება სულ ათ წუთში ხერხდება. ყველაზე გამბედავებს შეუძლიათ წყალქვეშ სურათებისა და ვიდეოფილმების გადაღება. რეპტილიათა სამეფოში ჩაყვინთვის მსურველთა ასაკი 12 წელზე დაბლა არ უნდა იყოს. აუზში წყალი იფილტრება და დამთვალიერებელთა სურვილის მიხედვით თბება კიდეც. ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე რეპტილიის შეჯახების ძალა რამდენიმე ასეული კილოგრამია, ამიტომ გისოსები ძალზე ძლიერი მასალისგანაა დამზადებული და მტკიცედაა შეკრული.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „ახალი საუკუნე"
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობილ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.